

სხანი შოკოლადი

12
საქართველო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

ქვეყნობა 2013 №94
ფასი 7 ლარი

1439 / 2
2013

დუღანა მაზმანიშვილი

მთავარი თემა
მეოთხეს მოლოდინები

გრემორი რეჟინის ახალი რუბრიკა
„სხელი შოკოლადი მოლა“





გამონერეთ ჟურნალი “ცხელი შოკოლადი”

შეამენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

www.shokoladi.ge

ონლაინ გამონერა



სხანი შოქოლადი

N94, ოქტომბერი 2013



ყდა: დუდანა მაზმანიშვილი
ფოტო: ლელი ბლაგონრაგოვა

	06	რედაქტორის სვეტი
	08	ავტორთა სვეტები
მოვლენები	10	„საბა“ 2013 <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
ანონსი	12	8 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
მოხეტიალე	20	მესამე თაობა: შოტლანდია <i>ანა მაყაშვილი</i>
ისტორია	28	ჰარმონიის გაკვეთილები... <i>დავით ბუხრიკიძე</i>
მეოთხეს მოლოდინში	36	რეგულაციის დიალექტიკა ქართულ პოლიტიკაში <i>გიორგი ცხადაია</i>
	42	Sede Vacante ჩვენს სამეფოში <i>გრიგოლ გეგელია</i>
	52	პირველი პირები – ძალაუფლება და ახირებები <i>გრიგოლ გეგელია</i>
საავტორო	58	ბლუზი მტკვრის პირას <i>ბიძინა მაყაშვილი</i>
ისტორია ათწლეულებში	66	ნიკო ნერგაძის 2000-იანები
რეცენზია	74	დივა „ფაბრიკაში“ მიდის... <i>დავით ბუხრიკიძე</i>
მიმოხილვა	78	წიგნები <i>სალომე აფხაზიშვილი</i>
	82	მუსიკა <i>ლევან ძნელაძე</i>
მოდა	83	DATUNA SULIKASHVILI TATULIE VATEISHVILI RIA KEBURIA

Part of the
ProCredit Group



საკრედიტო ბანკი
ProCredit Bank

Georgia



ბადრიჯილი
ძლიერ ბანკთან ერთად!



*22 22

220 22 22

procreditbank.ge

მთავარი რედაქტორი

მალხაზ ხარბედია

რედაქტორის თანაშემწე

თინათინ ხომერიკი

მოღის რუბრიკის რედაქტორი

გრეგორი რეჯინი

სტილი და კორექტურა

ინა არჩუაშვილი

დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

ნომერზე მუშაობდნენ:

სალომე აფხაზიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ბიძინა მაყაშვილი, ანა მაყაშვილი, ლევან ძნელაძე, გრიგოლ გეგელია, გიორგი ცხადაია

ფოტო

ლელი ბლავონრაევა, დინა ოგანოვა, გიორგი გოგატიშვილი

ილუსტრაცია

მაია სუმბაძე

დირექტორი

შალვა ჩუბინიძე

პროექტის მენეჯერი

ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვების დირექტორი

დადუ თადუშაძე

მარკეტინგის მენეჯერი

ია შენგელია

პარტნიორებთან

ურთიერთობების მენეჯერი

ნუცა ქირია

დისტრიბუცია

მიხეილ მამუჩიშვილი

რეკლამის განთავსება

ტელ.: 225 25 30; მობ.: 577 579900

გამომცემლობა

შპს „ცხელი შოკოლადი“
მისამართი: თბილისი, ავაქიძის ქ.
11, ტიფლის ბიზნეს ცენტრი
სხვა გამოცემები
„ქართული ღვინის გზამკვლევი“

სტამბა

„სეზანი“, თბილისი, ნერეთლის
140, ტელ.: 235 70 02
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25
დეკემბრიდან

© „ცხელი შოკოლადი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.



მეოთხეს მოლოდინში

ახალ სეზონთან ერთად ახალი პრეზიდენტის არჩევნებზეც მოვიდა და ჩვენც შევეცადეთ პოლიტიკურად დატვირთული ოქტომბრისთვის რაიმე თემა გვუპასუხა. თავიდან კარგი პოლიტიკური პამფლეტებით გვინდოდა შევგებებოდით მეოთხე პრეზიდენტის არჩევნებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა, ვინც თავის დროზე მეტნაკლებად მახვილგონივრულ ტექსტს დანერდა თანამედრო ქართულ პოლიტიკურ აბსურდზე, ახლა თავადაც აქტიურად (ან პასიურად) მონაწილეობს ამ აბსურდის შექმნაში, ან ერთ გუნდშია გარეული, ან მეორეში იღნვის, ანდა სულაც ექსპერტია ან ექსექსპერტი ან ექსპერტობას უმიზნებს. ამიტომ გადავწყვიტეთ ორი ჭკვიანი და მხიარული ახალგაზრდა კაცისთვის გვეთხოვა შეფასების დაწერა. გრიგოლ გეგელიას და გიორგი ცხადაიას გონებაც უჭრით, კარგი განათლებაც აქვთ მიღებული, ბევრსაც ფიქრობენ დღევანდელ მდგომარეობაზე, მიუკერძოებლებიც არიან, იუმორის გრძობაც იშვიათად დალბობთ და ცოტათი შერეკილებიც ეთქმით. ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, ჩვენი ჟურნალის ავტორისთვის ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი თვისებებია, ასე რომ გირჩევთ ამ ავტორების წერილები ყურადღებით წაიკითხოთ. იმედი მაქვს, მათთან ზუსტ დაკვირვებებსაც ნახავთ და საკამათო აზრსაც არაერთგან ამოიკითხავთ. რაც მთავარია, არც ერთი არ წერს რომელიმე პოლიტიკური „კუტოკიდან“ და არც ერთი მათგანი არ აფუილებს პოლიტიკურ ილუზიებს, არამედ ანალიზებენ, ეჭვობენ, მიგვანიშნებენ, პირდაპირ გვეუბნებიან.

ხო მართლა, გვაქვს ერთი მაგარი სიახლეც, კერძოდ კი ჩაცმა-დახურვის ადგილობრივი, ქართული კულტურის მოყვარულებისთვის და გულშემატკივრებისთვის. დღეიდან ჩვენს ჟურნალს ახალი რუბრიკა ემატება, „ცხელი შოკოლადი – მოდა“, რომელსაც გრეგორი რეჯინი გაუძღვება და რომელიც საქართველოს ყველაზე გამორჩეული დიზაინერების ახალ კოლექციებს წარმოგიდგენთ. ამ რუბრიკის გამო მნიშვნელოვნად შეიცვლება ჩვენი ჟურნალის ვიზუალური მხარეც, რაც, უფრო კარგად, ვფიქრობ, მომდევნო ნომრებში გამოჩნდება. არჩევნების მერე რა შეიცვლება, მაგასაც ერთად ვნახავთ!

მალხაზ ხარბედია

მართეთ თქვენი ანგარიში ონლაინ



გაიარეთ რეგისტრაცია მისამართზე* www.myaccount.silknet.com

- მართეთ პირადი ანგარიში
- შეამოწმეთ ბალანსი
- ნახეთ ანგარიშის კოდური სიტყვა, სილქტის ვიდეოთეკის პინ კოდები
- ისარგებლეთ ანტივირუსით
- გაიაქტიურეთ ტურბო ღილაკი, რომელიც საშუალებას მოგცემთ ოპტიკური ქსელის მომხმარებლებს გააქტიურებიდან 2 საათის განმავლობაში ისარგებლოთ 100 მბ/წმ სიჩქარი ინტერნეტით სულ რაღაც 1,50 ლარად

*ამ ეტაპზე რეგისტრაციის გავლა მხოლოდ ინტერნეტის აბონენტებს შეუძლიათ.



გიორგი ცხადაია

2003 წელს შევარდნადის რეჟიმის ცვლილებას, მეტწილად მშვიდობიანი ხასიათის მიუხედავად, მაინც რევოლუცია შეიძლება ვუწოდოთ. რევოლუცია იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლება არაკონსტიტუციური გზით შეიცვალა, არამედ იმიტომაც, რომ ხელისუფლებაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკურ ძალას ჰქონდა ყოვლისმომცველი და რადიკალური პროგრამა. „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა იმ ამბიციით, რომ საქართველოს საზოგადოებისგან შეექმნა ევროპული დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ადრე თუ გვიან ევროპულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში დაიმკვიდრებდა თავს. ახალი ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ამ დიადი მიზნისკენ მიმავალ გზაზე გარკვეულ მსხვერპლშენივებზე ნასვლა იყო საჭირო და ამით მიზნის ლეგიტიმურობა ეჭვის ქვეშ არ დადგებოდა. „ნაციონალური მოძრაობის“ გამოგონილი რეალობა სინამდვილეს დროთა განმავლობაში ისე დაშორდა, რომ „ვარდების“ ხელისუფლებამ კონტრრევოლუციის დისკურსს ვერანაირი რეალური პროგრამა ვეღარ დაუპირისპირა. საქართველოს ისტორიის ამ პატარა მონაკვეთში გამოჩნდა ის, რასაც მე „რევოლუციური დიალექტიკა“ ვუწოდებ და რის ფართო ისტორიულ და გლობალურ ჭრილში განხილვასაც აქ შევეცადე.

*რევოლუციის დიალექტიკა
ქართულ პოლიტიკაში*
გვ. 36




დავით ბუზრინიძე

ძალიან ადრე, 70-იან წლებში კლასიკურ მუსიკას ძირითადად, რადიოთი გადმოსცემდნენ. სწორედ იმ დროიდან ჩამჩნა მაგალითად, თებერვლის სუსხიან საღამოს მოსმენილი ლისტის „ქარბუქი“, რომელსაც ერთი მისტიკური გვარ-სახელის მქონე კაცი – სვიატოსლავ რისტერი უკრავდა. მოგვიანებით მუსიკა ჩემს წარმოდგენაში ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოსთა საერთაშორისო კონკურსსა და მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს გაერთიმა, რადგან ორივე ოთხ წელიწადში ერთჯერ და ზაფხულში იმართებოდა.

სტუდენტობაში ჩემი პირველი უშუალო აღმოჩენა იყო როგორ უკრავდა ელისო ვირსალაძე შუმანის საფორტეპანი პიესებს. შავი, მკაცრი კაბა, ხელების წარმოდგენლად ზუსტი და ძუნწი მოძრაობა, თითქმის იდეალური ტექნიკა... ჩემს ნაცნობს კი, რომელთაც მუსიკა ნაკლებად გაეგებოდათ, ეგონათ, რომ პიანისტი ქალები ძირითადად, უბედურები ან ქვრივები არიან!

და აი, ამ ზაფხულს აღმოვაჩინე ყოვლად ფერადი, მომხიბვლელი, ოპტიმისტი, ნიჭიერი, ძალღების, პოლოსა და შუბერტის მოყვარული შესანიშნავი პიანისტი – დუდანა მაზმანიშვილი. სწორედ ელისო ვირსალაძის მონაფე, საერთაშორისო კონკურსებში განვრთნილი და ამავე დროს საქართველოს კულტურის ატამე ბერლინიში... გაეცანით ამ დახვეწილი გემოვნების მქონე მუსიკოსის პორტრეტს და დარწმუნდებით, რომ პიანისტი ქალები დეპრესიულეები სულაც არ არიან!

ჰარმონიის გაკვეთილები...
გვ. 28



გიორგი გოგოლაშვილი

ოქტომბრის ნომრის შესახებ მალაზ ხარბედიას პირველად თვეებით ადრე ვესაუბრე. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატთა ვინაობაც კი არ იყო ნესიერად ცნობილი. კარგი დრო იყო. რედაქტორის შემოთავაზება არა მხოლოდ წლის მთავარ მოვლენას ეხებოდა, არამედ ისეთ თემსაც, რომლის შესახებაც ბევრს ვფიქრობ, რომელიც ძალიან მადარდებს. ამიტომ შემოთავაზებამ გამახარა. მაგრამ მაშინ იმედი მქონდა, რომ წინ რაღაც ნაყოფიერი – იქნებ აზრიანიც კი – გველოდა. მწარედ ვცდებოდი. სინამდვილეში, ყველაფერი ზუსტად ისე განვითარდა, როგორც ადრე. ხარისხობრივი თვალსაზრისით, შესაძლოა უფრო უარესადაც კი. ადამიანისთვის, რომლისთვისაც პოლიტიკა კონკრეტულ მნიშვნელობებს იძენს, რომელსაც გააჩნია იდეალები და იდეები, რომელთა რეალიზაციის ნახვაც სურს, რომელსაც ადარდებს ადამიანების ბედი და სახელმწიფოს მომავალი, ასეთი ადამიანისთვის – ჩემდა საუბედუროდ, ერთი ასეთი თავად გახლავართ – მტკივნეულია ერთიადიგიეობის ბურუსში გახვეული პოლიტიკისა და სახელმწიფოს ყურება. მტკივნეული და მოსაბეზრებელი. საქართველო ტრიალებს მოჯადოებულ წრეში, რომელიც არ გარღვეულა, რადგან არავის აღმოაჩნდა საკმარისი სურვილი და, რაც მთავარია, უნარი, გაერღვია ეს წრე. ეს ის წრეა, რომელშიც ყველანი ზაზუნებივით გამოვმწყვედეულვართ და რომელიც საბოლოოდ საქართველოს სახელმწიფოს გაგულდას. ეს მაშინ მოხდება, როდესაც აგონიაში მყოფ საქართველოს პოლიტიკურ სხეულში, დამქანცველი წრიულობა საბოლოოდ გაანადგურებს თავისუფლებისა და პროგრესის იდეასა და სურვილს. ამიტომ წრე დაუყონებლივ უნდა გაირღვეს. მაგრამ, ვინ გაარღვევს წრიულობას?

Sede Vacante ჩვენს სამეფოში
გვ. 42




Crème Fraîche® კრემ ფრეში



24 სთ მოქმედების დამატენიანებელი და დამაშვილებელი კრემი

- ალოე ვერა / 8 მცენარის რძე - ატენიანებს კანს და უნარჩუნებს ტენიანობის ოპტიმალურ დონეს.
- თეთრი ნუში და ფორთოხლის ყვავილი - ამშვიდებს კანს და ხსნის გაღიზიანების შეგრძნებას.



„საბა“ 2013

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი
ფოტო: ნაპანიშვილი

23 სექტემბერს, რუსთაველის თეატრში, „საბას“ დაჯილდოების მეთერთმეტე საზეიმო ცერემონიაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ წიგნები პირველ რიგში, სწორედ თანამედროვე საზოგადოებისა და ეპოქის გამოსაფხიზლებლად იწერება. ამის დასტური იყო გიორგი მაისურაძისა და ნაირა გელაშვილის მწვავე განცხადებები, რომლებიც მათ ვილდოს მისაღებად სცენაზე ასვლისთანავე წარმოთქვეს:

„სამწუხაროდ, ლიტერატურას ჯადოქრობა არ შეუძლია, არადა ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში, სადაც სამწუხაროდ ისეთი კანონიც არსებობს, რომელსაც მარისხუნას მომხმარებლების ციხეში გამოწყვდევა შეუძლია, სადაც პოლიტიკოსები ზოგჯერ ერთმანეთს წამქეზებლობაში ეჯიბრებიან, სადაც ამბიონებიდან ხშირად სიძულვილი და შეუწყნარებლობა იქადაგება და სადაც 17 მაისს გაუგონარი სისასტიკის და ძალადობის ალღუმის მომსწრენი აღმოვჩნდით, ასეთ დროს ლიტერატურას ალბათ განსაკუთრებული ფუნქცია უნდა ჰქონდეს და მადლობას ვუხდით იმ ადამიანებს, ვისაც ასეთ რთულ ვითარებაში ლიტერატურის განვითარებისთვის

მხარდაჭერა არ შეუწყვეტია“ – აღნიშნა გიორგი მაისურაძემ, რომელმაც „საბა“ ზედიზედ უკვე მეორედ, წლის საუკეთესო ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ნომინაციაში მიიღო.

მწერალმა და მთარგმნელმა ნაირა გელაშვილმა კი, რომელმაც „საბა“ წლის საუკეთესო რომანისთვის („მე ის ვარ“) მიიღო, ლიტერატული წრის წარმომადგენლებს ზუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოლიდარობისკენ მოუწოდა:

„თუ ეს პროექტი განხორციელდა, მთელი სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აჭარა და შემდეგ უკვე სხვა რეგიონებიც, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებიან, ათასობით და ათიათასობით ჰექტარი წყალში ჩაიძირება და ჩვენ შეგვრცხვება, რომ ამ დროს ვცხოვრობდით, მწერლები ვიყავით, ვწერდით და პრემიებს ვიღებდით. მე მოვუწოდებ მწერლებს, მოაწერონ ხელი ამ პროექტის წინააღმდეგ“.

ტრადიციული ნომინაციების გარდა, წელს პრემია „საბას“ ახალი ნომინაციაც შეემატა, რომელიც ქართველ და უცხოელ მთარგმნელებს, ქართული ლიტერატურული ნიმუშების უცხო ენაზე თარგ-

მნისთვის აჯილდოებს. ამ ნომინაციის დებიუტანტი გამარჯვებული ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი გახდა, რომელმაც თამთა მელაშვილის რომანი „გათვლა“ გერმანულ ენაზე, სწორედ გასულ წელს თარგმნა.

რაც შეეხება დანარჩენ ნომინაციებს, ოთხკაციანი ჟიურის (პაატა შამუგია, გივი შახნაზარი, ქეთი ქანთარია და მანანა ლარიბაშვილი) გადაწყვეტილებით ის ასე გადანაწილდა: დებიუტანტ ავტორებს შორის მარინა ელბაქიძე გამორჩიეს პროზაული კრებულით „გაცვლა“, საუკეთესო ქართული თარგმანის ავტორად, უ. ფოლკენერის რომანის – „დროები მტვერში“ თარგმნისთვის ზაზა ჭილაძე დაასახელეს; საუკეთესო პიესის ნომინაციაში გამარჯვება ალექს ჩიღვინაძეს ხვდა წილად, პიესისთვის – „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“. პოეტებს შორის ლია სტურუა, ხოლო პროზაულ კრებულებს შორის ირაკლი სამსონაძის – „შემკრთალი ქუჩა“ გამოარჩიეს. „საბას“ საპატიო ვილდო, ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის კი ფილოლოგსა და მთარგმნელს ზურაბ კიკნაძეს მიენიჭა.



მძვინვარე ცეცხლი ლოკალიზებულია

როგორც კი ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა სახლები დატოვეს, მენამრეები საეჭვო ხანძარს ეკვეთნენ. პოლიცია და სასწრაფო დახმარების ჯგუფები ადგილზე წუხელ გვიან ღამით გამოცხადდნენ მას შემდეგ, რაც გაისმა სატელეფონო ზარები და მიიღეს ინფორმაცია, რომ ცეცხლის ალი უკვე სახლის სასტუმრო ოთახს იყო მოდებული.

ერთმა შემფოთებულმა მეზობელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის ინციდენტით შოკირებული იყო. "ნაგავს ვყრიდი, როცა მეზობელი გიორგის ფანჯარაში ცეცხლი შევნიშნე. დარწმუნებული ვიყავი, რომ სახლის მფლობელი ჯერაც შიგნით იყო." მაშველთა სამსახური რამდენიმე წუთში გამოცხადდა, თუმცა სახლის მფლობელი დაბნეული დახვდა.

ის უარს აცხადებდა სამედიცინო დახმარებაზე, იმეორებდა, რომ ცეცხლი არ დაუნახავს და რომ ყველაფერი რაღაც შეცდომა იყო.

სახლის საფუძვლიანი დათვალიერების შემდეგ სახანძრო სამსახურის უფროსმა ადგილზევე განაცხადა, რომ "სახლში ხანძარი არ იყო", შემდეგ კი დაამატა, რომ "ეს იყო არა

უფუნურთა ნაპოვნი და არა რომელიმე სურდათ ავარიული სამსახურების დროის ფუჭი დაკარგვა, არამედ ახალი Sharp 90 Aquos ტელევიზორის შესანიშნავი ხარისხის გამოსახულება.

ბრალს არავის წაუყენებენ, რადგან მფლობელი პასუხისმგებელი ვერ იქნება კინოფილმის ასეთი საუკეთესო ხარისხის ეკრანზე ყურების გამო.



AQUOS

სახლში ადარასოდეს უყურებთ ძველებურად

წარმოგიდგინთ ახალ Sharp 90-დუიმიანი Aquos – მსოფლიოში ყველაზე დიდ თხევადკრისტალურ ტელევიზორს. მსოფლიოში პირველი, მე-10 თაობის UV2A ტექნოლოგიით დამზადებული სატელევიზიო პანელი შეგიქმნით შეუდარებელი სამგანზომილებიანი სივრცის განცდას.

პანელი დამზადებულია იაპონიაში.

SHARP

8 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

ფესტივალი



მე - 16 ჯაზფესტივალი თბილისში

როდის: 28.10 – 1.11

სად: თბილისის საკონცერტო დარბაზი

მისამართი: მელიქიშვილის ქ. №1

ბილეთის ღირებულება: 20-150 ლარი

თბილისის ჯაზფესტივალს წელს ჯაზის სამყაროში გამორჩეულად ლეგენდარული სახეები – ნატალი ქოული, მარკუს მილერი და ავიში კოენი ეწვევიან. ფესტივალს 28 ოქტომბერს ამერიკელი ბასგიტარისტი მარკუს მილერი გახსნის. ქართველი მსმენელის წინაშე ის უახლესი მუსიკალური ტურნს – Renaissance-ის ფარგლებში წარდგება. როგორც აღნიშნული ტურნეს ანოტაციიდან ვიგებთ, მუსიკოსი ჯაზის მოყვარულებს ახალ მუსიკალურ გამოცდილებას ახალგაზრდა მუსიკოსებთან ერთად გაუზიარებს, რომელთა შორის არიან: ალექს ჰანი (საქსოფონი), ლი ჰოგანსი (საყვირი), ადამ აგატი (გიტარა), ბრეტ უილიამსი (კლავიში) და რობერტ „სპუტ“ სერრაითი (დრამი). ფესტივალის მეორე დღე თანამედროვე ჯაზის შემსრულებელს, ბასისტს ისრაელიდან – ავიში კოენს დაეთმობა, რომელიც თავისი მუსიკალური გამოცდილებით ჯაზის ისეთ დიდ წარმომადგენლებს ეყრდნობა, როგორებიც არიან – ჩიკ კორეა, ჯაკო პასტორიუსი, მაიკლ კლინჰოფერი და სხვები. Avishai Cohen with Strings – ასე ჰქვია პროექტს,

რომლითაც ავიში კოენი თბილისის ჯაზფესტივალს სიმებიან კვარტეტთან ერთად ესტუმრება.

ჯორჯ დოუკისა და მაილს დევისისადმი მიძღვნილი საღამოების შემდეგ კი, რომელსაც DJ Logic თავის მეგობრებთან ერთად „ივენთ პოლიში“ გამართავს (28, 29 და 30 ოქტომბერი), ფესტივალს უამრავი მუსიკალური ფესტივალის გამარჯვებული ნატალი ქოული დახურავს – იმ ვივითა ჯაზშემსრულებელთა შორის ერთ-ერთი, ვისთვისაც სიძველის ახლებური ინტერპრეტაცია და უანრული მრავალფეროვნება განსაკუთრებული ინტერესის საგანია.

თბილისის მეთექვსმეტე ჯაზფესტივალზე დასასრულები ბილეთების ღირებულება 20 ლარიდან 150-ლარამდე მერყეობს. თიბისი ბანკის საკრედიტო ბარათების მფლობელებსთვის, ტრადიციულად, სპეციალური (15-20%) ფასდაკლებაც მოქმედებს. ბილეთებისა და კონცერტების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად კი ეწვიეთ ჯაზფესტივალის ოფიციალურ გვერდს ინტერნეტში, რომლის მისამართია – tbilisijazz.com.

„სარუჰარა“ თეატრის მოყვარულებს უბრუნდებათ

როდის: 13.10 – 27.10

სად: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, გრიბოედოვის თეატრი, მ.თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – „საჩუქარი“, ოთხნობიანი პაუზის შემდეგ, მაყურებელს კვლავ ისეთივე მრავალფეროვან და საინტერესო პროგრამას სთავაზობს, როგორც ეს დაარსებიდან თეთრთმეტი წლის განმავლობაში იყო. აღსანიშნავია, რომ ამ ფესტივალმა ქართველი მაყურებლისთვის სიახლის შეთავაზებას საფუძველი 1997 წელს ჩაუყარა, მაშინ როდესაც ქვეყანა რთულ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში იმყოფებოდა. სწორედ ასეთ დროს, ქართველი თეატრალების ინიციატივითა და პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალებთან (ედინბურგის, ადელაიდის, მელბურნის, პელტის და სხვა) თანამშრომლობით, ფესტივალ „საჩუქარის“ ფარგლებში, თეატრის ქართველ მოყვარულებს საერთაშორისო დონის სპექტაკლებზე დასწრების საშუალება მიეცათ. 1990-იანების მიწურულიდან მოყოლებული, ფესტივალი ყოველწლიურად ერთი უმთავრესი მიზნისთვის ტარდებოდა, რომელსაც „საჩუქარის“ საორგანიზაციო გუნდი შემდეგნაირად განმარტავს:

„ჩვენი ფესტივალის მიზანი ყოველთვის იყო და იქნება კულტურათაშორისი ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება, რადგან ხშირად ქვეყნებს შორის არეულ პოლიტიკურ ვითარებაში ხელოვნების ენა ერთადერთ საკომუნიკაციო საშუალებად რჩება ხოლმე და ამ ენას მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ადამიანი მიმართავს. ამ ენაზე მოსაუბრეთ კი არ სძულთ, არამედ უყვართ, რადგან შექმნის და შექმნილით

RESCUE

ბახის ყვავილები

ბახის ყვავილოვანი თერაპია შემუშავდა 80 წლის წინ ინგლისელი ექიმის ედვარდ ბახის (1886-1936) მიერ და დღეისათვის ფართოდაა აღიარებული მთელს მსოფლიოში.

ბახის თერაპია ეხმარება გაანეიტრალოს „ადამიანის ბუნების უარყოფითი მდგომარეობა“. მოუთმენლობა, გაღიზიანებადობა, მენჯრილმანებობა, არათავდაჯერებულობა, ეჭვიანობა და სხვა არასასიამოვნო შეგრძნებები.

ბახის ყვავილებს მივყავართ სრულ პარმონიამდე

ბახის ყვავილებზე შექმნილი პრეპარატების მიღება ეხმარება შეიცვალოს პათოლოგიური ქცევების ალგორითმი, ადამიანის ყოველდღიური რეაქცია და ამით გააუმჯობესოს ჯანმრთელობის მდგომარეობა და თითოეული ჩვენთაგანის სიცოცხლის ხარისხი.

ექიმი ბახის ორიგინალური ყვავილოვანი საშუალებები არის:

- ეფექტური
- ნატურალური
- აბსოლუტურად უსაფრთხო
- არ იწვევს ალერგიულ რეაქციებს და სხვა გვერდით ეფექტებს
- არ აქვს უკუჩვენება და ასაკობრივი შეზღუდვა
- არ იწვევს შეჩვევას
- შესაძლებელია ნებისმიერ სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად მიღება
- ბახის ყვავილები გამოიყენება როგორც საპროფილაქტიკოდ, ასევე ნებისმიერი დაავადების დროს კომპლექსურ თერაპიაში.



რესქიუ რემედი (Rescue Remedy)

სასწრაფო დახმარება ექსტრემალურ სიტუაციებში მთელი ოჯახისათვის

- რესქიუ რემედი - ყველაზე ცნობადი და გავრცელებული პრეპარატია ბახის ყვავილებს შორის.
- რესქიუ რემედი - შედგება ბახის ხუთი ყვავილოვანი ესენციისაგან, მოქმედებს, როგორც დამამშვიდებელი (მომენტალურად) ნებისმიერ სტრესულ სიტუაციაში.
- რესქიუ რემედი - საუკეთესო საშუალება სტრესის მოსახსნელად
- რესქიუ - ცნობილია, როგორც „მამველი“, შეუცვლელია გამოუვალ სიტუაციებში და ეხმარება შეამსუბუქოს მძიმე დარტყმები კრიზისულ სიტუაციებში და ცხოვრების მძიმე პერიოდში.
- რესქიუ რემედის არ ახასიათებს სედაციური მოქმედება, და იდეალურია მძღოლებისათვის.
- „მამველის“ კომპაქტური ფლაკონის თან ტარება მოსახერხებელია ჯიბით ან ხელჩანთით, რათა მოეხსნოს პანიკის შეტევის შეჩერება განსაკუთრებული სანერვიულო სიტუაციების, ასევე სერიოზული სიახლეების დროს თქვენს ცხოვრებაში.



რესქიუ ღამის სპრეი (Rescue night)

სულიერი სიმშვიდე მშვიდი ძილისათვის

- რესქიუ ღამის სპრეი შეადგენს ბახის 6 ყვავილის უნიკალურ ბალანსს.
- რესქიუ ღამის სპრეი დაგეხმარებათ აკვიატებული, არასასიამოვნო აზრებისაგან გონების გათიშვაში.
- რესქიუ ღამის სპრეი დაგეხმარებათ მშვიდად დაძინებაში.

გამოყენება და მიღების წესი:

რესქიუ რემედი სპრეი: ბავშვებში 2 წლიდან და მოზრდილებში 2 შესხურება ენის ქვეშ . გამოიყენება უშუალოდ სტრესული სიტუაციების დროს.

რესქიუ ღამის სპრეი: ბავშვებში 2 წლიდან და მოზრდილებში 2 შესხურება ენის ქვეშ უშუალოდ ძილის წინ. გაღვიძების შემთხვევაში შესაძლებელია განმეორებით შესხურება.

გამოშვების ფორმა: რესქიუ რემედი სპრეი 20მლ (200 დოზა)

რესქიუ რემედი სპრეი 7მლ (70 დოზა)

რესქიუ ღამის სპრეი 20მლ (200 დოზა)

მწარმოებელი: "A. NELSON & CO LIMITED" ინგლისი (უიმბლდონი, ლონდონი)

ტკობის უნარი ადამიანს ყველაფერზე მაღლა აყენებს“.

ნინა წლების მსგავსად, ფესტივალის მასურებელს წელსაც ძალიან მრავალფეროვან პროგრამას შესთავაზებს. თითქმის მთელი ოქტომბრის განმავლობაში ქართველი მასურებელი საერთაშორისო თეატრის ისეთ გამორჩეულ წარმომადგენლებს გაეცნობა, როგორებიც არიან: პიტერ ბრუკი, ირინა ბრუკი, დიმიტრი კრიმოვი, კულბერგ ბალეტი და სხვა. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, წელს ფესტივალის სტუმრებს შორის ვეღარ იქნება საშა ვალცი.

ფესტივალის პროგრამა სპექტაკლებისა და პრემიერების გარდა, ქუჩის თეატრის წარმომადგენებსა და თეატრალიზებულ კონცერტებსაც დაეთმობა. მონეული დასებიდან უდავოდ გამორჩეულია რუსი რეჟისორის, დიმიტრი კრიმოვის ლაბორატორია, რომელიც რუსთაველისა და თუმანიშვილის თეატრებში რამდენიმე სპექტაკლით წარსდგება. მათ შორის აღსანიშნავია „ოპუსი ნომერი 7“, რომელიც ორ ნაწილად (1. გენეალოგია, 2. მოსტაკოვიჩი) იქნება წარმოდგენილი, ასევე მეიერჰოლდის ცენტრთან ერთად ივანე ბუნინის მოთხრობების მიხედვით დადგმული სპექტაკლი – „კატია, სონია, პოლია, გალია, ვერა, ოლია, ტანია.....“ და ასევე კრიმოვის უახლესი ნამუშევარი – „ონორე დე ბალზაკი, ჩანაწერები ბერდიჩევზე. ჩეხოვის სამი დის მიხედვით“, რომელსაც მსოფლიო პრემიერის ფარგლებში, ნიუ-იორკის შემდეგ, პირველად სწორედ თბილისში წარმომადგენენ. ფესტივალის პროგრამაშია ასევე თანამედროვე თეატრის გამორჩეული რეჟისორების, პიტერ და ირინა ბრუკების სპექტაკლები და გაი მასტერსონი მონო-სპექტაკლით – „შაილოკი“.

ფესტივალის თბილისში 13-დან 27 ოქტომბრამდე გაგრძელდება. სპექტაკლებისა და ბილეთების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ენვით ფესტივალ „საჩუქარის“ ოფიციალურ ვებგვერდს, რომლის მისამართია: www.giftfestival.ge



ილიკო ბაუტაშვილი, პერფორმანსი „პარ შა შენ“, მირზანი, 1998

თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – „არტისტერიუმი“

როდის: 4.10 – 14.10

თბილისის კულტურული სივრცე ყველაზე ფართო მასშტაბისა და მნიშვნელობის მქონე თანამედროვე ხელოვნების ფესტივალს – „არტისტერიუმს“ უკვე მეექვსედ, ტრადიციულად ოქტომბრის პირველ ნახევარში უმასპინძლებს. ფესტივალის მთავარი თემა წელს განსხვავებული, უჩვეულოს, გაუგებრის მიღება-არმიღებას უკავშირდება, რაც დღევანდლობის მნიშვნელოვანი პრობლემაა. „ვარ მე შენ?“ – ასეთი სახელწოდება აქვს რიგით მეექვსე „არტისტერიუმს“ იდეას, რომელსაც ფესტივალის დამფუძნებელი მაგდა გურული ასე ხსნის:

„უამრავი ფილოსოფიური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური თეორია აღწერს ჩვენს დამოკიდებულებას ეროვნების, რელიგიების უმცირესობების, განსხვავებულად მოაზროვნეთა, გვერდით მყოფი ადამიანის“ – „სხვის“ მიმართ. როგორც უკ დერიდა ამბობს, „სხვას ვერასოდეს გაიგებ როგორც თანყოფნას (პრესენცე)... „სხვას“ ყოველგვარი კავშირი აქვს განწყვეტილი თანყოფნის ფენომენოლოგიურ მეტაფიზიკასთან – „სხვას“ ვერასოდეს გაიგებ თეორიულ აქტში; ეს მხოლოდ ეთიკური პასუხისმგებლობის მეშვეობითაა შესაძლებელი: მე ვიღებ პასუხისმგებლობას სხვაზე“. ეთიკური პასუხისმგებლობის აღების სირთულე და ზოგ შემთხვევაში შეუძლებლობა, ხშირად ხდება კულტურული გაუცხოების, რელიგიური, ტერიტორიული თუ პირადი კონფლიქტების მიზეზი“.

სახელწოდების ინსპირაციის წყარო გახდა ქართველი მხატვრის, ილია ზაუტაშვილის პერფორმანსი – „ვარ მე შენ?“ (1998 წ.). მასში ოთხი მონაწილე 2-წყვილადაა გაყოფილი, რომლებიც ერთმანეთის „გაგებას“ ცდილობენ, მაგრამ წინააღმდეგობებს აწყდებიან. პირველ წყვილს თვალები აქვს ახვეული და ერთმანეთს ეხებიან, მეორე წყვილი კი სხვადასხვა ენაზე დაწერილ წიგნს ხმამაღლა, ერთდროულად კითხულობს. ნამუშევარი აჩვენებს კომუნიკაციის სირთულეს, როცა მხოლოდ საკუთარ ენაზე, სიტყვების ფორმალურობაზე და კულტურულ ან ქცევით (ბეჭავიორალ) სტერეოტიპებზე ხარ კონცენტრირებული, ან როდესაც სუბიექტის მიღება-არმიღება წინასწარგანწყობით შემოიფარგლება.

თანამედროვე ხელოვნების მეექვსე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს სთავაზობს იკვლიონ ისეთი ფენომენი, როგორიცაა – „სხვისი“. წლევანდელი თემა იმ გავლენების აღმოჩენის საშუალებასაც იძლევა, რომელიც აყალიბებს ჩვენს დამოკიდებულებას გარშემო არსებული მრავალფეროვანი ნაზრებისა თუ გამოვლინების, თუნდაც სიცოცხლის სხვა ფორმების მიმართ (ფლორა, ფაუნა), რომლებიც ჩვენს გვერდით ამ პლანეტაზე არსებობენ.

„არტისტერიუმი 2013“-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები თბილისის რამდენიმე საგამოფენო სივრცეში გაიმართება. დამატებითი ინფორმაციისთვის ენვით ფესტივალის ვებგვერდს – <http://artisterium.org/main.html>



აქტიურებს თქვენს ბუნებრივ სილამაზას



მე ვეხ ბანსახუთხაბუდი



მეჩვის სპეციალური დრაჟეა
გლუვი ხანი, მგზინვარე თვა

ენიხალური ჯოგბინაცია
ლა მბანიცა ფრჩხილაბი

ღარგადუალა მარმანაბი
www.merz-spezial.com



თბილისი ფარმაკია
ABC PHARMACIA
www.abc-pharm.com



გამოყენების წინ გავაწიეთ ინსტრუქცია. პრეპარატის უკუყენებისა და გვეჩილით მოვლენების შესახებ, ექალუხი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ უჩემს.

ურბანული ხელოვნების ფესტივალი – „არტ-აქტივი“

როდის: 7.10, 8.10

სად: ქ. რუსთავი, 41-ე საბავშვო ბაღის ტერიტორია

დასაწყისი: 11:00

7 და 8 ოქტომბერს რუსთავი ქუჩის ხელოვნების ფესტივალს უმასპინძლებს. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ფრანგი ხელოვანი ელტონო ენვევა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასთან და მოხალისეებთან ერთად ეცდება ქალაქის ქუჩები უფრო მეტად ცოცხალი და საინტერესო გახადოს. ორგანიზატორების თქმით, ამ ტიპის ღონისძიება პირდაპირ ეხმარება ურბანული სივრცის პრობლემატიკას, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ამიტომ რუსთაველების მონაწილეობით სიმბოლურად მოხატება მიმდებარე ტერიტორიები (სანაგვეები, კედლები, სადარბაზოს კარებები, მიგდებული გარაჟები), ხოლო ყოველი მოხატული ადგილი ერთმანეთს დაუკავშირდება სიმბოლოებით, რაც ახალ კონცეპტუალურ წრეს შეკრავს. პროექტის დასასრულს კი, 41-ე ბაღის ეზოში, ძველი ხის ყუთებითა და პალეტებით საგანმანათლებლო და სახალისო ლაბირინთი აშენდება, რაც შემდგომში ადგილობრივ მოსახლეობას დარჩება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არტაქტის „პარტიზანი მებაღეებიც“ შეურთდებიან, რომლებიც გამწვანების აქციას დედაქალაქის გარდა, რუსთავშიც ჩაატარებენ.



გამოფენა

ნიკა ყაზბეგის „შავ-თეთრი კინო“

როდის: 4.10 – 13.10

სად: „ბაია-გალერეა“

გახსნა: 19:00

მისამართი: შარდენის ქ. 10

გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გრაფიკოსისა და თეატრისა და კინოს მხატვრის, ნიკოლოზ (ნიკა) ყაზბეგის გარდაცვალებიდან 30-ე წლისთავის აღსანიშნავად, „ბაია-გალერეა“ მხატვრის მიერ შესრულებულ იმ ესკიზებს გამოფენს, რომელიც მეოცე საუკუნის ქართული თეატრისა და კინოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. გალერეაში მისული მაყურებელი სამასამდე ქართული და უცხოური სპექტაკლისათუ ფილმების ესკიზებს ნახავს, მათ შორის ისეთი კინოფილმებისა, როგორცაა: „ჯარისკაცის მამა“, „მზევედრა წარსულთან“, „ჩარი-რამა“ და სხვა.



გიორგი ერისთავის 200 წლის იუბილე

როდის: 25.10

სად: საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
მისამართი: ია. კარგარეთელის ქ. №6

ქართული თეატრის ფუძემდებლისა და დრამატურგის, გიორგი ერისთავის 200 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ხელოვნების სასახლე უნიკალურ გამოფენას უმასპინძლებს. ესპოზიციზაზე წარმოდგენილი იქნება პირველი ქართული თეატრალური აფიშები, გიორგი და დავით ერისთავის ხელნაწერები, სპექტაკლ „გაყრის“ ესკიზები, ჟურნალ „ცისკრის“ იშვიათი გამოცემები და სხვა უნიკალური საარქივო მასალები. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ქართული თეატრის ისტორიისადმი მიძღვნილი ფერადი, ორენოვანი კატალოგის პრეზენტაციაც.

სოფი ნეგრინის პერსონალური გამოფენა

როდის: 15.10 – 19.10

სად: „ბაია-გალერეა“

გახსნა: 19:00

მისამართი: შარდენის ქ. №10

სოფი ნეგრინი ფრანგი მოქანდაკეა, რომელიც ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ცხოვრების შემდეგ თბილისში დაბრუნდა. გამოფენებში ის 1997 წლიდან მონაწილეობს. მისი ნამუშევრები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის კერძო კოლექციებშია დაცული. ნეგრინის შემოქმედება ძირითადად აფრიკული მომთაბარე ტომების ხელოვნებას ეფუძნება, რომლებიც ქვისა და ხის მასალის გამოყენებით აბსტრაქტულ ფიგურებს ამზადებდნენ.




სამეცნიერო პიკნიკი

როდის: 5.10

სად: რიყის პარკი

სამეცნიერო პიკნიკი წარმოადგენს ერთდღიან სამეცნიერო შემეცნებით ღონისძიებას ღია ცის ქვეშ, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პიკნიკისთვის რიყეზე გაიშლება კარვები, სადაც წინასწარ შერჩეული ჯგუფები საქართველოდან და საზღვარგარეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებებიდან წარმოადგენენ საკუთარ მიღწევებს სხვადასხვა სახის ექსპერიმენტებითა და ინტერაქტიული გამოფენებით. ღონისძიება უპირველესად განკუთვნილია მოზარდი, სკოლის ასაკის თაობის წარმომადგენლებისთვის, თუმცა ის საინტერესო იქნება ნებისმიერი სხვა ასაკის ადამიანებისთვისაც. ღონისძიების ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტები წარმოადგენენ პროექტს – რობოტების თამაშები“, რომელიც მათ მიერვე შექმნილი დისტანციური მართვის რობოტების შეჯიბრებას გულისხმობს. „სამეცნიერო პიკნიკი“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით უკვე მეორედ იმართება.




საჩუქარი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის
ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

GEORGIAN INTERNATIONAL FESTIVAL OF ARTS
in honor of Mikhail Tumanishvili

29167



საუკუნის ძარცვა

ავტორი: ელენე კანდელიანი

21-ე საუკუნის ევროპის ყველაზე მსხვილი ძარცვა – ასე შეფასდა ის შემთხვევა, რომელიც 28 ივლისს, კანის ლაფვარდოვან სანაპიროზე, სასტუმრო Carlton-ში მოხდა.

კანის ცნობილი კრუაზეტის სანაპირო. ხუთვარსკვლავიანი, ლუქს კლასის სასტუმრო, ასწლიანი გამოცდილებითა და ლეგენდარული ისტორიით, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მსოფლიოს კინოისტორიასთან. სანაპიროს ცოტა ფეხით რომ ჩაუყვები, ფესტივალებისა და კონგრესების სასახლეა, სადაც ყოველ წელს კანის ფესტივალზე მსოფლიო კინოს ვარსკვლავები წითელ ხალიჩაზე მიაბიჯებენ. Carlton-ი კი, როგორც წესი, ვარსკვლავთა შორის ყველაზე რჩეულების მთავარი მასპინძელია. ამ სასტუმროში სპეციალური ლუქს კლასის ოთახებიც აქვთ, რომელთაც ცნობილი ვარსკვლავების სახელები ჰქვია. მაგალითად, შონ კონერის ოთახი, სოფი ლორენის ოთახი და ასე შემდეგ.

1954 წელს აქ თვით ალფრედ ჰიჩკოკი იღებდა თავის ფილმს „დაიჭირეთ ქურდი“ ულამაზეს გრეის კელისთან და კერი გრანტთან ერთად მთავარ როლებში.

ჰიჩკოკის ამ ფილმის სათაურსა

და 60 წლის წინანდელ გადაღებებს ფრანგი ჟურნალისტები ამ ზაფხულს ხშირად ასხენებდნენ. ამ ზაფხულს Carlton-ში რეალური ქურდობა მოხდა, ქურდი კი ამ დრომდე დაჭერილი არ არის.

ალბათ წარმოგიდგენიათ, როგორი დაცვა ეყოლება ხუთვარსკვლავიან ლუქს კლასის სასტუმროს, რომელსაც მსოფლიო ელიტა სტუმრობს. ეს დაცვა გაორმაგდა, როცა 20 ივლისს Carlton-ის ერთ-ერთ ფლიგელში საიუველირო სახლმა Leviev-მა თავისი ძვირფასეულობა გამოფინა. ეს ძვირფასეულობა ტაშკენტში მცხოვრებ ებრაელ მილიარდერს ლევ ლევიევს ეკუთვნოდა – ბიზნესმენმა თავი მოიწონა მსოფლიო ელიტის წინაშე თავისი განძით. უნიკალური კოლექცია სრულად ამართლებდა გამოფენის სახელწოდებას – „Extraordinary diamonds“ – „იშვიათი ბრლიანტები“.

ალბათ ეს გამოფენა ისე ჩაივლიდა, რომ მის შესახებ ვერც ვერაფერს გავიგებდით, რომ არა 28 ივლისს დილით დატრიალებული ამბები.

საგამოფენო დარბაზში რამდენიმე დამთვალიერებელი იყო, როდესაც იქ ბეისბოლის კეპსა და ხელთათმანებში გამოწყობილი, სახეზე

შარფშემოხვეული მამაკაცი შევიდა. მას ხელში პისტოლეტი ეჭირა. ერთ წუთზე ნაკლებ დროში ბატონი ლევიევის განძი უკვე მძარცველის ჩანთაში იდო. მძარცველმა მშვიდად აუარა გვერდი გაოგნებულ დაცვასა და სასტუმროს პერსონალს, სწრაფი ნაბიჯით გაუყვა კრუაზეტის სანაპიროს, მოახტა მოტოციკლეტს და გაუჩინარდა. მას შემდეგ არავის უნახავს და არც არავინ იცის, ვინ არის.

„ის ფეხით წავიდა. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, ყოველგვარი ძალადობის გარეშე. დაყვირებაც კი ვერავინ მოასწრო,“ – ჰყვება პროკურორის თანაშემწე კან გრასი, რომელიც ამ საქმეს იძიებს.

სპეციალისტებმა უკვე შეაფასეს ზარალი – 103 მილიონი ევრო.

კანის პოლიციას ჯერჯერობით მხოლოდ გადაუმონებელი ვერსიები აქვს. ერთ-ერთი ვერსიით, ამ მსხვილი ძარცვის უკან მილან პოპარიჩი დგას – დამნაშავეთა საერთაშორისო ჯგუფის წევრი. ამ ჯგუფმა, რომელსაც „ვარდისფერი პანტერა“ ჰქვია, უკვე 20 წელია ევროპულ სამართალდამცავებს სისხლი გაუშრო. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან, გამოგნებულ დანაშაულებე-

ბს სჩადიან და თან საკუთარი ხელნერა აქვთ. „პანტერები“ ბალკანელი ვეტერანები არიან – 90-იანებში ბალკანეთში მიმდინარე ომებში მონაწილეობდნენ, ახლა კი ახალი საქმე წამოიწყეს. „ვარდისფერ პანტერაში“ 200-მდე წევრია. ისინი მხოლოდ ევროპაში როდი „მუშაობენ“. კონტინენტი არ დარჩენილა, სადაც სამართალდამცავებმა „პანტერების“ კვალი არ ამოიცივნეს – ევროპა, აშშ-ში, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და იაპონიაც კი. ზარალი, რომელიც „პანტერებმა“ მსოფლიოს იუველიერებს მიაყენეს (ისინი მხოლოდ ძვირფასეულობაზე „მუშაობენ“) – 600 მილიონ დოლარს ითვლის.

ამ კრიმინალურმა დაჯგუფებამ მხოლოდ სახელწოდება როდი მოიპარა ცნობილი მულტფილმიდან. ეს მულტფილმი მათთვის სხვადასხვა „პროფესიული“ ხრიკების ინსპირაციაც გახდა. მაგალითად, 2002 წელს ჩერნოგორელმა მძარცველმა მილან ჯოვეტიკმა 800 ათასი დოლარის ღირებულების მოპარული ბეჭედი, თავისი შეყვარებულის სახის საცხის ქილაში გადამალა. ისე, როგორც მულტფილმშია.

2007 წელს კი „ვარდისფერი პანტერის“ წევრებმა ტოკოს პრესტიჟულ რაიონში გინზაში საიუველირო მაღაზია გაიტანეს. თავდამსხმელები გამორჩეულად კარგად ჩაცმულები იყვნენ – ძვირადღირებულ კოსტიუმებში, თეთრ, ქათქათა პერანგებში. ხელში ყველას ქოლგა ეჭირა. დანაშაულის ადგილიდან ისინი ველოსიპედებით მიიმალნენ. ძარცვას 36 წამი მოანდომეს.

მილან პოპარიჩის ბიოგრაფია პოლივედური ფილმის გმირის ისტორიას ჰგავს. 2009 წელს შვეიცარიელმა სამართალდამცავებმა მისი დაკავება მოახერხეს და შვიდი წლით ციხეში ჩასვეს. თუმცა, წელს, 25 ივლისს, პოპარიჩმა გაქცევა მოახერხა – მას კალაშნიკოვებით შეიარაღებული თანამზრახველი დაეხმარა. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ციხიდან გამოქცეული პოპარიჩი ლაჟვარდოვანი სანაპიროსკენ გაემურა და გაქცევი-



დან სამ დღეში კანში საუკუნის ძარცვა მოაწყო. თუმცა, ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდებია.

ამ ძარცვას უკვე უწოდეს ევროპაში ყველაზე მსხვილი და ანტვერპენში 2003 წელს მომხდარ შემთხვევასაც შეადარეს. 2003 წელს ანტვერპენში მძარცველებმა „ალმასის ცენტრი“ გაძარცვეს და 100 მილიონი ევროს ალმასები გაიტანეს.

სამართალდამცავებისა და იუველიერების გარდა, „ვარდისფერი პანტერა“ სერიოზულ პრობლემად ექცა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ ბრიტანულ სადაზღვევო კომპანიას – Lloyd's-საც. ხანგრძლივი ისტორიის მქონე, ყველაზე სანდო სადაზღვევო კომპანია Lloyd's-ი იუველიერების საყვარელი დამზღვევია და ამდენად „პანტერების“ „შემოქმედება“ ამ კომპანიას ძალიან აზარალებს.

კანში მოპარული ბრილიანტებიც სწორედ აქ იყო დაზღვეული.

სამართალდამცავების პარალელურად, მძარცველის პოვნის საქმეში ეს კომპანიაც ჩაერთო. იმ ადამიანს, ვინც პოლიციას დაუკავშირდება და კანის მძარცველზე საჭირო ინფორმაციას მიაწვდის, Lloyd's-ი ერთ მილიონ ევროს ჰპირდება. პრემიას გადაიხდიან მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში, თუ ინფორმაცია რეალურად დაეხმარება პოლიციას. თუ პოლიციას ინფორმაციით რამდენიმე ადამიანი მიმართავს, ჯილდოს მხოლოდ პირველი ინფორმატორი მიიღებს. გამოქვეყნდა ელექტრონული ფოსტის მისამართიც, რომლის მეშვეობითაც ინფორმატორი პოლიციას უნდა დაუკავშირდეს. reward1million@gmail.com – ყოველი შემთხვევისთვის აქაც ეწეროს. ვინ იცის, იქნებ ჩვენს მკითხველებს შორისაც არიან პოტენციური მილიონერები.

ვიდრე პოლიცია საუკუნის მძარცველს ეძებს, პოლივედი დროს არ კარგავს. ამბობენ, რომ მსოფლიო კინონიდუსტრიის წარმომადგენლები უკვე დაინტერესდნენ Carlton-ში მომხდარი არაჩვეულებრივი ძარცვით. ასე რომ, შესაძლოა, ძალიან მალე ლაჟვარდოვანი სანაპიროს ეს სასტუმრო კიდევ ერთხელ იქცეს გადასაღებ მოედნად, ფილმისთვის, რომელიც რეალურ ისტორიას დაეფუძნება.

რუბრიკას წარმოგიდგინთ „ალდაგი“
www.facebook.com/aldagi





მესამე თაობა: შოტლანდია

ავტორი, ფოტო: ანა ბაყაშვილი

მაისი, 2013 წელი



შესავალი


„ემშაკს აცვია პრადა“ იცით? და ის თუ იცით, სამღვდელეობას რომ „არმანი“ აცვია? ამ წუთას ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ორი წლის წინ დასავლური მედია იუნყებოდა, კათოლიკური ეკლესია „არმანის“ შეკერილ უნიფორმებს ეტანებაო.

დავუბრუნდეთ „პრადას“. და ემშაკს. წიგნი თუ არ გაქვთ წაკითხული, დიდი შანსია, რომ ფილმი გქონდეთ ნანახი, მერილ სტრიპისა და ენ პეთევეის მონაწილეობით. წიგნი კიდევ უკეთესია. ამერიკელმა ქალმა, ლორენ ვეისბერგერმა დაწერა და, სხვათა შორის, ერთ-ერთი იმ ბესტსელერთაგანია, აეროპორტების წიგნის მაღაზიის დახლებს რომ ამშვენებს.

მოკლედ, იმდენად კარგი წასაკითხია, რომ ამას წინათ, ვეისბერგერის სხვა, 2005 წლის რომანიც წავიკითხე – „ყველა, ვისაც უნდა იცნობდე“. ეს უკვე ისეთი რომანია, გარეკანზე საგულდაგულოდ რომ აწერია, „ემშაკს აცვია პრადას“ ავტორისაგან არისო, თუმცა ამ უკანასკნელ რომანს დიდად არ ჩამოუვარდება. განსაკუთრებით, რამდენიმე პასაჟი.

ერთ-ერთი ასეთი პასაჟი მთხრობელი გოგონას ბიძასთან, უილთან არის დაკავშირებული. ეს კაცი 60-ს გადაცილებული გეია, მეტიც, ერთადერთი მემარჯვენე გეი, რომელიც მანჰეტენის ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობს, ცნობილი გამოცემის – კულტურა/საზოგადოების ბლოკის მესვეტეა და უარს ამბობს, წეროს კულტურაზე ან საზოგადოებაზე, და საკმარისია, სულ ცოტა ხნით ტელევიზორი Fox News-იდან MSNBC-ზე გადართოს, რომ New York Times-ს „იზვესტიას“ უძახის.

ჰოდა, ერთი ათასსიტყვიანი სვეტი უილს, მაგალითად, იმის ახსნისთვის აქვს მიძღვნილი, თუ რატომაა გაერო ხორცშესხმული ბოროტება. რატომ და იმიტომ, რომ ამ სუპერტექნოლოგიების ხანაში, გაუგებარია, რატომაა საჭირო ყველა დიპლომატის ფიზიკური ყოფნა ნიუ-იორკში?! ...ჩამოდიან და საუკეთესო პარკინგადგილებს და რესტორნების საუკეთესო მაგიდებს



„ემშაკს აცვია პრადა“ იცით? და ის თუ იცით, სამღვდელეობას რომ „არმანი“ აცვია? ამ წუთას ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც გაეტყვით, რომ ორი წლის წინ დასავლური მედია იუნყებოდა, კათოლიკური ეკლესია „არმანის“ შეკერილ უნიფორმებს ეტანებაო.

იკავებენ და თავისი წვლილი შეაქვთ ისედაც ჭარბ არაინგლისურენოვან გარემოში. რატომ არ შეიძლება, რომ თავიანთი ხმები ი-მეილებით გამოავაზონ თავ-თავიანთი ქვეყნებიდან? რატომ უნდა გაეწვალდეთ საცობების და უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული კომარების გამო, მაშინ, როცა მათ მაინც არაფერ უშემს? და თუ კატეგორიულ უარზე არიან, სახლებიდან ელექტრონულად იმუშაონ, ეგებ გადავიტანოთ მთელი ეს ამბავი ლინკოლნში, ნებრასკას შტატში და ვნახოთ ერთი, ისეთივე შეშლილები თუ იქნებიან სამყაროს გაუმჯობესების საკითხებზე.

ეს პასაჟი განსაკუთრებით იმიტომ მომეწონა, რომ წაკითხვამდე ცოტა

ხნით ადრე მსგავსი საკითხებით მეც შევწუხდი. სამყაროს გაუმჯობესებას არ ვგულისხმობ. ბიუროკრატიული ამოება მაქვს მხედველობაში – აი, მაგალითად, 2000-იანი წლებიდან მომრავლებული არასამთავრობო სამსახურები საქართველოში, მყვირალა სახელებით ინგლისურ ენაზე („გადავარჩინოთ ბავშვები!“, „დემოკრატიის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების იმპლემენტაციის საერთაშორისო რეგიონალური ინსტიტუტი“ და სხვ.), სადაც მუდმივად დაკავებული და თითქმის მუდმივად სერიოზული უამრავი ადამიანია დასაქმებული იერარქიის მრავალსაფეხურიან და მრავალწახნაგოვან კიბეზე და რომელთა (ამ სამსახურების) არსებობის

შედეგები თითქოს მხოლოდ ამ დაქირავებულთა ხელფასებზე აისახება და ჰა-ჰა იმაზე, რომ ეს დაქირავებულები იძენენ ისეთ ჩვევებს, როგორცაა შენობებში სიგარეტის არმონევა, სწავლობენ ისეთ სიტყვებს, როგორცაა „ტრენინგი“, „პოზიციონირება“, „ფოკუს-ჯგუფები“, „ვორკშოპები“, „რეპორტები“ და სხვ. და შესაძლოა, იმის საშუალებასაც, რომ ათდღიანი შვებულება არა კვარიათში ან ბათუმში, არამედ თურქეთში, იტალიაში ან ესპანეთში გაატარონ.

საბოლოო ჯამში, ალბათ ეს ყველაფერი არც ისე ცუდია. ბოლო-ბოლო რამდენი ადამიანია გადარჩენილი დაუსაქმებლობას და რამდენს აქვს ილუზია, რომ საქმეს აკეთებს. მაგრამ შეგრძნება, რომ ეს ფულის ფლანგვაა, შიგადაშიგ არ მტოვებს. მეტიც, – ფულს, როგორც ასეთს, სულ რომ თავი დაეანებოთ, – მგონია, რომ ყველაზე მეტ ქალაქს (ხეს) გარემოს დაცვითი ორგანიზაციები ხარჯვენ, იმდენ ანგარიშს, ოქმსა და სისულელეს წერენ ყოველდღიურად...

კიდევ ერთი სფერო, სადაც ეს ამაოება იჩენს თავს, სამეცნიერო (ან თუნდაც არასამეცნიერო) კონფერენციები და სემინარებია. მაგალითად, ყოველწლიური მერამდენელაცე საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია, რამე ლათინური აბრევიატურით, ვთქვათ, ICRSB, რომელსაც გარდა იმისა, რომ სწორად ვერასდროს გამოთქვამ, ვერც შიფრავ და რატომღაც იგულისხმება, რომ უნდა იცოდე. ჰოდა, ჩამოვა ვილაც, ვთქვათ, პროფესორი კარლსრუეს უნივერსიტეტიდან და უფრო უღიმღამოდ მოგიყვება იმას, რაც ვიკიპედიაში გაცილებით საინტერესოდ წერია, და შეეცდება, შინაარსის, უფრო სწორად – უშინაარსობის, კომპენსაცია პაუერპოინტში მომზადებული პრეზენტაციით, თავდაჯერებული გამომეტყველებითა და დამაჯერებელი ხმის ტემბრით (აქცენტებით შემთხვევით სიტყვებზე ან ფრაზებზე) მოახდინოს; შეიძლება დამატებითი ეფექტებისთვის ხუმრობებიც გამოიყენოს. ოღონდ მაშინ აცნობიერებ, რომ ეს ხუმრობები ხუმრობის ეფექტისთვისაა გამიზნუ-

ლი, როცა საკუთარ თავს უნებლიეთ მოხორბოცე მსმენელების რიგებში აღმოაჩენ. საშინელი გრძობაა, იმდენად, რომ მოგვიანებით, პრეზენტაციის ა-ლა-ფურშეტის ბუტერბროდზე მიმაგრებული გამხმარი მწვანე ზეთისხილის გემოც კი ვერ გინაზღაურებს.

და მერე ფიქრობ, რამდენი რამე იხარჯება იმაში, რასაც ეს ოხერი ზეთისხილიც კი ვერ ანაზღაურებს (თორემ, ნაყოფიერ მისიონერობაში ცუდი თავისთავად არაფერია; უბრალოდ იშვიათობაა.): ამ პროფესორის სამგზავრო ბილეთი, სასტუმრო, ერთი-ორი კვება რესტორანში, იმის ნერვები, ვინც ძველი ქალაქი უნდა დაათვალიერებინოს ივლისის ცხელ დღეს, იმათი დრო, ვინც მის მოხსენებას უნდა დაესწროს, კალმისტრები (სხვათა შორის, კონფერენციებიდან ყველაზე მეტად კალმისტრები მიყვარს; როგორც წესი, რბილად წერს), ბლოკნოტები და კიდევ ათასი ჯურის მაკულატურა, რომელიც მსმენელებს ურიგდებათ...

27 წლის და ცოცხალი

ასეა თუ ისე, ამხელა შესავალი იმისთვის დაეწერე, რომ მთავარზე გადავსულიყავი: იმაზე, თუ როგორ აღმოვჩნდი 2013 წლის მაისს ისევ შოტლანდიაში, ორი კვირით.

როგორ და დაახლოებით ისე, როგორც ის ჰიპოთეტური პროფესორი კარლსრუედან – საქართველოში. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე საქართველოდან გლაზგოში აღმოვჩნდი (რაც უკვე უპირატესობაა) და არა, როგორც პროფესორი, არამედ დოქტორანტი სტუდენტი, რამდენიმე დოქტორანტ სტუდენტთან ერთად ჩემი უნივერსიტეტიდან. ერთი სიტყვით, CRCEES-ის მეექვსე ყოველწლიურ კვლევით ფორუმზე ევროკავშირის ერთ-ერთმა პროექტმა გაგვიშვა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტთან თანამშრომლობს და პრაქტიკულად, ისეთი ქვეყნების უმაღლესი განათლების გაუმჯობესებითაა დაინტერესებული, როგორც საქართველოა.

ვერ ვიტყვი, ამ შემთხვევაში სტუ-

დენტის სტატუსიც უპირატესობაა-მეთქი, იმიტომ, რომ პროექტი სტუდენტების მიმართ ფინანსური თვალსაზრისით არცთუ ხელგამლილია და თან თანხას ლარების იმ ეკვივალენტში გირიცხავს, რომელიც თავისი კონკრეტული (და არა საყოველთაო) სავალუტო კურსით აქვს დადგენილი. მოკლედ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჯდომისა და უნივერსიტეტის სასაბუღალტრო კვების – ანუ უკვე გადაამუშავებული ან გადასამუშავებლად გამიზნული მუყაოს ჭურჭლიდან ჭამის – გარდა თუ რამეზე გაიქაჩები, შენი საქმეა. ჰო, და კიდევ შენთვისვე აჯობებს, ოდნავ დეპრესიულ, ერთფეროვან აგურის ფილებით აშენებულ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ოთახში დასახლდე (და არა სასტუმროში) და მერე უკვე გამართლებაზე და შენს ეთნიკურ ტოლერანტობაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

გამართლებით გამიმართლა: ხუთთახიან სართულზე მარტო მე და ორი გოგონა ვცხოვრობდით ჩემი უნივერსიტეტიდან ჩვენ-ჩვენ ოთახებში, რაც ნიშნავს, რომ ორი კვირა ტუალეტს, აბაზანასა და სამზარეულოს მარტო სამში ვიყოფდით. რაც შეეხება ეთნიკურ ტოლერანტობას, ამან ბოლოსკენ ცოტა მიმტყუნა, როცა ყოველ საღამოს, რომელიღაცა სართულის ღია ფანჯრიდან ჩინელი გოგო იტალიური ტემპერამენტით უკიოდა ვილაცას სკაიპში.

არადა, დოქტორანტი სტუდენტი, ნორმალურად, 30 წელს მიტანებული ჩვეულებრივი თავმოყვარე ბაყაყია, რომელსაც ურჩევნია თბილისიდან – სტამბულში და სტამბულიდან გლაზგოში ჩაფრინდეს და არა – მანჩესტერში, საიდანაც კიდევ მატარებლით ან ავტობუსით უნდა იწინააღმდეგოს გლაზგომდე; რომელსაც, – როგორც ამას წინათ გასართობ ინტერნეტსაიტზე, 9GAG-ზე ნავიკითხე, – ურჩევნია, ცოტა მეტი გადაიხადოს „სუფთა, ნორმალურ“ სასტუმროში, ვიდრე მეგობრების ჯოგთან ერთად ჰოსტელში შეიხიზნოს; რომლის ფეისბუქ-მეგობრებშიც იმატებს ბავშვებისა და ქორწილების სურათებით გადაძქვი-

ლი ალბომები, მთვრალი ფოტოების ნაცვლად; რომელიც აცნობიერებს, რომ მის ასაკში (ან უფრო ადრეც!) მის მშობლებს ის უკვე გაჩენილი ჰყავდათ; რომელსაც ხელები უკანკალებს, როცა საქმე საკრედიტო ბალანსის შემონმებაზე მიდგება; რომელიც ჰოლივუდის 30 წლის ლამაზი „სტარების“ სურათებს ათვალისწინებს და ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ არის იმედი...

იმის თქმა მინდა, რომ მეც დაახლოებით ამ ასაკში ვარ, ასაკში, როცა ჩემი და, ალბათ, ნახევარი ჩემხელა სამყაროს თინეიჯერობის დროინდელი კერპი უკვე მკვდარი იყო და ათასი შედეგრი ჰქონდა დატოვებული, მაშინ როცა, მე ერთი სადოქტოროც ვერ დამინერია... ცხოვრების იმ ეტაპზე ვარ, როცა უცხო ხალხის მოცემული სავიზიტო ბარათები უხერხულად გიმრავლდება და ნახევარზე მეტს რომ ვერ იხსენებ, ვინაა, ან რატომ მოგცა, ან საერთოდ რა ჯანდაბა უნდოდა... და იმასაც რომ ფიქრობ, შენც ხომ არ უნდა გაიკეთო ეს სავიზიტო ბარათი.

თუმცა, სხვათა შორის, სწორედ გლაზგოში ყოფნის დროს, გულში გავიფიქრე, კიდევ კარგი, არა მაქვს ეს ბარათი-მეთქი. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩემი მოხსენების მერე (ამაზე ოდნავ მოგვიანებით), შესვენებაზე (იმავე ლანჩზე), – ანუ იმ დროს, რომელიც ყბადაღებული სოციალიზაციისთვისაა განკუთვნილი, – ერთი ასაკშეპარული უნგრელი პროფესორი კაცი მომიახლოვდა, პაზმანი პიტერის კათოლიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტიდან. ძალიან მომეწონა შენი მოხსენებაო, – მითხრა. იმდენად, რომ რაღაც მსგავს თემაზე ვგეგმავ დიდ კონფერენციას მომავალ წელს და იქნებ, ბუდაპეშტში ჩამოხვიდეთო, ზუსტად ჩაჯდები ჩემი კონფერენციის კონცეფციამო. ჰოდა, გავიფიქრე, აი, არც ისე ამაო ყოფილა ეს სოციალიზაცია-მეთქი, და ვუთხარი, კი, რატომაც არა, ჩემს ხელმძღვანელს დაველაპარაკები-მეთქი. მაშინ, იქნებ, სავიზიტო ბარათი მომცე, რომ დაგიკავშირდეთო. უი, არ მაქვს-მეთქი. კარგი, მაშინ ჩემსას მოგცემო და აუცილებლად მომწერეთო. სავიზიტო



ბაზუმბარია, რატომაც საჭირო ყველა დიპლომატის ფიზიკური ყოფნა ნიუ-იორკში?!
...ჩამოდინან და საუკეთესო პარკინგადგილებს და რესტორნების საუკეთესო მაგიდებს იკავებენ და თავისი ნვლილი შეაქვთ ისედაც ჭარბ არაინგლისურენოვან ბარემოში. რატომ არ შეიძლება, რომ თავიანთი ხმაები ი-მეილებით გამომავგავნონ თავ-თავიანთი ქვეყნებიდან?

ბარათი გამომიწოდა და ჯერ ჩანთაში არ მქონდა ჩადებული, რომ მომახალა, დღეს სადამოს რას აპირებო. მოკლედ, უნგრელი პროფესორისთვის დღემდე არ მიმინერია.

ნაციონალური თამაშები

ჩემივე ასაკშეპარული სტუდენტობის გლაზგოურ ხვედრს რომ დავეუბრუნდეთ, მთლად ასე სასონარკვეთილადაც არ ყოფილა საქმე.

დავიწყებო ჩემი სამგზავრო ბილეთის არასახარბიელო ნიუანსებით, რომელმაც გლაზგოს მაგივრად, სტამბულიდან მანჩესტერში ჩამიყვანა. მართალია, შთამბეჭდავად ინდუსტრიული მანჩესტერის მიწაზე საშინ-

ლად დაღლილი ფეხები ალბათ, სულ ნახევარი საათით მედგა გლაზგოსკენ მიმავალი მატარებლის მოლოდინში, მაგრამ აბა, მიდი და ნუ დაინახავ ამ სამგზავრო დისკომფორტში პლუსებს, როცა მანჩესტერთან ასოცირებული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გლაზგოელი ადამიანი სწორედ იმ პერიოდში ისეთ ემოციურ რაღაცას აკეთებს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელობის მიტოვებაა.

სერ ალექს ფერგიუსონის გაცილების დრამატულ ცერემონიალს უკვე შოტლანდიაში ვუყურე, ერთ-ერთ ისეთ კლასიკურ პაპში, სადაც



იატაკზე ჯერ კიდევ იმდროინდელი ხალიჩები აგია, როცა საჯარო შენობებში მონევა დაშვებული იყო (ამას მონმობდა სიგარეტით ამომწვარი ადგილები ხალიჩებზე), ხოლო სადაც ხალიჩა არ აგია, იქ ფეხები რომ გეკრობა იატაკზე, არასათანადოდ განმენდილი, ძირს დაქცეული ლუდების გამო. ცხადია, ცერემონიის ყურება ასეთ პაბში მას კიდევ უფრო დრამატულს აქცევდა; ცხადია, ყველა გაზეთის პირველ გვერდზე სერ ალექსი იყო გამოსახული. და ცხადია, პირველივე შემხვედრი გაზეთი ვიყიდე, რომ მამაჩემისთვის ჩამომეტანა. მგონი, არ უნდა მეჩქარა. მგონი, The Sun იყო ეს გაზეთი და იმიტომ. თუ რაღაც ეგეთი, „სარკე“.

არც ის მინანია, რომ დიდ ბრიტანეთში ვიყავი მაშინ, როცა საფეხბურთო კარიერა დაასრულეს დევიდ ბექჰემმა, მაიკლ ოუნემ, ჯემი კარაგერმა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთგულმა პოლ სკოულზმა. აბა, უკეთეს ადგილას სად უნდა ვყოფილიყავი იმ დროს, როცა ეს ვარსკვლავი ფეხბურთელები ტოვებდნენ დიდ თამაშს, იმავე ნაციონალურ თამაშს, მარგარეტ ტეტჩერს თუ დავესესხებთ (ალბათ იცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ მახვილგონიერმა ტეტჩერმა გერმანელების საპასუხოდ, – აი, ხომ მოგიგეთ ფეხბურთშიო, – ასეთი რამე თქვა: კი, შეიძლება, დავამარცხეს ჩვენს ნაციონალურ თამაშში, მაგრამ ამ საუკუნეში ორჯერ დავამარცხეთ მათსავე ნაციონალურ თამაშში).

სხვათა შორის, ანგარდაცვლილ ტეტჩერზე მომრავლებულმა წიგნებმა უკვე დაიკავეს მსხვილ-მსხვილი წიგნის მალაზიების დახლები ისეთი ბანერების ქვეშ, როგორცაა „ჩვენი არჩევანი“ ან „ჩვენი რეკომენდაცია“. თუმცა, ასევე გარდაცვლილ ლედი დიანაზე შექმნილი (ხშირ შემთხვევაში, კონსპირაციულ თეორიებზე აგებული) წიგნები, ჩემი დაკვირვებით, ისევე მკვეთრად სჭრის თვალს.

ლედი დიანა ტურიზმის სფეროშიც არ კარგავს პოპულარობას, თუმცა, ამ მხრივ, სერიოზული მეტოქეები ჰყავს ახალდაქორწინებული სამეფო

წყვილის, თავისივე ვაჟის, პრინც უილიამისა და მისი ცოლის, ქვით მიდლტონის სახით, რომელთა საქორწინო პორტრეტები ოხრად ამშვენებს სუვენირების მალაზიებში თეფშებს, მაისურებს, ღია ბარათებს...

თუმცა ბრიტანულ სუვენირებს, პირობითად, ორ ნაწილად თუ დავყოფთ, ერთი სწორედ ამ სამეფო ამბებს, გნებავთ, ძველს და ტრადიციულს უკავშირდება, მეორე კიდევ ახალს, ანუ ბოლო ნახევარი საუკუნის ბრიტანეთის იდენტობისა და სიამაყის უდიდეს ნაწილს: როკ-ენ-როლს. არა მარტო სუვენირებია Beatles-ის, Rolling Stones-ის, Sex Pistols-ის იმიჯებზე აგებული, არამედ მასობრივი მოდის მალაზიებშიც, დანარჩენი ევროპის იმავე მალაზიებისგან განსხვავებით, ბრიტანეთისთვის უფრო პანკური, უფრო როკსიმბოლოებზე აგებული ტანსაცმელი იკერება. ამ ქვეყანაში McDonalds-შიც კი Cure არის ჩართული. ჰო, ბარემ აქვე იმასაც დავწერ, რომ ჩემი იქ ყოფნისას, თუ ფეხბურთიდან სერ ალექსის ამბები იყო ნამყვანი, თითქმის ყველა მუსიკალური ჟურნალის გარეკანზე დევიდ ბოუის ნახავდი, ამ უკანასკნელის ათწლიანი პაუზის შემდეგ გამოშვებული ალბომის, The Next Day-ს გამო.

ისე, თუ ძველსა და ახალზე, ტრადიციულსა და როკ-ენ-როლურზე მიდგა საქმე, აქაც, როგორც ბევრ სხვა რამეში, დიდი როლი ალბათ, Beatles-ს აქვს. ყოველ შემთხვევაში, მან დაუსვა ნერტილი იმ დროში განელილ ვიქტორიანულ ხანას, ფროიდი რომ დათრგუნული ემოციებით და შეკავებული სექსუალური იმპულსებით ახასიათებდა. ყოველ შემთხვევაში, Beatles-ის პირველივე კონცერტების შემხედვარე, ბრიტანელებზე უკვე ველარ იტყოდი, ჩაკეტილი ხალხიაო, იმდენს ნიოდნენ, კიოდნენ და ერთიანად იმდენი ემოციის გამოთავისუფლება დაინყეს... და დაინყეს... და დაინყეს...

მაგრამ ეს დაყოფაც – ტრადიციულის და როკ-ენ-როლურის – ზედმეტად პირობითია. რა ვიცი, არც Beatles-ს დავიწყებია დედოფალი თავის შემოქმედებაში და Sex Pistols-ს ხომ არა და არა.

ამ ქვეყანაში ხომ ტრადიციით და სიახლეები ყველაზე ჰარმონიულად თანაარსებობს?!

მოკლედ, სავსებით საქმარისია, ამ ქვეთავს შეავლოთ თვალი, წარმოიდგინოთ, რომ დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ხართ და შეიძლება, გასკდეთ სიამაყით.

მოსაწყენი თამაშები

მაგრამ თქვენ გგონიათ, ყველა შოტლანდიელს უნდა, რომ დიდი ბრიტანეთის მოქალაქე იყოს?

იმის თქმა მინდა, რომ ნაციონალურ სიამაყეებთან დაკავშირებულ მოვლენებთან ერთად, ჩემი შოტლანდიაში ყოფნა იმ დროსაც დაემთხვა, როცა დიდი ბრიტანეთისგან შოტლანდიის დამოუკიდებლობა აქტიურად განიხილებოდა: შოტლანდიის მთავრობა სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებული რეფერენდუმისთვის ემზადება, რომელიც მომავალი წლის 18 სექტემბერს უნდა შედგეს.

აქ, უხეშად რომ ვთქვათ, აზრი ორად იყოფა. ერთ მხარეს არიან შორსმჭვრეტელები, მემარჯვენეები და ჩემნაირები (დიდი ბრიტანეთით, როგორც ერთი ქვეყნით და კულტურით, ალტაცებულები), მეორე მხარეს კიდევ შოტლანდიელი ნაციონალისტები, მემარცხენეები და ისინი, ვისაც სჯერა, რომ ჩრდილოეთის ზღვაში არსებული ორი ნვეთი ნავთი შოტლანდიის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ეყოფა.

ერთობ პოპულარული თემაა. ჰოდა, ეს თემა არც ჩემი გლაზგოში ვიზიტის მთავარი მიზნის – კვლევითი ფორუმის – დროს დარჩენილა უყურადღებოდ. ვიდრე ამაზე გადავალ, გეტყვით, რომ ეს ფორუმი გლაზგოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული, კერძოდ რუსეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრის მიერ. მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნები, ახალი დემოკრატიები, ტრანზიტულ ფაზაში მყოფი ქვეყნები, მათი იდენტობის საკითხები – დაახლოებით ყველა ის უბედურება, რაც საქართველოსაც მიზიდველს ხდის თანამედროვე სოციალური მეცნიერების თვალში და რაშიც, ალბათ, კარგი ფულიც კეთდება.

შესაბამისად, ფორუმის განმავლობაში, გლაზგოს უნივერსიტეტის სხვადასხვა შენობის სხვადასხვა აუდიტორიაში თუ საკონფერენციო დარბაზში საკმაოდ ჭრელი, თუმცა პოსტსოციალისტური ტრადიციებით და სევედებით გაერთიანებული ყველა ასაკის ხალხი იყრიდა თავს და კიდევ ის არატრადიციული და ცნობისმოყვარე ხალხი, ვისაც პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ნატანჯი რეგიონი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა აინტერესებს. მოკლედ, მეცნიერების სევედიანი სფეროა ცოტათი.

დავუბრუნდეთ იმ პოპულარულ, შოტლანდიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ თემას, ზემოთ რომ ვახსენე. ამ საკითხს ერთი სლოვაკი პროფესორი შეეხო, რომლის ლექცია ფორუმის საკვანძო ნაწილი იყო, ერთად მოგროვილი ყველაზე მეტი ადამიანი რომ უსმენდა. ჰოდა, სლოვაკმა პროფესორმა, ფრიად თავდაჯერებულმა, ლექციის შესავალში აღნიშნა, მე პაუერპოინტში არ მომიმზადებია პრეზენტაცია, რადგან ისედაც კარგი ორატორი ვარ და გარდა ამისა, ახალგაზრდობაში ჩემი ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა ჟურნალმა ყველაზე სექსუალურ კაცად დამასახელაო. ამას, ცხადია, ხორხოცი მოჰყვა. აი, ისეთი, უნებლიე მონაწილე რომ ხდები და ცოტათი თავი რომ გეზიზღება. მოკლედ, მისი ლექციის თემა ჩეხოსლოვაკიის ჩეხეთად და სლოვაკეთად დაყოფასა და შოტლანდიის ბრიტანეთისგან შესაძლო გამოყოფას შორის პარალელების გავლება გახლდათ. შედარება იმდენად ხელოვნური იყო, როგორც, მაგალითად, პრემიერ ლიგასა და საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატს შორის პარალელების გავლება რომ დაიწყო.

კონცენტრაციამ მიიმტყუნა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ეს ლექცია გლაზგოს უნივერსიტეტის მთავარ შენობაში ტარდებოდა, რომელიც საკუთრივ ამ ქალაქის ერთ-ერთი აუცილებელი მოსახლეულბელი ადგილია: 1870-იან წლებში ცნობილმა ბრიტანელმა „გოთიკის აღზევების“ არქიტექტორმა, გილბერტ სკოტმა ააშენა და ისეთი შთამბეჭდავია, რომ იქ თავის ჭკუით სექსუალური სლოვაკი პროფესორის კი არა, ლამის შენი



ლედი დიანა ტურიზმის სფეროშიც არ კარგავს პოპულარობას, თუმცა, ამ მხრივ, სერიოზული მეთოდები ჰყავს ახალდაქორწინებული სამეფო ნყვილის, თავისივე ვაჟის, პრინც უილიამისა და მისი ცოლის, ჰეით მიდლტონის სახით, რომელთა საქორწინო პორტრეტები ოხრად ამშვენებს სუვენირების მაღაზიებში თეფშებს, მაისურებს, ღია ბარათებს...

საცყარელი მუსიკალური ჯგუფის მოსმენაზე ვერ კონცენტრირდები.

ჰო, და კიდევ შიმშილი. თან ამ საღამოს ფორუმი სადილით გამასპინძლებს გვიპრდებოდა და ყველას ერთი სული გვექონდა, ამ სადილზე გადაგვენაცვლა. ყველა ერთად გამოვედით დიდი აუდიტორიიდან და შიმშილით და გოთიკური შენობით გაბრუებულები, კიბეების ლაბირინთებში დავიკარგეთ. როცა დაკარგვის ფაქტი გახმოვანდა, ისევ ის ხორხოცი ატყდა, რომელსაც ამ წერილიდან უკვე კარგად იცნობთ. ხორხოცს შორის კი ვიღაცის ლულლული მომესმა – სულ არ არის სასაცილო, ძალიან მშაო. სამაგიეროდ, ეგ უფრო სასა-

ცილო-მეთქი – გულში გავიფიქრე. როგორც იქნა, ამ სადილის ოთახს მივაგენით. უფასო სადილზე მინვეული მშაერი ხალხი მაინცდამაინც კარგი სანახავი არასდროსაა, მაგრამ უფასო სადილზე მინვეული პოსტ-საბჭოთა მეცნიერები კიდევ უფრო თავისებური რამაა. HP-ის ლექტორ-ჩანთებაკიდებულები, ფოტოკამერებითა და „ბეჭი“ პალტოებით... მით უფრო, თუ ამ ყველაფრის მონაწილე ხარ. ამ დროს მთავარია, რამესთან ან ვინმესთან საკუთარი თავის იდენტიფიცირება არ მოახდინო, განსაკუთრებით რომელიმე ასაკუმპარულ მკვლევართან. ჰოდა, მეც ვცდილობდი, მომავალი არავისში დამენახა...

მოხატიალა

სადილის ყველაზე კარგი ნაწილი იყო თავად სადილი (რამაც ბრიტანული სამზარეულოს შესახებ არსებული სტერეოტიპი დაამსხვრია) და კიდევ ერთი უნგრელი ქალბატონი, რომელიც იმ მაგიდასთან სადილობდა, სადაც მე. სავალდებულო სოციალიზაციის მიზნით (და თავის გამოსაჩენად), ამ ქალბატონს ვუთხარი, უნგრეთზე ჩემი უკანასკნელი და ძალიან სასიამოვნო ასოციაცია, უნგრელი მწერალი, იმრე კერტეშია-მეთქი. არ მომიტყუებია. ჩემი აზრით, ჰოლოკოსტზე დაწერილ ლიტერატურას შორის ამ ნობელიანტი მწერლის პროზა საუკეთესოა. მაგრამ ეს არაა მთავარი. ამ ქალბატონმა, ვითომც არაფერი, უპ, ეგ ჩემი ძაან ახლო მეგობარიაო, მითხრა, ერთად ვდისიდენტობდითო ჩვენო... ბევრი მელაპარაკა. მოკლედ, ჩავთვალე, რომ გამიმართლა.

სემინარები

მე: ის ბიჭი, იაპონელი, გეია? თუ იაპონელიც არაა?

ჩემი მეგობარი: სამხრეთ კორეა.

მე: საიდან იცი ვითომ?

მე: არ მაინტერესებს თემა.

ჩემი მეგობარი: არც მე, მაგრამ რეპორტში ხომ უნდა ჩავწეროთ რამე?!

ეს ნაწყვეტებია ჩემი და ჩემი მეგობრის დიალოგებიდან სემინარებზე. დიალოგები წერით რეჟიმში ხდებოდა, ჩემს იმ ბლოკნოტში, რომელსაც „2013“ ეწერა და რომელიც ნიგნის მალაზიაში რაღაც უფასო აქციის გამო მაჩუქეს. ჩემმა მეგობარმა არ გამოართვა, მერე ფული არ მომთხოვონ ამ მაკულატურაში.

სემინარები პატარა ოთახებში ტარდებოდა, სადაც თაროებზე უხვად ეწყო რუსულენოვანი ნიგნები. მსმენელების რაოდენობა უფრო ცოტა იყო ხოლმე, ყველა ბლოკნოტებმომარჯვებული (სხვათა შორის, ბევრის ბლოკნოტსაც ეწერა „2013“) და დაინტერესებული სახეებით. ოღონდ, სულ მგონია, რომ ეს დაინტერესებული სახეები სიყალბეს ემიჯნება ძირითადად. აბა, მარტო მე ვარ გიჟი?!

ისე, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ის სემინარი, რაომელზეც მეგობარს ვუთხარი, არ

მაინტერესებს-მეთქი, ბოლოსკენ ძალიანაც საინტერესო გამოდგა; ერთ-ერთი საუკეთესო მთელ ამ ფორუმზე, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ისეთივე შინაარსის იყო, როგორც დანარჩენი ლექციები და მოხსენებები (იტალიელი პროფესორის მიერ ლიტერული ნაციონალური იდენტობის კვლევა იყო).

მოხსენებები

აქ უკვე კლასიკურ ტრანსს ჰქონდა ადგილი. ზუსტად რომ იცი, რა როგორ იქნება. პაუერპოინტში გაკეთებული 15-20-წუთიანი მოხსენებები და ვიღაც რომ აუცილებლად გადააცილებს გამოყოფილ დროს; ტექნიკური უხერხულობები პრეზენტაციის ჩართვისას ასაკის (და პრინციპში, ეროვნების) პროპორციულია; დრო, რომელიც კითხვების დასმისთვის იქნება გამოყოფილი, ისეთი კითხვებით, კომენტარებით (კომენტარებს, როგორც წესი, ახლავს ძლივს შესანიღბი პათოსი, „მე შენზე ჭკვიანი ვარ“) და მსჯელობებით იქნება შევსებული, რომ ეჭვს არ დაგიტოვებს: მოდერატორიან-მსმენელებიანად (საკუთარი თავით მოცული მომხსენებლების გარდა), ყველას უნდა, როგორმე ლანჩის დრომდე გაიტანოს თავი ისე, რომ რეგლამენტი დაიცვას; მერე ეს ლანჩი, თავისი „სოციალიზაციის“ ელემენტებით, ინგლისური აქცენტების დოლი; მერე მოხსენებების ახალი სესია და ასე, გეგონება, უსასრულოდ...

კონფერენციების მიმდინარეობების მხრივ, ყველა ქვეყანა ჰგავს ერთმანეთს და საქართველოც არ ჩამოუვარდება იმავე გლაზგოს, იმ განსხვავებით, რომ იქ ყავა უფრო გემრიელია, ბუტერბროდები – ტუნასი და, რასაკვირველია, ვეგეტარიანელები არავის ავიწყდება.

ამ ყველაფერს კი ის ემატება, რომ მოხსენებების დიდ ნაწილს იმდენი აქვს საერთო მეცნიერებასთან, რამდენიც ნამდვილ გულს – გულის პოპულარულ გამოსახულებასთან. ასე მაგალითად, ერთი ქალბატონის მოხსენება მშვენიერი სამოყვარულო-სამოგზაურო ფოტოალბომი იყო უზბეკეთის რომელიღაც ქალაქებიდან,

რომლის ფონზეც ეს ქალბატონი საბატრულად გვიხსნიდა, რომ ამ ქალაქებში „გასტრონომების“ – საბჭოთა კავშირის სიმბოლოების – ფიზიკურმა ნგრევამ ხალხის მენტალობაში დაანგრია კულტურა და რომ ამ ხალხს უჭირს იმის ყურება, როგორ შენდება ძველის ნანგრევებზე ახალი.

მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებს კიდევ ერთი ამკარა თავისებურება აქვს. ეს საქართველოშიც მიგრძნია, საქართველოზე ჩატარებული სოციალური კვლევების პრეზენტაციის დროს და საქართველოს გარეთაც. იმას ვგულისხმობ, რომ, როგორც წესი, ასეთ კვლევას მოაქვს რამე დემოკრატიულად ყოვლად სასონარკვეთილი შედეგი; მაგალითად, ის, რომ გამოკითხულ ქართველთა უმეტესობა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ჭეშმარიტ მართლმადიდებელთან უფრო ახდენს, ვიდრე საქართველოს მოქალაქესთან; ან ის, რომ გამოკითხულთა ნახევრის აზრით, პოლიტიკოსები, რომელთაც ღმერთის არ სჯერათ, საჯარო მოხელეობისთვის შეუფერებლები არიან... მოკლედ, სრული უიმედობა. თან ამას ისიც ემატება, რომ მსგავსი შედეგების მომხსენებლები და მათი მსმენელები უნებურად თავმომწონენი ხდებიან (რადგან თავად არ წარმოადგენენ ასეთ უმრავლესობას)... და თუ ასეთ მოხსენებებს უცხოელები ესწრებიან, კიდევ უფრო აბსურდული ხდება სურათი: საბოლოო ჯამში, ვუყვებით მათ, როგორი ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ, ჩვენ თვითონ კიდევ ჩამორჩენილი ნაწილი ვართ ამ ქვეყნის.

მოკლედ, ეს ყველაფერი ხშირად მაფიქრებინებს, რომ ფართომასშტაბიანი ეროვნული კვლევების მაგივრად, ფართომასშტაბიანი ეროვნული გაკვეთილები უნდა ჩავატაროთ. ეგებ, ისწავლონ ადამიანებმა საკუთარ აზრებზე, გრძობებზე და ქცევებზე დაფიქრება და გაიგონ, რომ სანუკვარ ნატოში გზა თანამედროვე ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე არ გადის.

მეც ასეთივე უნებური თავმომწონე პათოსით წავიკითხე ჩემი წილი მოხსენება გლაზგოში, რომელიც ქარ-

ყვალაზა ხვრილი სიბარატი ჰინსტონისგან

საქართველოს
ბიზნესის ბრენდი



მოწევა
კლავს
მოწევა
კლავს

○○○● XS MICRO

სთივი
თრუ
STAY
TRUE

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

ჰინსტონისგან
ბიზნესის ბრენდი

თველ სტუდენტებში რელიგიური საკითხების კვლევას ეხებოდა. პათონი რომ გავაცნობიერე, ეტყობა, შემრცხვა და თვითირონიის მოშველიება ვცადე; და როცა მკითხეს, როდიდან ხართ ქართველები ქრისტიანებიო, ვუპასუხე, ქრისტიანობამდე-მეთქი, და მოვკვდი მე თვითონ სიცილით. მამაჩემს რომ მოვუყევი ჩემი ხუმრობა, როგორც სჩვევია, იმედი გამიცრუა – ეგ ანეკდოტია და სომხებზეო. ერთი სიტყვით, არ გამიმართლა.


მესამე ტაობა: iPhone

რადგან ამჯერად გადასახადის გადამხდელების ფულით ვიყავი გლახოში, ვცდილობდი, მაქსიმალურად გამემართლებინა ეს ფული და გლახოს უნივერსიტეტის მართლაც რომ საამაყო დიდ ბიბლიოთეკაში სულ ცოტა იმდენი დრო გამეტარებინა, რამდენსაც პაბებში ვატარებდი.

მაგრამ მთელ ამ ჩემს ორკვირიან ვიზიტს ამ შემთხვევაში სხვა განსაკუთრებულობა გასდევდა თან: ამჯერად iPhone-ი მქონდა. თქვენ გგონიათ არაფერი, და ამ დროს ეს ნივთი ისე ცვლის ვითარებას, ვერც წარმოიდგენთ. ყველაფერს, რასაც კი შემეძლო, ფოტოებს ვუღებდი და როცა ინსტაგრამზე ატვირთვაზე მიდგებოდა საქმე, პანიკაში ვვარდებოდი: ამდენი „დასაინსტაგრამებელი“ ფოტოდან რომელი ერთი გამომერჩია, აღარ ვიცოდი. ან კიდევ სადმე კარგ (ვთქვათ, რომელიმე კარგსახელიანი პაბის ან კლუბის) dasa-check-in-ებელ ადგილას თუ აღმოვჩნდებოდი და ინტერნეტი არ იყო, ხასიათი ეგრევე მიფუჭდებოდა.

ამასობაში... საქართველოში:

ამასობაში საქართველოში 17 მაისი მძინვარებდა, ანუ ისეთი ჰომოფობიური კომპარი, რომ მიდი და ნუ იქნები თავმომწონე, რომ „ასეთი“ უმრავლესობის ნაწილი არ ხარ; ისეთი, რომ აღარ ვიცოდი, რა მექნა – დისტანცირება მომეხდინა მშობლიური რეალობიდან თუ ბარემ რამე ახალი პრეზენტაცია გამეკეთებინა – მაინც ზედგამოჭრილი იქნებოდა ამ პოპულარული სოციალური მეცნიერების ფორუმისათვის. მაგრამ დავინდე სა-



ამასობაში საქართველოში 17 მაისი მძინვარებდა, ანუ ისეთი ჰომოფობიური კომპარი, რომ მიდი და ნუ იქნები თავმომწონე, რომ „ასეთი“ უმრავლესობის ნაწილი არ ხარ; ისეთი, რომ აღარ ვიცოდი, რა მექნა – დისტანცირება მომეხდინა მშობლიური რეალობიდან თუ ბარემ რამე ახალი პრეზენტაცია გამეკეთებინა – მაინც ზედგამოჭრილი იქნებოდა ამ პოპულარული სოციალური მეცნიერების ფორუმისათვის.

მშობლო და საკუთარი ინტელექტუალური რესურსებიც. და როგორც მახსოვს, შერეული ემოციებით, მაგრამ მაინც მოვახებე დისტანცირება...

**(წინა წერილში)
 დაპირებული პორნო**

...და როცა ჩემი იქ ყოფნის ბოლო დღეს – შაბათ-ლამეს (შაბათ ღამეს კი მარიხუანას სუნი ურუანტელის-მომგვრელად ერევა გრილ და სუფთა ჰაერს), ბოტანიკური ბაღის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთისკენ, ანუ ჩემი სახლისკენ, მივუყვებოდი გლახოს ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას, ბუნე-

ბასთან ამაღლელებლად შეზავებულ ურბანულ-გოთიკურ ხედვებს iPhone-ით ბოლო სამახსოვრო სურათებს ვუღებდი, ვისრუტავდი გამამახნველელ ჰაერს და უცებ სიმწვანიდან პატარა მელია გამოხტა, ხეებზე ციყვები ათამამდნენ და – ასეთივე წარმატებით – სადღაც ახლომახლო ალბათ ირემიც იმალებოდა, მივხვდი, რომ ზოგჯერ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დახარჯული ფული მთლიანად გამართლებულია. და გულში მადლიერების გრძნობა დამეფულა. და აღტაცების. პორნოა, აბა, რა არის?!

ჰარმონიის ბაკვეთილები...

დუდანა მაზმანიშვილი: კიანო, ფორტე და დიკლომატია

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

სამი წლის ასაკში უკვე მუსიკას უსმენდა და ორი თითით მელოდებს უკრავდა კიდეც, ხოლო რვა წლის ასაკში ორკესტრთან ერთად მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა...

ღამით, საბნის ქვეშ, „ტომ სოიერს“ ფარნის შუქზე კითხულობდა და მეორე დღეს სკოლაში, მერხის ქვეშ განაგრძობდა...

ბავშვობიდანვე კარგად ხატავდა და გამოფენებშიც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა. ამავე დროს, უცხო ენებს ძალიან სწრაფად ითვისებდა...

ხუთი წლისამ ოპერისა და ბალეტის თეატრში „აიდა“ ნახა და მთელი ცხოვრება ოპერით დაავადდა...

ოჯახური ტრადიციებიდან გამომდინარე, აინტერესებდა არქეოლოგია, შემდეგ კი ჭადრაკმა გაიტაცა (ქალები და ჭადრაკი საქარველოში ცალკე თემა!). დღესაც უყვარს გოლფი და პოლო...

მგონი, ამგვარი დახუნძლული, „უწინდერკინდული“ დახასიათების შემდეგაც, ძნელია მკითხველი მიხვდეს, ვის შესახებ ვსაუბრობთ. ამიტომ პირდაპირ წარვადგენთ – ახალგაზრდა, ნიჭიერი, ლამაზი, გონიერი პიანისტი **დუდანა (დუდი) მაზმანიშვილი**. კანცელარიულ ენაზე რომ ვთქვათ, მრავალი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, რომელთა მხოლოდ ჩამონათვალაც საკმარისია ნებისმიერი ოფიციალური „სივის“ კიდეც უფრო გასაკეთილშობილებლად.

მოკლე ნუსხა, ანუ კონცერტებით თბილისიდან ნიუ-იორკამდე

კონკურსების ნუსხა მართლაც ვრცელია და საპატიო: ნიკოლაი რუბინშტაინის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის გრან-პრი პარიზში, ვაშინგტონის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის მთავარი პრიზი; ფერუჩო ბუზონის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი მილანში; აუგუსტ ევერდინგის სახელობის პრიზი მიუნხენში, ნადია რაიზენბერგის პრემია ნიუ-იორკში...

ნიჭი და წარმატება ზოგადად, ბედნიერებისთვის საკმარისი, მაგრამ არააუცილებელი პირობაა. ხომ არიან ნიჭიერი, გონიერი და ლამაზი ადამიანებიც უბედურები? თუმცა ამ ლოგიკის საწინააღმდეგოდ, დუდანა იზიარებს აღორძინების ხანის იტალიელი ჰუმანისტისა და ფილოსოფოსის, ვიტორინო და ფელტრეს დოქტრინას, რომელსაც სიცოცხლის თავისებური, პოზიტიური გაგება აღწერილი აქვს ნაშრომში „სიხარულის სახლი“ (სხვათა შორის, ამის შესახებ თავად დუდანა მაზმანიშვილი ფილოსოფოს გიორგი მანსურაძესთან და სოციოლოგ ირაკლი კაკაბაძესთან ერთად, ვიდეობლოგში საუბრობს).

„დუდანა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით გამოირჩევა და მიეკუთვნება იმ ახალგაზრდა მუსიკოსთა რიცხვს, რომლებსაც შესწევთ უნარი ფართოდ გაუთქვან სახელი საქართველოს მუსიკალურ კულტურას“ – საკონკურსო

მწვერვალების დაპყრობამე დიდი ხნით ადრე იტყვის მაცნტრო ჯანსუღ კახიძე. მიუნხენში, სადაც ის უმაღლეს მუსიკალურ სკოლაში ელისო ვირსალაძესთან სწავლობდა, მის მიერ შესრულებულმა რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტმა პუბლიკასაც და მუსიკის კრიტიკოსებსაც საამო ესთეტიკური შოკი მოჰგვარა: საიდან 14 წლის ასაკში ასეთი წრფელი და სერიოზული გრძნობები, ასეთი მგრძნობიარე და პოეტური ბგერები?

შოკი მელომანებისა და კრიტიკოსებისთვის არანაკლებ მოულოდნელი აღმოჩნდა ნიუ-იორკში გამართული პირველი კონცერტის შემდეგ, როცა დაუნდობლობით ცნობილმა კრიტიკოსმა ჰარი გოლდსმიტმა ჟურნალ New York Concert Review-ში დუდანა მაზმანიშვილის შესრულება ასე შეაფასა: „ის ნამდვილი ჯადოქარია. მას უდიდესი ორკესტრის ულერადობისა და მომღერლის უნაზესი ბგერა აქვს. დაწმუნებული ვარ, რომ სწორედ ეს არის ის შესრულება, რომელიც სურდათ ლისტსა და ვაგნერს!“

და აი, 2007 წლის ნოემბერი, პირველი კონცერტი ნიუ-იორკის ლეგენდარულ Carnegie Hall-ში. როგორც თავად ამბობს, ეს არის დღევანდელი „საკონცერტო კოლიზუმი“. ალბათ, არ არსებობს დედამიწაზე მუსიკოსი, რომელსაც ნიჭი, ელვარება, გაბედულება და ოდნავი ამბიცია აქვს და არ ოცნებობს ამ ყველაფრის პრესტიჟულ დარბაზში გამოსვლაზე. დუდანას პროგრამა სოლიდურია – ბახი, შუბერტი, ლისტი, ბუზონი. მსმენელი



ისტორია

ისევ დატყვევებულია, კრიტიკა – თავშეკავებულად მონუსხული. მოგვიანებით Musical America-მ ქართველი პიანისტისთვის იშვიათად დადებითი დახასიათება „გაიმეტა“ – „მისი პიანოში შერწყმულია ბრწყინვალე ვირტუოზულობა, ინტელექტუალური დისციპლინა და ნამდვილ კლასიკოსთა დარბაისლური მანერა“. ბრიტანულმა International Piano-მ კი დუდანა მაზმანიშვილი წლის საუკეთესო ამომავალ ვარსკვლავად დაასახელა.

2007 წლის ბოლოს ჩამწერმა სტუდია OEHMS-მა გამოსცა დუდანას პირველი ალბომი ბახის, ბუზონის, ლისტის და რახმანინოვის შესრულებით. მოგვიანებით ეს ალბომი გერმანული კლასიკური რადიოს BR4-ის ფავორიტადაც დაასახელეს და მასში შესული ნაწარმოებები დღემდე უდერს ამ პოპულარული რადიოსადგურით.

შემდეგ იწყება გაუთავებელი, მაგრამ წარმატებისთვის აუცილებელი საგასტროლო ტურნე. დუდანა სოლო კონცერტებს მართავს ბერლინის, მიუნხენის, ვენის, პარიზის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში. შემდეგ ისევ ამერიკა, პრესტიჟული „როკფელერ ცენტრი“, მისი შემოქმედებას თითქოს ახალი პალიტრა და სიღრმე ემატება. იცვლება ხასიათი და განწყობა, პიროვნული დამოკიდებულება და მიდგომა მუსიკისადმი, მაგრამ უცვლელი რჩება „მომავლის პიანისტის“ იმიჯი და მისი სტატუსი – ლეგენდარული პიანისტისა და პედაგოგის, ელისო ვირსალაძის მოწაფე.

გზა შინისაკენ...

2013 წლის ივლისი, თბილისი. საშინლად ცხელა. ხილიანის ქუჩაზე მდებარე ე.წ. არქიტექტორთა სახლის მეშვიდე სართულზე ავდივარ. ყავისფერი რკინის კარი... დუდანა კარს მიღებს. ახალგაზრდა, ენერგიული, ძალიან სიმპათიური, მოლიმარი და ევროპული გარეგნობის უფრო მომღერალს ან მსახიობს ჰგავს, ვიდრე პიანისტს. იქვე დარბის და ცქმუტავს და ყვეს დუდანას უსაყვარლესი „მაქსიმუსი“ – შესანიშნავი ვაიმარული ჯიმის მდევარი, რომელმაც ჯერ რამდენჯერმე ამხედ-დამხედა, დამსუნა, მერე გამლოკა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავი შინაურად მეგრძნო.

დიდ და ნათელ ოთახს ნათელი აკა-

დემიზმისა და ოდნავ უწესრიგო არტისტულობის კვალი ატყვია, კედელზე სახელოვანი ბაბუის, აკადემიკოსისა და დიდი მეცნიერის ანდრია აფაქიძის პორტრეტა. გარდა ამისა, რამდენიმე კლასიცისტური ჟანრის ტილო და ფოტოები. კუთხეში „კარნეგი ჰოლში“ გამართული კონცერტის აფიშაა, დუდანას ძალიან მომხიბვლელი და შთაბეჭქდავი ფოტოთი. სადღაც ბახის და ბუზონის ნაწარმოებების გვერდით მიწერილია – **Me-manika**. ეს ნიკა მემანიშვილის ადრეული ხანის ფსევდონიმია, ვიდრე ნიკოლოზ რაჭველი გახდებოდა. სხვათა შორის, სწორედ მისი ხელშეწყობით გაიმართა კონცერტი ზაფხულში ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში, სადაც დუდანა მოცარტის **N12** საფორტეპიანო კონცერტს არა მხოლოდ უკრავდა, არამედ დირიჟორობდა კიდეც.

დაუსრულებელ საგასტროლო თავგადასავლებს შინ დაბრუნების „უწესრიგო“ ხიბლიც ახლავს. ამიტომ შეუძლია ნიგნები, ნოტები თუ ნივთები აქეთ-იქეთ მიმოფანტოს. ახლა მთავარია ნიუ-იორკის სოლო კონცერტი, რომლისთვისაც პროკოფიევის ურთულეს **N6** სონატას ამზადებს. ისე, ვერც დანარჩენ ნაწარმოებებზე იტყვი, რომ „მსუბუქ ჟანრს“ განეკუთვნება: ბახის პრელუდია და ფუგა, შუბერტისა და ლისტის სონატები, ისევ ბუზონი, რომელიც მის პროგრამაში ყოველთვისა... თუმცა პროკოფიევის სონატას საკონცერტოდ პირველად ამზადებს და ამიტომ უდიდეს ყურადღებას უთმობს.

ყოვლად არადრამატული, უფრო ზუსტად, მრავალმნიშვნელოვანი პაუზა („სიჩუმის მუსიკა“, როგორც გია ყანჭელი იტყოდა), რომელსაც შემოთავებულნი ნაყინი და ყავა „ადნობს“... არც ვიცი რითი დავიწყო. ისევ ნიუ-იორკში დაგემილი მომავალი, საპასუხისმგებლო კონცერტით, ახალი რეპერტუარით, საყვარელი კომპოზიტორებით თუ წარსულის ფაქიზად გამოქექვით, ანუ ბიოგრაფიული დეტალებით. იქნებ წარსულში, ჩერნის მოსაზრებულ ეტიუდებშია რაიმე მნიშვნელოვანი ჩამარხული, რომელთაც მუსიკალურ ათწლედში უკრავდა? დედის, ცნობილი პედაგოგის, თამარ აფაქიძის მეთვალყურეობაც კარგი მიზეზია (თუმცა მკაცრი დედა და ობიექტური

გამოცდები – ესეც ხომ გაცვეთილი არქეტეპია?). სახელოვანი ბაბუის პორტრეტი მაინც ყველაზე ხელჩასაჭიდი მიზეზი აღმოჩნდა...

– **ალბათ, ბაბუას ხშირად დაყვებოდი არქეოლოგიურ ექსპედიციებში?**

– როცა არქეოლოგის შვილიშვილი ხარ, ეს თავისთავად ბევრ რამეს ნიშნავს. ისე, დღესაც მაინტერესებს არქეოლოგია. იმდენად დაკავებული ვიყავი მიუნხენში სწავლის პერიოდში, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, პარალელურად მაინც ვერ ჩავაბარე არქეოლოგიის ფაკულტეტზე. ბედის ირონიით, კონსერვატორიისა და მიუნხენის უნივერსიტეტის ანტიკური არქეოლოგიის ფაკულტეტის შენობები ერთმანეთის გვერდით დგას. მუსიკაში ჭეშმარიტების ძიება რალაციით ჰგავს არქეოლოგიური გათხრების პროცესს. ბაბუას ხშირად დაყვავდი ექსპედიციაში და, მიუხედავად იმისა, რომ ყველას მიმართ სიმკაცრეს იჩენდა, ჩემთან მუდამ თბილი და საყვარელი იყო. ხშირად მასეირნებდა და მეთამაშებოდა, რის გამოც დედა საყვედურობდა, ზედმეტად ანებვირებო. მასთან დაკავშირებით ხშირად მახსენდება ტროას ექსპედიციის ხელმძღვანელის, გერმანელი მეცნიერის, მანფრედ კორფმანის სტუმრობა ჩვენს სახლში, რომელმაც სიმბოლური სუვენირი – პატარა ტროას ცხენი მაჩუქა.

– **მამა, მისგან რა ისწავლეთ?**

– მამა, დავით მაზმანიშვილი, არქიტექტორი იყო. მისგან კონსტრუქციის, აზროვნებისა და სიზუსტის მნიშვნელობა ვისწავლე. ასევე გოეთეს ფრაზა, რომელიც მის ცხოვრებას მუდამ თან სდევდა და რომელიც მეც ყოველთვის მახსოვს: „არქიტექტურა ეს არის გაყინული მუსიკა“.

– **რაც შეეხება ნამდვილ, ანუ ცოცხალ მუსიკას? ვინ შთაგაგონათ, რომ პიანისტი გამხდარიყავი? მუსიკოსობა მაინც მკაცრ დისციპლინას და მოსაზრებულ მეცადინეობას უკავშირდება...**

– დედა ძალიან კარგი მუსიკოსი და პედაგოგი იყო; სწორედ მისი დამსახურებით გავიგე, რა არის ნამდვილი მუსიკა. დაახლოებით სამი წლის ასაკში დამანყებინა ფორტეპიანოზე დაკვრა. საოცარი პედაგოგიური ნიჭი ჰქონდა, უცხო ენებიდან დაწყებული, ხელოვნების ისტორიით დამთავრებული – ყველაფერში თვითონ



მამეცადინებდა. თანაც ყველას მიმართ ერთნაირად გულისხმიერი იყო. ქართულისა და რუსულის გარდა, შესანიშნავად ფლობდა ინგლისურს, ჩეხურს, ცოტა ფრანგულსა და იტალიურსაც. ალბათ იბიტომ, რომ ბავშვობაში ძიძა გერმანულად და რუსულად ელაპარაკებოდა. უცხო ენებზე თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობდა. მამაჩემი ხუმრობით „ოჯახის განათლების მინისტრსაც“ ეძახდა...

დედას მუსიკის მიმართ კონცეპტუალური მიდგომა ჰქონდა. ის ძალიან მკაცრი პედაგოგი იყო და გლობალურად უდგებოდა საფორტეპიანო ნაწარმოების შესწავლას. ეს ეხებოდა არა მხოლოდ ტექნიკას, არამედ თავად ნაწარმოების შექმნის ისტორიას, კომპოზიტორის ბიოგრაფიას და იმ ეპოქას, როდესაც მუსიკა დაიწერა. შემდგომშიც, როდესაც ელისო ვირსალაძესთან ვსწავლობდი, ეს ძალიან გამომადგა.

ელისო და მიუნხენი

– თბილისის კლასიკური გიმნაზიისა (ყოფილი N1 საშუალო სკოლა) და მუსიკალური ათნლეტის დამთავრების შემდეგ, დუდანას ცხოვრებაში ახალი

დაუნდობლობით ცნობილმა კრიტიკოსმა ჰარი ბოლდსმიტმა დუდანა მაგმანიშვილის შესრულება ასე შეაფასა: „ის ნამდვილი ჯადოქარია. მას უდიდესი ორკესტრის ჟღერადობისა და მომღერლის უნაგესი ბგერა აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ეს არის ის შესრულება, რომელიც სურდათ ლისტსა და ვაგნერს!“

და კარიერის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება – ეს არის მიუნხენის კონსერვატორია; ნამდვილი „შტუდირება“ ცნობილ ქართველ პიანისტთან, ელისო ვირსალაძესთან, რომლის კლასში სწავლა რეალურად რამდენიმე წლიანი მასტერკლასი გამოდგა. ცხადია, ადვილი არ ყოფილა ახალ ქალაქთან, ცხოვრების სხვაგვარ რიტმთან და ახლებურ ყოფასთან შეგუება. თუმცა ამგვარი ყოფით-ეგზისტენციური პრობლემის წინაშე ყველა დიდი ხელოვანი ოდესღაც დგება. ამბობს, რომ ადაპტაციის პერიოდი გაცილებით უფრო მსუბუქად გადაიტანა, ვიდრე ელოდა. ან იქნებ, ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი

როლი ითამაშა გერმანული ენის ცოდნამ და იმანაც, რომ ყურისთვის არცთუ საამო სიტყვა „ჰოჰშულე“ (გერმანულად „უმადლესი სკოლა“) მისთვის არც ისე საშიშად აღერდა.

დუდანა: „ძალიან გამამდიდრა ქალბატონ ელისოსთან ურთიერთობამ. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრია და დიდ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს და მოსწავლეებსაც, ის სინამდვილეში მგრძნობიარე და ძალიან გულისხმიერი ადამიანია... და, ალბათ, ყველა ცნობილი მუსიკოსისა და პედაგოგისგან გამორჩეული. როცა მასთან სწავლობ, ეს თვისებები – სიმკაცრე, ერთგვარი ასკეტურობა და ამავე დროს, გულისხმიერება

ფოტო: მიტოზი ბიოტექნოლოჯი



და სითბო გადამდებია, ამიტომ უფრო მომთხოვნი ხდები საკუთარი თავის მიმართაც“.

საშემსრულებლო ტექნიკისადმი ზოგჯერ პედანტური მიდგომა, ისევე როგორც, კომპოზიტორის, მუსიკის და სტილის გრძნობა, ელისო ვირსალაძეს პიანისტისთვის აუცილებელ თვისებად მიაჩნია. ამიტომ პოეტური და ლირიკული ბუნების დუდანა მაზმანიშვილს ნარმატებულად ათვისებული გაკვეთილების შემდეგ ტექნიკურად რთული ნაწარმოებების შესრულება მოუხდა. მაგალითად, შუმანის ტოკატა, ლისტის თორმეტივე ტრანსცედენტური ეტიუდი, რახმანინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტი...

დუდანას თქმით, ელისომ ყოველი მისი ტაქტი იცის, ყველა ბგერა, ყველა პასაჟი. „ვხვდები, რასაც მოითხოვს ჩემგან. ეს გაცილებით რთულია, რადგან ვერა-

ფერს გამოაპარებ. ვერც ერთ ნიუანსს... ერთხელ მართლაც საოცარი ფრაზა მოთხრა: „როდესაც ხვდები, რომ რაღაც არ გამოგდის და განიცდი, ეს ძალიან კარგია, რადგან შენ გაქვს გამოსწორების მოთხოვნილება და ამას აუცილებლად მიაღწევ!“

მიუნხენის შემდეგ დუდანას ცხოვრებაში ჩნდება ჯერომ როუზი – ჭკვიანი პედაგოგი, დახვნილი მუსიკოსი და საფორტეპიანო ფესტივალის ორგანიზატორი, რომელმაც ნიუ-იორკში მიიპატიჟა და მის მიმართ მართლაც მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინა. მისი ფესტივალის მეშვეობით ქართველი მუსიკოსის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, რაც ძალიან დაეხმარა მუსიკალურ სამყაროსთან კონტაქტის დამყარებაში.

როდესაც ჯერომ როუზმა დუდის პირველად მოუსმინა, ნიუ-იორკში დარ-

ჩენა შესთავაზა და ისიც რადენიმე წლით „გადაცხოვრდა“ ყველაზე ხმაურიან, ნევროზულ და კულტურული მოვლენებით აღსავსე ქალაქში. ჯერომ როუზის მიერ დაარსებული ფესტივალი მისი კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. და იქ, სადაც რამდენიმე წლის წინ მასტერკლასებს მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსები ატარებდნენ, ახლა თავად დუდანა მაზმანიშვილი მართავს ყოველწლიურ მასტერკლასს.

რომელ საშემსრულებლო სკოლას შეიძლება მივაკუთვნოთ დუდანა მაზმანიშვილი? როგორც თავად ამბობს, ძნელია ამის შესახებ გადაჭრით საუბარი, რადგან ყველა პიანისტი საკუთარ ხელწერამდე თავისი ბიოგრაფიით, ინდივიდუალობით და პედაგოგის გავლენით მიდის. საკუთარ თავს უფრო გერმანულ საფორტეპიანო სკოლას აკუთვნებს.



დიდი სურვილის მიუხედავად, პარალელურად მაინც ვერ ჩავაბარე არქეოლოგიის ფაკულტეტზე. ბედის ირონიით, კონსერვატორიისა და მიუნხენის უნივერსიტეტის ანტიკური არქეოლოგიის ფაკულტეტის შენობები ერთმანეთის გვირდით დგას. მუსიკაში ჭეშმარიტების ძიება რაღაცით ჰბავს არქეოლოგიური გათხრების პროცესს.

მსმენელისთვის დღემდე უცნობია. ამბობს, რომ შესაძლოა ეს მეორე მსოფლიო ომმა, მისმა ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და ნაკლები რაოდენობის ჩანაწერებმა განაპირობეს. „სოლომონ კატნერი თვის თავში ჩაკეტილი, თავშეკავებული და მოკრძალებული ბუნების ადამიანი იყო. მისი პედაგოგი მატყლდა ვერნი, თავად კლარა შუმანის მოსწავლეა და ამით „დროთა კავშირის“ შესახებ ყველაფერია ნათქვამი“.

ასვე უყვარს ანი ფიშერი, რომლის შემოქმედებასაც ძალიან აფასებს. „ჩემთვის მნიშვნელოვანია მუსიკალური ნაწარმოების ფორმისა და სისადავის გრძნობა, რაც პირდაპირ უკავშირდება ანალიზის და სიღრმეში წვდომის უნარს. და ეს ყველაფერი კარგად იგრძნობა სწორედ ანი ფიშერის მიერ შესრულებულ მოცარტის, ბეჰოვენისა თუ შუმანის სონატებში“. მის სიაში საპატიო ადგილი უჭირავთ აგრეთვე: მოაზროვნე დინუ ლიპატის – ინტელექტუალური დაკრით, აპლიკატურის შესანიშნავ მცოდნესა და რეფორმატორს – ალფრედ კორტოს, გენიალურ იმპროვიზატორს, გამომგონებელსა და შემსრულებელს – ფერუჩო ბუზონის...

თუმცა „დუდანას სიაში“ ცალკეული მარგალიტებიცაა. მაგალითად, არტურ შნაბელის მიერ შესრულებულ ბეთხოვენის სონატები. ამბობს, რომ „ემოციური, მამაკაცური და ფილოსოფიური შესრულებით, შნაბელი პიანისტებს შორის ბეთხოვენის ყველაზე კარგი ინტერპრეტატორია“. ასევე აღნიშნავს არტურ რუბინშტაინის საოცარ სიფაქიზეს და მის მიერ შესრულებულ შოპენს; ასევე ჰოროვიცის მინიატიურებს.

მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას, ისევე როგორც საერთოდ, ხელოვნებაში, დუდანას აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია კათარზისი. „ეს მხოლოდ

განცდის ან ემოციის უპირველეს მნიშვნელობას არ გულისხმობს. კათარზისი ხელოვნების ცხოვრებასთან თანაზიარებას, რეალობის ხილულ თუ უხილავ შეგრძნებად გარდაქმნას გულისხმობს. მჯერა, რომ ყოველთვის იარსებებს მოაზროვნე, ფილოსოფოსი მუსიკოსის ცნება“.

ცალკე და ვრცელი საუბრის თემაა საყვარელი კომპოზიტორები. პირველ რიგში ბახი, შუბერტი და შოსტაკოვიჩი. ყურადღებას იქცევს ერთ-ერთ ბლოგში დუდანას ლამის ფილოსოფიურ-პუბლიცისტური პასაჟი ბახის ფუგასთან დაკავშირებით: „იგი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ საკრავები ადამიანებად ყოფილიყვნენ მოაზრებულნი და, შესაბამისად, მომხდარიყო ამ „ადამიანების“ სხვადასხვაგვარობის ერთმანეთთან შეხამება, ურთიერთშენიშვნა, გაჭარმონიულება, რომლის გარეშეც ეს სხვადასხვაგვარობა წარმოშობდა ქაოსს. იგივე მიმართება საზოგადოებრივ ცხოვრებას, პოლიტიკას, ეკონომიკასაც შეგვიძლია მივუსადაგოთ, რაც არახალი მოვლენაა და პოლისის შიგნით ადამიანთა და ჯგუფებს შორის ურთიერთობათა მონესრიგების ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში წარმოშობილი პრობლემატიკა“. აქედან კი ორიოდ ნაბიჯია დუდანას საყვარელ პლატონამდე.

გატაცებით საუბრობს მოცარტის ოპერებზე. ის ყველაზე ფილიგრანულ და კეთილშობილურ კომპოზიტორად მიაჩნია: „მოცარტის მუსიკა მოკლებულია ყოველგვარ გარეგნულ პათოსს. იმდენად სადაა, რომ სხვანაირად ვერ შეასრულებ; ვინაიდან დახვეწილი შესრულების მანერასა და ტექნიკას მოითხოვს. გარდა ამისა, სიზუსტეს, გემოვნებას, სტილისა და ეპოქის შეგრძნებას, სიმსუბუქეს და გრაციოზულობას. ამ ყველაფერს მუსიკოსი ძნელად შეიძენს, ეს ბუნებრივი მონაცემია. გარდა ამისა, მოცარტის მუსიკა

თუნდაც იმიტომ, რომ მისი პედაგოგი, ელისო ვირსალაძე, ლეგენდარულ საბჭოთა პედაგოგთან ჰენრიჰ ნეიგაუზთან სწავლობდა, რომელიც თავად გერმანული სკოლის წარმომადგენელი იყო. იგივე შეიძლება ითქვას ჯერომ როუზის შესახებ. მეტაფორულად რომ ვთქვათ, დუდანა მაზმანიშვილის გზას ფერენც ლისტის თუ არა, კლარა შუმანის სახელობის სამემსრულებლო „ტაძრამდე“ მაინც მივყავართ.

დუდანას სია – პიანისტები და კომპოზიტორები

– საყვარელი პიანისტების თავისი, განსხვავებული კლასიფიკაცია და რეიტინგი აქვს. პირველ რიგში, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე პიანისტის, სოლომონ კატნერის შესახებ ყვება, რომელიც, სამწუხაროდ, ფართო

ისტორია

„ეს მხოლოდ განცდის ან ემოციის უპირველეს მნიშვნელობას არ გულისხმობს. კათარზისი ხელოვნების ცხოვრებასთან თანაზიარებას, რეალობის ხილულ თუ უხილავ შეგრძნებად გარდაქმნას გულისხმობს. მჭერა, რომ ყოველთვის იარსებაებს მოაზროვნე, ფილოსოფოსი მუსიკოსის ცნება“.

ყოველთვის ორკესტრული და სიმფონიურია. თუნდაც ცალკე საფორტეპიანო პარტია რომ ავიღოთ“.

რაც შეეხება ფრანც შუბერტის საფორტეპიანო მუსიკას: დუდანა ბოლო დროის სულ უფრო ხშირად უკრავს მის ვრცელ და მასშტაბურ სონატებს. „რატომღაც მეგონა, რომ ჯერ ძალიან ადრეა შუბერტის შესრულება. თუმცა მერე დაფიქრდი, რომ სინამდვილეში ის ძალიან ახალგაზრდა მოკვდა; რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა ყველასთვის სხვაგვარი ინტენსივობით განისაზღვრება. და თუ შუბერტმა მხოლოდ 31 წელი იცოცხლა, შესაძლოა ეს ნიშნავდეს, რომ მან სინამდვილეში, შემოქმედებითი თვალსაზრისით, ჯუზეპე ვერდის მსგავსად, ხანგრძლივი სიცოცხლე განვილო“.

მოკლედ, დუდანა ახლა „შუბერტის ფაზაშია“...

დიმიტრი შოსტაკოვიჩიც საპატიო კომპოზიტორების სიაშია: „ის ბრწინვალე და ტრაგიკული ბედის კომპოზიტორია, რომელსაც რთულ ეპოქაში მოუწია ცხოვრება. შეუძლებელია მისი საფორტეპიანო მუსიკის შესრულება, თუ ზედმინვენით არ იცნობ მის კვარტეტებსა თუ სიმფონიურ მუსიკას. მონუმენტური და საოცარია მისი „პრელუდიები და ფუგები“, რომლებშიც მწერლის, პუბლიცისტისა და სემიოტიკოსის, უმბერტო ეკოს მსგავსად, კომპოზიტორი „სიუზონვის ესთეტიკას“ ანიჭებს უპირატესობას. და ეს თანამედროვე სამყაროს რეალური პორტრეტიცაა“.

ბლიტი, როგორც ასოციაციობანა

საყვარელი ფრაზა – „არ ვიცი, მაგრამ როგორმე გამოვა“. ძველი აღთქმა, ეკლესიასტე – „ამაოება ამაოებათა...“

ქვეყანა, სადაც იცხოვრებდით – სადაც მივემგზავრები, იქ ვცხოვრობ.

უახლოესი მიზანი – „გამოვძებნო ვადოსნური სამუალება, რომ რაც შეიძლება მეტი დრო დამრჩეს“.

რაიმე უცნაური თქვენს შესახებ – მუსიკალურ სამყაროში არავინ იცის, რომ დიპლომატი ვარ.

სპორტის სახეობა – პოლო, რადგან ცხენები ძალიან მიყვარს.

ფერი, რომელიც მუდამ თქვენთანაა – თეთრი და ის უცვლელად მიყვარს.

ყველაზე მეტად რისი დაკვრა გიყვართ ბისზე – გოდოვსკის, ვებერის და ბახის ნაწარმოებების.

ბოლო წიგნია... „ვაგნერის ესსეები“, თუმცა უპირველესი ჩემთვის მაინც სერვანტესია.

საყვარელი წიგნი ან საგანი – ალბათ, ისევ როიალი; ჯერჯერობით არ მბეზრდება.

საყვარელი მხატვარი – ველასკესი, ისე ბოტიჩელიც მიყვარს.

ვისთან ისურვებდით დაკვრას – დირიჟორ გუსტავო დუდამელთან. მგონი, სასაცილო იქნება დუდანასა და დუდამელის ტანდემი.

პირადი ცხოვრება – მუსიკოსი მუდამ შეყვარებული უნდა იყოს.

მუსიკიდან დიპლომატიამდე

მუსიკა და ლიტერატურა, მუსიკა და ფილოსოფია, მუსიკა და არქიტექტურა, მუსიკა და კინო – ეს რითმა მისი შემოქმედებისა და ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. „როცა პიანისტი უკრავს, ვთქვათ, ლისტის სონატას, არ შეიძლება არ იცოდეს თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“; არ შეიძლება დირიჟორობდე მალერის მეხუთე სიმფონიას და არ გქონდეს წაკითხული თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“ ან ნანახი – ლუკინო ვისკონტის ფილმი...“ მისი საყვარელი რეჟისორები: ანტონიონი, ტარკოვსკი, ტავიანები.



შთამბეჭდავია მუსიკასთან დაკავშირებული მისი საყვარელი ფილმების სიაც: მილოშ ფორმანის „ამადეუსი“, ჯოზეფ ლოუზის „დონ ჯოვანი“. ფელინის „ორკესტრის რეპეტიცია“.

სექტემბრიდან დუდანა მამანბიშვილის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები იწყება. საკონცერტო მოღვაწეობის პარალელურად, მას ბერლინში დიპლომატიურ სამსახურშიც მოუწევს ცხოვრებასთან „ჰარმონიული“ ენის გამოძებნა. როგორც წარმატებულ მუსიკოსსა და ბერლინის არტ-წრეებში სასურველ სტუმარს, აქამდეც ჰქონდა დიპლომატიურ სამსახურში მუშაობის გარკვეული გამოცდილება



- კულტურის, საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის საკითხებში. ამჯერად, ის უკვე, როგორც დიპლომატი, ოფიციალურად დაიკავებს გერმანიაში საქართველოს „კულტურის ატაშეს“ თანამდებობას.

ამგვარი ტრადიცია მსოფლიოში საკმაოდ იშვიათია, მაგრამ მაგალითები მაინც არსებობს. პირველი, ვისი გახსენებაც შეიძლება დიდი პოლონელი პიანისტი, საზოგადო მოღვაწე და დიპლომატი იგნაც პადერევსკია. შოპენის ნაწარმოებების საუკეთესო გამოცემა სწორედ მის სახელს უკავშირდება. პან პადერევსკი ამერიკაში პოლონეთის ელჩი, საგარეო

საქმეთა მინისტრი და პრემიერ-მინისტრიც იყო.

„2008 წლის ომის დროს საქართველოში ვიყავი და მივხედი, რომ აუცილებლად რაღაც უნდა გამეკეთებინა დასავლეთში ჩვენს შესახებ სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად. ამიტომ ყველა შესაძლებლობას ვიყენებდი ჩემი კონტაქტები გამომეყენებინა - ხელოვნების სფეროდან დაწყებული, პოლიტიკური წრეებითა და მედიით დამთავრებული.

მნიშვნელოვანია დროის სწორი განაწილება, მინდა, შევინარჩუნო რაციონალურობა, სიმსუბუქე, სიფხიზლეც. ამავე დროს ნამდვილ, დიდ ხელოვნებასთან


კავშირი არ დავკარგო. ბერლინში, სადაც მე ვცხოვრობ, ეს ერთი შეხედვით იოლია. ეს არის კოსმოპოლიტური, ტოლერანტული, თავისუფალი და ხელოვნების მოყვარული ქალაქი - უდიდესი კულტურული ტრადიციებით. ჭეშმარიტი ხელოვანი იქ აუცილებლად მიაგნებს საკუთარ თავს“.

ასე რომ, პიანისტი დუდანა მაზმანიშვილი მალე დიპლომატიური კარიერის მეორე ნაწილს, „ანდანტეს“ შეუდგება. მთავარია ამ გზაზე ჯადოსან პედაგოგთან, ელისო ვირსალაძესთან ნასწავლი ჰარმონიის წარმატებული გაკვეთილები არ დაივიწყოს!

რეფორმის დიალექტიკა ქართულ პოლიტიკაში

ავტორი: გიორგი ცხადაია

ფოტო: დინა თბანოვა







დემოკრატიული რევოლუციის ბუნება

დემოკრატიული რევოლუციები თავის თავში ატარებენ კონტრრევოლუციის შესაძლებლობას – ისინი დაფეხმძიმებულნი არიან კონტრრევოლუციით. უპირველესად, ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ თავისი არსით დემოკრატიული რევოლუცია გონების პროდუქტია – იგი მიზნად ისახავს წარმოსახვით გარდაქმნას ის, რაც მოცემულობაში არსებობს. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული რევოლუციები რაციონალიზმის პროდუქტია. შემთხვევითი არაა, რომ თვითონ ტერმინი „რევოლუცია“ კი, იმ გაგებით, რა გაგებითაც დღეს ვიყენებთ ევროპაში, სწორედ ახალი დროის – მოდერნულობის დასაწყისში შემოდის. იქამდე ღვთითდადგენილი წესრიგის რადიკალურ ცვლილებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. შესაბამისად, ადამიანებს არც ის წარმოედგინათ, რომ თავიანთი ინტელექტუალური პროექტებით არსებული სტატუსს კვო რადიკალურად ჩაენაცვლებინათ. რასაკვირველია, იყო აჯანყებები, როგორც მონათმფლობელურ, ასევე ფეოდალურ ეპოქებშიც, მაგრამ ეს აჯანყებები იშვიათი გამოჩენილების გარდა, თავის თავში რეალობის ტოტალურ გარდაქმნას – ახალი რეალობის მატრიცის შექმნას არ გულისხმობდა. ნამდვილი დემოკრატიული რევოლუციების ეპოქა მაშინ დაიწყო, როდესაც ადამიანმა ავტორიტეტების მიერ დადგენილ რეალობაზე ამხედრება გაბედა.

ვინაიდან დემოკრატიული რევოლუცია ახალი რეალობის შექმნას გულისხმობს, ეს წინა რეალობის ტოტალურ გარდაქმნას – მის აბსოლუტურ განადგურებას გულისხმობს. ეს რომ მოხდეს, პირველ რიგში მთელი საზოგადოებრივი დისკურსის უზურპაციაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული რევოლუცია საყოველთაო დემოკრატიის და თავისუფლების დაპირებით იწყება, იგი თავის დესტრუქციულ ბუნებას იშვიათად გაურბის. ფრანგული „დიდი ტერორი“ (1793-94), თუ საბჭოთა „დიდი წმენდა“ (1936-1939) თავიდან მაღალი იდეალებით დაიწყო და რეალობის „მავნე მინარევებისგან“ განმენდას ემსახურებოდა.

მოვუსმინოთ სენ-ჟიუსტს, „დიდი ტერორის“ ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს:

„თქვენ გინდოდათ რესპუბლიკა... რესპუბლიკა კი გულისხმობს ყველაფრის ტოტალურ განადგურებას, რაც მას ეწინააღმდეგება“.

ტერორის ერთ-ერთი სხვა შემოქმედი ჟაკ ნიკოლა ბიიო-ვარენი კი ამბობს:

„დემოკრატიის დამყარება ისეთ ერში, რომელიც ამდენი ხანი ჯაჭვებით შებორკილი სუსტდებოდა, შეგვიძლია შევადართო იმ ძალისხმევას, რომელსაც ბუნება იჩენს არარაოდან ყოფიერების შესაქმნელად... ჩვენ უნდა შევქმნათ ხალხი, ვისთვისაც ვაპირებთ თავისუფლების აღდგენას.“

ერთ შემთხვევაში საუბარია ტოტალურ განადგურებაზე, მეორე შემთხვევაში – ახალი დასრულებული სამყაროს შექმნაზე. ორივეგან საქმე გვაქვს რეალობის ტოტალურ მანიპულაციასთან, რომელსაც რეალობის რედუცირებასთან – მის მარტივ ერთეულამდე დაყვანამდე მივყავართ. რევოლუციების შემთხვევაში ეს მარტივი ერთეული ძირითადად დიქტომიური ცვლილებაა: „რევოლუციის მეგობარი – რევოლუციის მტერი“.

ჰებელის მიერ დემოკრატიული რევოლუციის კრიტიკა

დიდი ფილოსოფოსი არა მხოლოდ აბსტრაქტულ და ფორმალისტურ საზოგადოებრივ კატეგორიების ებრძოდა, არამედ კონკრეტული ისტორიული გამოცდილების – ფრანგული „დიდი ტერორის“ კრიტიკითაც იყო დაკავებული. უფრო მეტიც, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ჰებელის მიერ რაციონალისტური ფორმალისმის კრიტიკა დემოკრატიული რევოლუციური პროექტების კრიტიკაცაა.

„გონის ფენომენოლოგიაში“ ჰებელი მისთვის დამახასიათებელი ბუნდოვანი და ჩახლართული აზრთა მსვლელობით „დიდი ტერორის“ ბუნებაზეც მოგვითხრობს. 590-ე აბზაცში იგი გვიამბობს, თუ როგორ შეიძლება წმინდა, აბსტრაქტული, „რაციონალისტური“ უნივერსალურობა გარდაიქმნას თვითმარ, გარემოსგან აბსოლუტურად

გამოცალკეებულ დესტრუქციულ ჰებელი წერს: „ახლა, როცა მან განადგურა სამყაროს აქტუალური ორგანიზაცია და არსებობს მხოლოდ საკუთარი თავისთვის – არსებობს როგორც ერთადერთი ობიექტი, ობიექტი რომელსაც არ აქვს შინაარსი, ფლობა, ყოფიერება, ან გარეგანი განვრცობა, არამედ არის უბრალოდ ცოდნა თავისი თავისა, როგორც აბსოლუტურად წმინდა და თავისუფალი ინდივიდუალური „მე“-სი.“

ამგვარი აბსტრაქტული ყოფიერება საშიშია იმდენად, რამდენადაც კარგავს რეალობის შეგრძნებას და მხოლოდ თვითდასახული იდეალების განხორციელებაში ხედავს აზრს. ჰებელი იქამდე მიდის, რომ ამტკიცებს, რომ მსგავსი რევოლუციური პროექტების ერთადერთი ლოგიკური შედეგი სიკვდილის განდიდება – აბსოლუტური უარყოფა/ნეგაცია.

იდეით შეპყრობილობა იქამდე აღწევს, რომ დაუმორჩილებელი – განსხვავებული სუბიექტების კონტროლს ან განადგურებას ყველაზე სასტიკი მეთოდებით იწყებ. საქართველოს შემთხვევაში პირველ რიგში ეს იყო ადამიანების წამება და მათზე ტოტალური კონტროლის განხორციელება. მოსმენების და ვიდეორჩანწერების ასტრონომიულმა რაოდენობამ რევოლუციის შემოქმედთა სწორედ ეს უნივერსალური მიდრეკილება გამოავლინა – ემართათ რეალობა თავის ტოტალობაში და დემორჩილებინათ ან გაენადგურებინათ ის, რაც ახლადშექმნილ რეალობაში არ ჯდებოდა.

რევოლუციის საწყისი მიზანი – დემოკრატია ამ შემთხვევაში მეორე პლანზე გადადის, იმდენად, რამდენადაც დემოკრატია არსებული რეალობის აღიარებას გულისხმობს. რევოლუციის შემოქმედები ამ დროს აცხადებენ, რომ დემოკრატია ჯერ ადრეა მანამ, სანამ „დემოკრატიულ ძალებს“ სრული კულტურული და სოციოეკონომიკური ჰებემონია არ ექნებათ. ჩვენს შემთხვევაშიც დემოკრატია „გადიდო“ იქამდე, სანამ რევოლუციის შემოქმედთა აზრით, ქართველი ხალხი არ იქნებოდა მზად იმისთვის, რომ ყოფილიყო თავისუფალი.



**დემოკრატიული რევოლუციის
მარცხი თუ გამარჯვება**

რევოლუცია ადრე თუ გვიან აუცილებლად ეჯახება რეალობას. ამის მიზეზი ის დიალექტიკაა, რომელზეც დასაწყისში ვსაუბრობდი. რევოლუცია, რომელიც თავისი არსით ფორმალისტურია, რადგან საწყის ეტაპზე რეალობის ტოტალურ უარყოფას და ახალი რეალობის შექმნას ქადაგებს, საბოლოოდ ყველანაირი ახალი სინამდვილის აღქმას კარგავს.

აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დემოკრატიული რევოლუცია მარცხდება არა რევანშისტული ძალების წინაშე, არამედ პირველ რიგში მათ წინაშე, ვისაც, როგორც პოლიტიკურ ფიგურებს, თავად ქმნის. იმის გამო, რომ საწყის მტერთან ბრძოლის დროს რეალობის აბსოლუტურ ნიველირებას ახდენს, ახალ მტერთან დაპირისპირებასაც ძველი რეალობის გათვალისწინებით იწყებს, რასაც გარდაუვალი მარცხი მოჰყვება.

საკამპილი ჩინებულად უმკლავდებოდა შევარდნაძის დროინდელი

**რევოლუცია,
რომელიც
თავისი არსით
ფორმალისტურია,
რადგან საწყის ეტაპზე
რეალობის ტოტალურ
უარყოფას და ახალი
რეალობის შექმნას
ქადაგებს, საბოლოოდ
ყველანაირი ახალი
სინამდვილის აღქმას
კარგავს.**

ელიტის შეტევებს, მაგრამ უძლური აღმოჩნდა მათ წინაშე, ვინც იმავე რიტორიკით დაუპირისპირდა, რასაც თავად იყენებდა შევარდნაძის წინააღმდეგ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დემოკრატიული რევოლუცია, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად აჭარბებს თავის საწყის იდეალებს, საზოგადოებრივ დისკურსს მაინც ცვლის.

ფრანგი ფილოსოფოსი კლოდ ლეფორი რევოლუციის ამ განზომილებაზე ჩინებულად წერს თავის ესსეებში დემოკრატიაზე. კერძოდ, ლეფორი აღნიშნავს, რომ ფრანგული რევოლუცია, მიუხედავად „დიდი ტერორისა“, მაინც შეგვიძლია დემოკრატიულ რევოლუციად მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დაამთავრეს რობესპიერმა და მისმა თანამზრახველებმა, რევოლუციამ მაინც წარუშლელი კვალი დატოვა მაშინდელ და მომავალ საფრანგეთზე. პირველ რიგში, იმიტომ, რომ მისი ლიდერები ყველაფერს, რასაც აკეთებდნენ, „ხალხის სახელით“ სჩადიოდნენ, ანუ მათთვის ავტორიტეტი უკვე არა მეფე ან ლმერთი, არამედ სუვერენული ხალხის ნება იყო.

დემოკრატიული რევოლუციის ამ დადებით შედეგზე ჰეგელიც საუბრობს (და განსაკუთრებით მარქსი, რომელსაც დემოკრატიული, ბურჟუაზიული რევოლუციები სოციალიზმის წინაპირობად მიაჩნდა). ეს კარგად ჩანს ჰეგელისეულ ტერმინში „სუბლაცია“ (გერმ. *Aufhebung*). ერთი მხრივ კონტრრევოლუცია უპისპირდება რევოლუციას, მა-



გრამ მეორე მხრივ, ინახავს და იყენებს იმას, რაც დემოკრატიულმა რევოლუციამ მოიპოვა. ამ გადმოსახედიდან თუ ვიმსჯელებთ, ძნელია იმის თქმა, საბოლოოდ მარცხდება თუ იმარჯვებს რევოლუცია. ერთი მხრივ, ის მარცხდება ფიზიკურად, მაგრამ მეორე მხრივ, მისი დისკურსული მონაპოვარი ახალ ფაზაში გადადის.

„ვარდების რევოლუციის“ შემთხვევაში ამისი შემჩნევა შეუიარაღებელი თვალთაც ადვილია. სააკაშვილმა წააგო არა იმიტომ, რომ მას ის დისკურსი დაუპირისპირდა, რომელსაც საწყის ეტაპზე დემოკრატიის სახელით ებრძოდა (კორუფცია, ნეპოტიზმი, კულტურული ჩაკეტილობა ან ანტიდასავლური ტრადიციონალიზმი); არამედ პირიქით, კონსტრუქციული რევოლუციონერებმა მას ის მოთხოვნები წაუყენეს, რომლებსაც თავად სააკაშვილიც ლეგიტიმურად ჩათვლიდა – ადამიანის უფლებების დაცვა, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება, კორუფციის და სახელმწიფო რეკეტის მოსპობა, დემოკრატიულ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესება.

კონტრემოლუსიური რეალობა – ნებაცხის ნებაცხი

კონტრემოლუსიური რეალობა ხასიათდება არა მხოლოდ იმით, რომ დემოკრატიული რევოლუციის მიერ შექმნილ დისკურსს იყენებს, არამედ იმითაც, რომ რევოლუციის მიერ რეპრესირებული სოციალური ფენების ინტერესებს ახალი გზებით წარმოაჩენს.

ბიძინა ივანიშვილმა დემოკრატიული, უნივერსალისტური ენა გამოიყენა იმ ჯგუფების ინტერესების გამოსახატავად, რომლებიც „ვარდების რევოლუციამ“ შეაწინააღმდეგა. შედეგად ის მივიღეთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ივანიშვილი ერთი მხრივ დემოკრატიული ძალების (რესპუბლიკელები, ალასანია) და მეორე მხრივ, ტრადიციონალისტების (კონსერვატორები, „ქართული აკადემია“) გარემოცვაში აღმოჩნდა.

დღევანდელი კონტრემოლუსიური რეალობა „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე ამ შინაგანი ბრძოლის ანარეკლია. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, მიაღწია თუ არა „ქართული ოცნების“ დემოკრატიულმა ნაწილმა

ტრადიციონალისტურ-რეტროგრადული ნაწილის დისკურსის შეცვლას, რევოლუციის აჩრდილი კვლავ ცოცხალია.

თავის მხრივ, „ნაციონალური მოძრაობა“ იმდენად გადაეშვა რევოლუციურ წარმოდგენებში, რომ რეალობის აღქმა დაკარგა. დღევანდელი „ნაციონალური მოძრაობა“ ცხოვრობს 8-9 წლის წინანდელი პოლიტიკური დისკურსით, რომელიც თანამედროვე აუდიტორიაზე ძველ გავლენას ვეღარ ახდენს. ნაციონალისტების დისკურსული სტაგნაცია ოპონენტისთვის უფრო მეტად იმის მაუწყებელია, რომ რევოლუციური აჩრდილი ჯერ კიდევ ცოცხალია და ბოლომდე გადაულახავი.

დღეს მთავარი პოლიტიკური გამოწვევა უკვე ის არის, თუ რამდენად მოახერხებს „ქართული ოცნება“ საკუთარი პოლიტიკური დისკურსის მთლიანად პოსტრემოლუსიურ ჩარჩოში მოქცევას და „ნაციონალური მოძრაობის“ მარგინალიზებას. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება იმისი ტოლფასი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ელექტორატი მთლიანად „ქართულმა ოცნებამ“ შეითვისოს, არამედ აქ უფრო მეტად „ქართული ოცნე-



ბის“ საკუთარი ელექტორატის დისკურსის შეცვლაზეა საუბარი. თავის მხრივ, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს შორისაც მოხდება ისეთი გადაჯგუფება, რომელიც არც ძველის გამეორება იქნება და არც „ქართული ოცნების“ დისკურსის გამეორება. დიალექტიკური (ამ შემთხვევაში, შეიძლება არარევოლუციური) ტრანსფორმაცია განაპირობებს იმას, რომ იმანაც, რაც ნაცმოძრაობისგან დარჩა, ახალი ფორმით გამოავლინოს თავი.

რევოლუციური დიალექტიკის დასასრული თუ მუდმივი რევოლუცია?

საკითხავია, როდის დამთავრდება რევოლუციური დიალექტიკა (ან დამთავრდება თუ არა ის საერთოდ). თუ დიალექტიკას განვიხილავთ სამყაროს იმანენტური ბუნების გამომხატველ კატეგორიად, მაშინ, ცხადია, რომ ის არასდროს დასრულდება, ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ კაცობრიობა იარსებებს. თუ საუბარია რევოლუციურ დიალექტიკაზე, მაშინ ის ადრე თუ გვიან ნაკლებად რევოლუციურ ფორმებში უნდა გადა-

რევოლუციური რეჟიმიდან დემოკრატიულ რეჟიმში გადასვლა მაშინ მოხდება, როდესაც მხარეები ერთმანეთის ტოტალურ განადგურებას კი არა, ურთიერთალიარებას მიაღწევენ. ამ დროს, ისინი ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ძალებად იქცევიან, მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ელექტორატით.

ვიდეს. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, რევოლუციის ბუნება ის არის, რომ იგი რეალობის **ტოტალურ** უარყოფას ეწევა. შესაბამისად, მის მოპირდაპირე მხარესაც სრული ანტითეზაა, რომელიც წინამორბედის ტოტალურ ჩანაცვლებას

ცდილობს. რევოლუციური რეჟიმიდან დემოკრატიულ რეჟიმში გადასვლა მაშინ მოხდება, როდესაც მხარეები ერთმანეთის ტოტალურ განადგურებას კი არა, ურთიერთალიარებას მიაღწევენ. ამ დროს, ისინი ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ძალებად იქცევიან, მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ელექტორატით.

ახლა სწორედ იმ ეტაპზე ვიმყოფებით, როდესაც შემდეგ ეტაპზე რევოლუციური დიალექტიკა დემოკრატიულმა თამაშის წესებმა უნდა ჩანაცვლოს, მაგრამ ჯერჯერობით ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როდის მოხდება ეს, ან საერთოდ მოხდება თუ არა (!). თუ „ნაციონალური მოძრაობა“ თავის ანტითეზის ვერ გადაურჩა, მაშინ სავარაუდოდ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება – „ქართული ოცნების“ შიგნით ახალი ოპოზიციის გაჩენა და ახალი ტოტალური უარყოფის დისკურსი. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, შესაძლოა მთავარი რევოლუციები ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ წინ იყოს... და მაშინ გამოდის, რომ ახლა ჯერ კიდევ იქ ვართ, რასაც შეიძლება მუდმივი რევოლუციის ეტაპი ვუნოდოთ – განუწყვეტელი რევოლუციური ალტყინების მორევში.

SEDE VACANTE ჩვენს სამეფოში

ავტორი: გრიგოლ გაბელია



ყველა სახელმწიფოს ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც ის ლიდერს ირჩევს. საერთოდ, სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი თანმდევი უბედურება სწორედ ესაა – მას უნდა ჰყავდეს ლიდერი. ამ აუცილებლობის გამოა, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში გარდაუვალია იმ ყველაზე ყალბი, ცბიერი, მშფოთვარე და უნაყოფო დროის ჩამოდგომა, რომელსაც სხვანაირად წინასაარჩევნო პერიოდი ეწოდება. დროისა, რომელიც ჩვენთან სწორედ ახლა ჩამოდგა. ისედაც ლამის ყოველთვის (ტრაგი-)კომიკური პოლიტიკური სიტუაცია ახლა უფრო მეტად კომიკურია, ვიდრე სხვა დროს. სწორედ ახლა დგას ის

რატის, ბრალია. ჩვეულებისამებრ, ჩვენი პოლიტიკური მსახურებისგან ჩვენ არა კონკრეტული პოლიტიკური იდეების ქონას, არამედ ქართული მითიური იდელების დაკმაყოფილებას ვითხოვთ. მაგალითად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია თითოეულმა კანდიდატმა ამა თუ იმ ფორმით გამოიხმოს „სამშობლო“, რამდენჯერმე დაესწროს წირვას (ცხადია, მედიის თანდასწრებით ამას ყოველთვის სხვა მადლი აქვს), ისაუბროს დიად ქართულ წარსულსა და ტრადიციებზე და, რაღა თქმა უნდა, გადასარევე მომავალზე. მაგრამ სულაც არ არის საჭირო მას რაიმე სახის კონკრეტული იდეა გააჩნდეს სა-

ადარდებდა არც საარჩევნო კანდიდატის უნარ-ჩვევები და გამოცდილება, არც მისი სოციო-პოლიტიკური ხედვა. ანუ, იქ არავის ადარდებდა საკუთარი მომავალი. 2013 წლის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიას ყველაზე ზუსტად ეს ორი სიტყვა გამოხატავს: უსუსურობა და აბსურდულობა.

განსაკუთრებულად თვალსაჩინოა აბსურდულობა: კანდიდატების, მათი იდეების, შეხვედრებისა და ფორმების აბსურდულობა. საქართველოში, რომელსაც ოთხ მილიონამდე მოქალაქე ჰყავს, 40-ზე მეტი საპრეზიდენტო კანდიდატია დარეგისტრირებული. გულწრფელად გეტყვით,



დრო, როდესაც კანდიდატები შუა დუღილში არიან: სანდომიანი სახეებით დაძრწიან ტადრებსა და სოფლებში, ლოცულობენ უფრო ენერგიულად, ვიდრე ოდესმე, პირფერობენ უფრო ენერგიულად, ვიდრე ოდესმე და ამ პროცესში მეტად და მეტად წარმოაჩენენ საკუთარ უსუსურობას. სწორედაც რომ უსუსურია პოლიტიკოსი, რომელმაც იცის, რომ ოფისის კურთხევის გარეშე არჩევნებს ვერ მოიგებს. ეს კი ჩვენი პოლიტიკოსების უმრავლესობამ კარგად იცის, რადგან მათ არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის არავითარი ხედვა. ისინი ვერ გვაჩვენებენ დღევანდლობის პოზიტიურ ალტერნატივას, მათ გამოსვლებში არსად ჩანს მომავლის საქართველოს იდეა, ამიტომ ისინი კავებიან ბანალური ოპერაციებით, რომელიც მარტივად მოისყიდის საზოგადოებას. ცხადია, ეს უპირველეს ყოვლისა ჩვენი, ქართველი ელექტო-

ხელმწიფოს მომავლის შესახებ. არ არის საჭირო, რადგან ჩვენ არ შეგვიქმნია მსგავსი აუცილებლობა. სინამდვილეში, ჩვენ სულ სხვა რალაცეები გვადარდებს, კერძოდ, მითები და ჭორები. მაგალითად, ახლახან ინტერნეტში გადავანყდი ვრცელ დისკუსიას, სადაც გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა განიხილებოდა. დამსწრე საზოგადოება დიდი ალტყინებით ბჭობდა ფოტოს შესახებ, რომელზეც საპრეზიდენტო კანდიდატი უწყინარი სახით ქსოვს. როგორც მოსალოდნელი იყო, მათი უმრავლესობა გამოთქვამდა უკმაყოფილებას „ქართველი კაცის“ (იგულისხმეთ: სრულიად უნიკალური და არაამქვეყნიური ჯიშის არსება) ქსოვით დაკავების შესახებ. დიახ, ელექტორატი იმის გარკვევით დაკავებულყო, უნდა ქსოვდეს თუ არა თავისუფალ დროს ღირსეული ქართველი კაცი. მაგრამ იქ არავის

ზოგიერთი მათგანი სიბრალულის შეგრძნებას აღმიძრავს, სხვათა შემხედვარეს კი მხოლოდ თანამედროვე ქართული ფსიქიატრიული კვლევების აღორძინებაზე მეფიქრება. მეტიც, იყო კვირა, როდესაც მომავალი პრეზიდენტები ისეთი ავისმომასწავებელი ტემპით რეგისტრირდებოდნენ, რომ გაჩნდა ლეგიტიმური შეკითხვა: უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, თავად კანდიდატებს მიეცათ ხმა უმცირესობაში დარჩენილი ელექტორატისთვის? ცხადია, ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი იმსახურებს პატივისცემას იმიტომ, რომ ისინი აქტიური მოქალაქეები არიან და არჩევნებში მონაწილეობენ. მერე რა, რომ საქართველოს სასწაულ რაღაცეებს უპირებენ, მაგალითად, ვატიკანად გადაქცევას, თეოკრატიად ან სულაც ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადებას? დიდი ამბავი. ან საერთოდ რა შუაშია საქართველო,

საერთოდ, ბოლო დროს ღრმად დავრწმუნდი, რომ კარგი იქნებოდა საქართველო თავის დროზე გადაგვიკეთებინა ერთ დიდ ეკლესიად. მოგახსენებამთ, ასე ყველა შენობა და ყველა ოფისი ავტომატურად ნაკურთხი იქნებოდა, ჩვენს პოლიტიკოსებს კი მეთი დრო დარჩებოდათ პოლიტიკით დასაკავებლად, საქართველოს შესახებ საფიქრალად, მომავლის დასაგეგმად, მოქალაქეებისათვის უკეთესი პირობების შესაქმნელად.



როდესაც მისი პრეზიდენტობის კანდიდატებზე ვსაუბრობთ? ვფიქრობ, არც არის. ბოლოს და ბოლოს, წინასწარჩვენო კამპანიისას, საუბარი ყველაზე ნაკლებად სწორედ საქართველოს შესახებ ისმის. სამაგიეროდ, ჩვენი პოლიტიკოსები ბრძნული სახეებით საუბრობენ „9 წლის“ შესახებ, ცარიელი სახეებით საუბრობენ „უკეთესი მომავლის“ შესახებ, საბოლოოდ კი ოფისის კურთხევაზე უკეთ მინც არაფერი გამოსდით.

საერთოდ, ბოლო დროს ღრმად დავრწმუნდი, რომ კარგი იქნებოდა საქართველო თავის დროზე გადაგვეკეთებინა ერთ დიდ ეკლესიად. მოგახსენებამთ, ასე ყველა შენობა და ყველა ოფისი ავტომატურად ნაკურთხი იქნებოდა, ჩვენს პოლიტიკოსებს კი მეთი დრო დარჩებოდათ პოლიტიკით დასაკავებლად, საქართველოს შესახებ საფიქრალად, მომავლის დასაგეგმად, მოქალაქეებისათვის უკე-

თესი პირობების შესაქმნელად. ახლა კი რა? პრეზიდენტობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრეტენდენტი, გიორგი მარგველაშვილი, ამბობს, რომ ის საერთოდ არ ფიქრობს ოპონენტების იდეებზე. კიდევ ერთი კანდიდატი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, სულ რამდენიმე წლის წინ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით საერთოდაც სამოქალაქო დაპირისპირებისა და სახელმწიფო გადატრიალების დაწყებას ლამობდა. ასეთი პოლიტიკოსისათვის 300 თუ 400 (თუ მეტი) ჩვენგანის სიცოცხლე არაფერს წარმოადგენს, რადგან მისთვის მთავარია არა საყოველთაო სიკეთე, არამედ ერთადერთი რამ – ძალაუფლება. ბურჯანაძე საშიში კანდიდატია, რომლისთვისაც კონსტიტუციური წესრიგის დამცველისა და მთავარსარდლის პოსტის გადაცემა ჩვენი დროის უდიდესი პარადოქსი იქნება. შესაძლოა სრულიად

სავალალო პარადოქსიც კი. თუმცა გამოვარჩევდი კიდევ ერთ, უაღრესად კომიკურ კანდიდატს, რომელმაც ესოდენ დესტაბილიზებულ, გაჭირვებულ და იმედისგან ავისმომასწავებლად დაცლილ ჩვენს პოლიტიკურ სხეულში მნიშვნელოვანი პრობლემა ვერაფრით აღმოაჩინა, ამიტომ ადგა და თავად შექმნა პრობლემა, რომელსაც ახლა თავადვე ენერგიულად ჭრის. მისი სახელია გიორგი თარგამაძე და ის ერთსქესიანთა ქორწინების სანაღამდეგოდ ხელმონერებს აგროვებს. მის მიერ დაშინებულმა და გაცუცურაკებულმა ელექტორატმა შეიძლება ისიც კი იფიქროს, რომ ეს თემა დღის წესრიგში დგას. არადა, საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების თემით მხოლოდ თვითონ თარგამაძე ესოდენ დაინტერესებული. ეს ადამიანები ქართულ პოლიტიკაში არა გამონაკლისს, არამედ წესს (გნებავთ, უწესობას) წარ-



მოადგენენ. არც სხვები ინუხებენ თავს კონკრეტული პოლიტიკური ხედვის განვითარებით. ჩვენი რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატები საერთოდ არ გველაპარაკებინან, როგორც მოქალაქეებს. და როდესაც ხმას იღებენ, რათა საბოლოოდ მოგვმართონ, ისინი მოგვმართავენ შენობით, როგორც ძველ ნაცნობებს, რომელთაც ქუჩაში შემთხვევით შეეჩვენენ და გვთხოვენ „ნდობასა და მხარდაჭერას დღეს, და უწყვეტ თანამშრომლობას ხვალ“. შესანიშნავი იქნებოდა ისიც ეთქვათ, თუ რატომ ან რისთვის. მაგრამ ეს სულაც არ არის ნათელი. საბოლოო ჯამში, მეუფლება შეგრძნება, რომ წინასწარ ჩვენო პროცესი მიმდინარეობს არა ცოცხალ დემოკრატიაში, არამედ ცოცხალმკვდარ დიქტატურაში, სადაც დრო ჩვეულებრივ იყინება ხოლმე – სადაც ყველაფერი ისედაც ყოველთვის ცხადია.

ცხადია, ბიძინა ივანიშვილის მთავრობას ერთი წლის შემდეგ უამრავი რამ დაენუნება: კომუნიკაციის სირთულე, მუდმივი გაურკვევლობის განცდა, რომელიც მის პოლიტიკას ახლავს, ორპარტიანი მესიჯები საგარეო პოლიტიკაში (მაშინ, როდესაც პოლიტიკას უპირველეს ყოვლისა გზავნილის სიციხადე განსაზღვრავს), ისე, როგორც, მისი წინამორბედების მსგავსად, ზოგიერთი სუბიექტის სამართალზე მალა დაყენება. მაგრამ მას ვერავინ დასწამებს ვერც ადამიანების უფლების დარღვევას, ვერც – დიქტატორობას. მაშ, საერთოდ რატომ ვახსენებ დიქტატურას დღევანდელი დღის კონტექსტში? არა იმიტომ, რომ დღეს საქართველო დიქტატურად მიმჩნია (ან გუშინ მიმჩნა), არამედ იმიტომ, რომ საქართველო საკუთარი არსითა და მოწოდებით ერთი ძლიერი ლიდერის მმართველობისადმი მიდრეკილი ქვეყანაა. ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ქვეშ, შემდეგ სრულ პრე-სახელმწიფოებრივ ქაოსსა და უკიდურეს გაჭირვებაში, სულ ბოლოს კი, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით კვლავ მონარქიული სტილის რეჟიმის ქვეშ მცხოვრებმა

ქართველმა ხალხმა სრულიად დავინწყა (ოდესმე საერთოდ თუ იცოდა), რას ნიშნავს საკუთარი თავის განკარგვა. სინამდვილეში, დამოუკიდებელი საქართველო არასდროს ყოფილა სრულყოფილი რესპუბლიკა; ის მხოლოდ დეფექტური მონარქიაა. ჩვენს მიწაზე მონარქებიც მომენტალურად ჩნდებიან. აქ ყოველი მეორე უმაქნისი მჭევრმეტყველი სრულიად მარტივად მეფდება. ამიტომ რესპუბლიკურობის განვითარების ნაცვლად, უკვე წლებია, რაც ჩვენ მხოლოდ მონარქებს შორის გამოკიდებულები ვარსებობთ. ცხადია, მათგან ზოგს გარკვეული ვადით ვირჩევთ, სხვებს კი უვადოდ ვალმერთებთ. ბოლოს და ბოლოს, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, რომ ჩვენ გვყავს დე ფაქტო მონარქი. მის სიტყვას, როგორც არ უნდა იყოს ის, უხმოდ და განუსჯელად ემორჩილება ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა, ის ოფიციალურად დგას კანონზე მაღლა და, რაც მთავარია, მასთან ერთად კანონზე მაღლა დგას მისი ქვეშევრდომების მთელი არმია. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი და ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსია, რომელიც ყველა დროის ყველა დროებით მონარქთან თანამშრომლობდა, ყველა მათგანი გაისტუმრა პოლიტიკურ საიქიოში, თვითონ კი დღემდე ზეობს და ასე იქნება სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ხოლო საქართველოს საზოგადოება, რომელიც მზად არის კანონებსა და კონსტიტუციაზე მაღლა დააყენოს ესა თუ ის სუბიექტი, სწორედ რომ მონარქიული ფსიქოლოგიით მოძრავი საზოგადოებაა. სწორედ ამიტომ თითოეული ქართული წინასწარჩენი პერიოდი ჩემთვის *Sede Vacante*-ს პერიოდს ჰგავს – დროს, როდესაც ღვთაებრივი სამეფო ტახტი თავისუფალია, როდესაც ხალხი უცდის რჩეულის გამოჩენას.

თუმცა ქართულ რეალობაში ბოლო დეკადების განმავლობაში ხელოვნურად ჩაშენებული დე ფაქტო მონარქიის გარდა, საქართველო დროებით მონარქებსაც მეტად ჰყვარობს. მო-

გვხსენებთ, ქართული პოლიტიკა ჯერ კიდევ მხოლოდ ე.წ. „სახეების პოლიტიკაა“. თანამედროვე ქართული გაგებით, პოლიტიკა ყველაზე მარტივად განმათავისუფლებელი მსხნელის ლოდინის აქტია. აი, თავად განსაჯეთ: პირველად მესიად ზვიად გამსახურდია წარმოჩინდა, შემდეგ კი გამსახურდიას მიერ გამოწვეული ქაოსიდან ქართველ ხალხს გმირ გამომხსნელად ედუარდ შევარდნაძე მოეკვლინა. მოგვიანებით გამოჩნდა შევარდნაძის მიერ შექმნილი ასფიქსიური ქაობიდან ერის დიდი ლიბერატორი მიხეილ სააკაშვილი, სულ ბოლოს კი მოგვეკვლინა სააკაშვილის მიერ შექმნილი ჩაკეტილი სისტემიდან ღია საზოგადოების დამაარსებელი და, პოტენციურად, სამოქალაქო საზოგადოების სახელგანთქმული მამაც, სინამდვილეში კი რუსი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ქვეყანას საგარეოდ ისე უყურებს, როგორც CEO ფინანსურ კორპორაციას. მაგრამ არცერთ მათგანს არ გაუმარჯვია კონკრეტული იდეების გამო. ყველა მათგანმა გაიმარჯვა წინამორბედის შეცდომების ან წინა რეჟიმის დასრულების აუცილებლობის გამო. ქართულ პოლიტიკას ყოველი ახალი ლიდერი საკუთარი წინამორბედისგან ქართველი ხალხის განმათავისუფლებლად ევლინება. სწორედ ამიტომ საქართველოში ყველა ახალი რეჟიმის მოსვლა აბსოლუტურ სანყისად მიიჩნევა. შესაბამისად, განგრძობადობაზე უფრო მნიშვნელოვანი ღირებულება თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ყოველთვის ხელახლა დაწყებაა. ამიტომ, ჩვენ მუდმივად ვინყებთ: დემოკრატის შენებას (რომელიც ვერ შენდება), სამართლის აღდგენას (რომელიც ვერ აღდგა), ტერიტორიულ გამთლიანებას (მაინც არ მთლიანდება), რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას (ის მაინც მუდამ გვერჩის). სწორედ აბსოლუტურ სანყისს უკავშირდება ასევე ახალი კოსმოგონიური მითების დაბადება, რომლებიც ახალი დასაბამის ამბავს მოგვითხრობენ, ისე, როგორც ახალი იმედები, რომლებიც რამდენიმე წელიწადში სასწაულე-

სინამდვილეში, დამოუკიდებელი საქართველო არასდროს ყოფილა სრულყოფილი რესპუბლიკა; ის მხოლოდ დეფაქტო მონარქიაა. ჩვენს მიწაზე მონარქების მომენტალურად ჩნდებიან. ამ ყოველი მეორე უმაქნისი მკავრმეტყველი სრულიად მარტივად მეფდება. ამიტომ რესპუბლიკურობის განვითარების ნაცვლად, უკვე წლებია, რაც ჩვენ მხოლოდ მონარქებს შორის გამოკიდებულები ვარსებობთ.



ბრივად იმსხვრევა. საბოლოოდ კი იგივე წრიულობა გრძელდება ახალ მთავრობასთან მიმართებაში. ასეთია ქართული პოლიტიკის ჩარჩო: საქართველო ირჩევს ლიდერს, შემდეგ მისგან გარკვეული ვადით ქმნის ღვთაებრივ-მონარქიულ ერთეულს, ხოლო როდესაც ღვთაებრივი კონტრაქტის ვადა არაღვთაებრივად იწურება (ანუ როდესაც რეჟიმის საქმეებით ყველა გარკვეულწილად განზილებული, დაჩაგრული ან სულაც დასახიჩრებული რჩება), ჩვენი საზოგადოება სასწაულებრივად ფხიზლდება. მაშასადამე, ქართული პოლიტიკა გადაწყვეტას პოულობს არა შემარცხენე და შემარჯვენე პოლიტიკას შორის, არამედ ძილ-ბურანისა და მომენტალური სიფხიზლის ანტითეზის ირგვლივ. სწორედ ამგვარი გადაწყვეტის შედეგია არა წინსვლა, არამედ წრიულობა.

მაგრამ, ამ ვითარებას ასევე აუცილებლად კვებავს კონცეპტუალური

ქაოსი. თანამედროვე ქართული ვითარება ორ მითს მაგონებს. პირველი ბიბლიური ამბავია, მეორე კი კოსმოგონიური მითი ჩინური პოლიტიკური ფილოსოფიიდან. ვისაც „დაბადების“ მე-11 თავი ახსოვს, მას ისიც ახსოვს, რომ ადამიანმა სხვა ადამიანთა გაგების უნარი დაკარგა. თავდაპირველად არსებობდა უნივერსალური ენა, რომელიც თავად მიწად დაშვებულმა ღმერთმა მოიტაცა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც საერთო მიზნის ირგვლივ გაერთიანებულმა ადამიანებმა გადანყვიტეს აეშენებინათ „თავთა თვისთათვის ქალაქი და გოდოლი, რომლისა თავი იყოს ვიდრე ცადმდე“. მაგრამ ჩავიდა ღმერთი, რათა ეხილა ადამიანთა საქმე და საკმაოდ განზილებულიც დარჩა. ახლა თუ ეს საქმე დაასრულეს, შემდეგ ყველაფერს მიაღწევენო, ბრძანა ღმერთმა და შემდეგ აურია მათი ენები, „რათა არა ესმოდის თთოთეულსა ხმაი მოყუა-

სისა“. ასე გაქრა უნივერსალური ენა და, მასთან ერთად, ადამიანის უნარიც, გაეგო სხვა ადამიანისა. ღვთაებრივად დაყრუებული კაცობრიობა გაიბნა და სრულიად დედამიწის გარსს მოედო. ამგვარად დასრულდა საყოველთაო მიზნით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობა, ხოლო ქალაქს ეწოდა ბაბილონი, რომელიც დაბნეულობას, აღრეულობას ნიშნავს.


დაახლოებით ამგვარ სიტუაციაში ვითარდება ჩვენი მეორე მითი, რომელიც ჩინელ პოლიტიკურ მოაზროვნეს, მო ცუს, ეკუთვნის. როგორც ყველა სხვა კოსმოგონიური ამბავი, ეს ამბავიც შესაქმის დროში ხდება, როდესაც ქაოსიდან წარმოიშობა წესრიგი, ხოლო მატერია იღებს ფორმას. მო ცუ ალწერს, რომ უხსოვარ დროში ადამიანები ვერცერთი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ ვერ თანხმდებოდნენ. რახან ერთი და იგივე სიტყვა ყველა მათგანს

განსხვავებულად ესმოდა, არავის ესმოდა არავისი და ყველა მიიჩნევდა, რომ თავად იყო მართალი. ეს ასე გრძელდებოდა, სანამ მათ არ მოეწონათ ღვთიური ძე, რომელმაც სიტყვებს კონკრეტული მნიშვნელობა მიანიჭა, ხოლო საზოგადოებას – ნანატრი წესრიგი. ნებისმიერი ქართული დისკუსიის ყურება ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში ყველა სხვადასხვა რაღაცას გულისხმობს, რომ არავის ესმის არავისი, რომ ყველა საუბრობს თავისთვის. უფრო კონკრეტულად კი, კონცეპტუალური სამყარო, რომელშიც 2013 წლის პოლიტიკური მოვლენები ვითარდებოდა, შემდე-

ზე კრიმინალურად გამეფებული სასულიერო იერარქები დემოკრატია არაა არ იცნობენ, არამედ მტრობენ კიდევ. მათთვის დემოკრატია სამყაროს აღსასრულია.

თითქოს ეს საკმარისი არ იყოს, წინააღმდეგობებიც ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილის უმეტესი კრიტიკოსი მას დემოკრატიული წყობის უმთავრესი პრინციპების უგულებელყოფაში სდებდა ბრალს (ცხადია, სამართლიანად), ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ დემოკრატია ჩვენი საზოგადოების პრიორიტეტს სულაც არ წარმოადგენს. მართლაც, ჩვენი საზოგადოების მოზრდილი ნაწილი დემოკრატია

ლას მიმართ თანაბრად აღსრულებდა. ოქტომბრიდან მოყოლებული, მრავალ შოკისმომგვრელ ამბავთან ერთად, ეტაპობრივად ცხადდებოდა, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის პრიორიტეტს არც საყოველთაო სამართალი წარმოადგენს. მაგალითად, საზოგადოება, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას სამართლის სელექციურად აღსრულების გამო აკრიტიკებდა, თავად აღმოჩნდა სამართლის სელექციურობის მოყვარული. თვით იუსტიციის მინისტრმა, რომელიც სამართლის უმაღლესი აღმსრულებელი უნდა ყოფილიყო, განაცხადა, რომ სამართლის წინაშე ყველა თანასწორია, მაგრამ ზოგი უფრო მეტად თა-




გი ცნებებითაა დასახლებული: „დემოკრატია“, „სამართალი“, „უმცირესობა-უმრავლესობის ანტითეზა“, „კოჰაბიტაცია“ (სრულიად აბსურდული ტერმინი, რომელიც სინამდვილეში თანაარსებობას გულისხმობს, რასაც ისედაც ყოველდღე ვაკეთებთ). რა თქმა უნდა, არავინ იცის ან პოლიტიკოსები, ან მოქალაქეები ამ სიტყვებს რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ის კი ცხადია, რომ ამ ტერმინების გამოყენებით ლამის ყველამ თქვა რაღაც, ერთი წინადადება მაინც. მაგალითად, დემოკრატია ყველასთვის განსხვავებულ რაღაცას ნიშნავს. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება დემოკრატია პატივს საერთოდ არ სცემდა და მის უმთავრესს პრინციპებს რეგულარულად არღვევდა, საქართველოს მოქმედმა პრემიერმა მისი მნიშვნელობა, სავარაუდოდ, საერთოდ არ იცის, ხოლო თანამედროვე ქართულ ინტელექტ-

„ხარისხობრივ“ ტრილში აღიქვამს, მათთვის დემოკრატიულობის მიერ ადამიანისათვის მინიჭებული პრივილეგია მხოლოდ ზოგ მოქალაქეზე ვრცელდება, სხვებზე კი – უბრალოდ არა, ან – ნაკლებად. გაურკვეველობის მსხვერპლია ასევე „სამართალი“, რომლის გაგებისას ბევრ ჩვენგანს უკვე ჟრუანტელი უვლის. ცხადია, არა იმიტომ, რომ სამართალი არ გვსურს. პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ სამართლიან სახელმწიფოში ცხოვრება გვსურს. ძვირფასი ჟან-ჟაკ რუსო დამეთანხმებოდა, რომ სამართალზე დაფუძნებული სახელმწიფოს უტყუარი ნიშანი არა მართლმსაჯულების შესახებ მუდმივი ლაყობა, არამედ სამართლის უჩინარობაა. სახელმწიფოს სამართალზე დაფუძნებულობა ცხადი ყველაზე მეტად სწორედ მაშინ არის, როდესაც ის არ ჩანს და არ ისმის, მაგრამ არსებობს მუდმივად და ყვე-

ნასწორი, მაგალითად, სასულიერო პირები. მოგეხსენებათ, ბავშვობაში ყველა ჩვენგანს ასწავლეს, რომ საქართველო ოდიტანვე იყო ტოლერანტული ქვეყანა, რადგან ბედის გამოსობით ერთ მოედანზე სამი შენობა ერთმანეთის გვერდიგვერდ მოხვდა. მაგრამ შემდეგ ცხოვრებამ ისიც გვასწავლა, რომ ტოლერანტობა სულაც არ გულისხმობს მუსლიმისთვის ლოცვის უფლების მიცემას, რადგან შესაძლოა ჩვენი შვილები უცაბედად გამუსლიმდნენ და, ამ პროცესში, სამყაროს აღსასრულიც დადგეს. ამიტომ, თანამედროვე საქართველოში, კონსტიტუციაზე მაღლა, რომელიც უნდა არეგულირებდეს ინდივიდუალურ შიშს, დგას თავად შიში, რომელიც ითხოვს კონსტიტუციის შეცვლას. ტერმინების – „დემოკრატია“, „სამართალი“ და „უმცირესობა-უმრავლესობა“ თანამედროვე გაგება იმდენად აბსურდუ-

ქართულ პოლიტიკას ყოველი ახალი ლიდერი საკუთარი წინამორბედისგან ქართველი ხალხის განმათავისუფლებლად ევლინება. სწორედ ამიტომ საქართველოში ყველა ახალი რეჟიმის მოსვლა აბსოლუტურ საწყისად მიიჩნევა. შესაბამისად, განგრძობადობაზე უფრო მნიშვნელოვანი ღირებულება თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ყოველთვის ხელახლა დანყება.



ლად არის აღრეული, რომ სრულიად შეუძლებელია მათი მეშვეობით რაიმე სახის პოლიტიკაზე საუბარი. მრჩება შთაბეჭდილება, რომ 2014 წელს საქართველო არა მხოლოდ ორი ახალი ლიდერით, არამედ ღვთაებრივად დაყრუებული და მო ცუს პოლიტიკური მითისმაგვარ ვითარებაში მცხოვრები შეხვდება.

ვფიქრობ, დღევანდლობის მოსახელთებლად ასევე აუცილებლად უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი, ასევე ბოლო დროს დაბადებული იდეა: „9 წელი“. მოგეხსენებათ, „9 წელი“ სააკაშვილის მმართველობის ხარისხობრივ შეფასებას წარმოადგენს, მაგრამ „9 წლის“ იდეაც აბუჩადაგებულია. მსგავსად „სამართლისა“ ან „სამშობლოსი“ მას დღეს იყენებენ ძლიერი ემოციების გამომწობისა და პოლიტიკური მანევრირებისთვის, საზოგადოებრივი აზრი კი ბურუსში ეხვევა. შეხება აქაც აბსოლუტური

საწყისის განცდასთან გვაქვს, რაც დიდი ალბათობით, სულ მალე მორიგ იმედგაცრუებას გამოიწვევს. სინამდვილეში, უკანასკნელი ცხრა წლის კრებსით სახელად წარმოჩენის მცდელობა, არსებითად მცდარი მიდგომაა, რადგან „ცხრა წელი“ არა უნიფორმული, არამედ ხარისხობრივად მდიდარი წლები იყო, რომელმაც ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი გაკვეთილი უნდა გვასწავლოს. ცხრა წელმა, რომელმაც საქართველოში ახალი თაობის დაბადება იხილა, ასევე იხილა კარგიც და ავიც: უპრეცედენტო მოდერნიზაცია, ადამიანთა უფლებებისა და დემოკრატიის უმთავრესი პრინციპების დარღვევა და უგულებელყოფა, პოლიტიკური გულგრილობა, რუსულ-ქართული ომი, საზოგადოებრივი სისუსტე, უბრალო იდოტიზმი და უმეცრება, და კიდევ რა არა. ცხრა წლის ერთი რომელიღაც ფენომენის, კარგის თუ

ცუდის, კრებსით სახელად აღქმა არამხოლოდ სტრატეგიული შეცდომაა, არამედ ისტორიული უზუსტობაც. შესაძლოა მიხეილ სააკაშვილი ადამიანს ძლიერ უყვარდეს, ან მას სულაც ვერ იტანდეს, მაგრამ ნათელია, რომ საქართველომ სწორედ უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში მიიღო თანამედროვე სახელმწიფოს ფორმა. შევარდნაძის დროინდელი საქართველოს ქაოსიდან სააკაშვილის ადმინისტრაციამ სახელმწიფოს ფორმით გარკვეული წესრიგი შექმნა. პოლიციის, ჯარისა და საჯარო სამსახურების რეფორმების შედეგად სააკაშვილის გუნდმა შექმნა აუცილებელი ჩარჩო სახელმწიფოს სტაბილური არსებობისათვის. მაგრამ ეს იყო დეფექტური ჩარჩო. სახელმწიფო, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა შექმნა, გახლდათ პერსონალური სახელმწიფო. სწორედ სახელმწიფოს პერსონალურობა იყო იმ მრავალი პრობლემის მთავარი წყარო, რაც



ათნეულის განმავლობაში გაჩნდა და რამაც საბოლოოდ სააკაშვილის მმართველობაც დაასრულა.

მაშ, დავუბრუნდეთ 2004 წელს, გელათს, სადაც მიხეილ სააკაშვილი გვირგვინს იდგამს. შემთხვევითობა სულაც არ ყოფილა, რომ ახალგაზრდა და ენერგიული სააკაშვილი საქართველოს ლიდერად გელათში ეკურთხა, რადგან შემდეგი დეკადის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი სწორედაც რომ მონარქიული ტიპის ლიდერი იქნებოდა. ეს მის მმართველობის სტილი იყავდა აისახებოდა, როგორც მისი მთავრობების პოლიტიკურ თემატიკასა და პრიორიტეტებში. პირველ რიგში სააკაშვილის მმართველობის სტილი ერთი კაცის მმართველობის რეჟიმი იყო: ქვეყნის მთავარსარდლობისა და კაბინეტის მეთაურობის პარალელურად, ის ასევე ხსნიდა სასადილოებსა და შადრევნებს, საავადმყოფოებსა და სასტუმროებს, ატარებდა ბრიფინგებსა და მიღებებს და დამდამობით საქართველოს თავზეც დაფრინავდა. ყოველთვის რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ის იყო ყველგან. სააკაშვილი იყო არა მხოლოდ ქვეყნის სახე, არამედ დომინანტი სახე ასევე სრულიად პოლიტიკური ელიტისა, მთავრობისა და ლამის თვით პარლამენტისაც კი. წლების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი იყო სახელმწიფო. ეს კი დღევანდელი დღის აღსაქმელად მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, სააკაშვილის ადრეული ადმინისტრაციის უმთავრესი პრიორიტეტი სახელმწიფოებრივი ჩარჩოს შექმნა იყო, რაც უპირველეს ყოვლისა ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბებასა და არმიისა და პოლიციის გაძლიერებას გულისხმობდა. ამდენად, სააკაშვილის ადმინისტრაციის საბაზისო ღირებულება თავიდანვე გახლდათ უსაფრთხოება, რომელიც კლასიკურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში აღიქმება, როგორც არსებითად მონარქიული ღირებულება. ცხადია, ნებისმიერი ნორმალური ხელისუფალი აუცილებლად უნდა იყოს მოქალაქეთა უსაფრთხოების გარანტიც, მაგრამ უსაფრთხო-

ება შეიძლება იყოს სახელმწიფოსი, ისე, როგორც თავად ხელისუფალის. პირველი თუ საყოველთაო სიკარგეს (*bene comune*) ემსახურება, მეორე უშუალოდ მმართველის პოლიტიკური სიცოცხლის შენარჩუნებას გულისხმობს. სწორედ ამ ჭრილში იჩენს თავს სახელმწიფოს *პერსონალურობის* არსი. მაგალითად, როდესაც ნიკოლო მაკიაველი მედიჩებს „უსაფრთხოების“ შესახებ ესაუბრება, ის საუბრობს არა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე, არამედ პირადად მედიჩების, როგორც ტერიტორიის მმართველების უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, მთავარი იდეალი აქ არა თავისუფლება ან პოლიტიკური ეკონომია (ანუ, ცხოვრების გარკვეული წესრიგით განკარგვა), არამედ პირადად მმართველის უსაფრთხოებაა, ანუ მის მიერ ძალაუფლების შენარჩუნება და გამყარება. სიტყვა *stato*, რომელიც იტალიურად „სახელმწიფოს“ ნიშნავს, მაკიაველისთვის უპირველეს ყოვლისა მმართველის პირად, პერსონალურ სტატუსს ნიშნავს და არა პოლიტიკურ ერთეულს.

ეს იყო *status*-ის კლასიკური მნიშვნელობაც, რომელიც (სიტყვა „სტატუსის“ თანამედროვე მნიშვნელობის მსგავსად) მმართველი ელიტის პირად მდგომარეობას აღნიშნავდა. აქედან მომდინარეობს „სახელმწიფოს“ აღმნიშვნელი სიტყვები სხვადასხვა ევროპულ ენაზე, მაგალითად: *the state, der Stadt, lo stato, l'état*; მაგრამ თანამედროვე სამყაროში ეს სიტყვები აღნიშნავენ *იმპერსონალურ* პოლიტიკურ ერთეულს, ანუ სახელმწიფოს, რომელიც მანამდეც არსებობს, სანამ მას ესა თუ ის მმართველი ჯგუფი გარკვეული ვადით მიიღებს. ამისგან განსხვავებით, კლასიკურ დროში *politeia* (მმართველი) და *politeium* (მართული ტერიტორია) ერთმანეთის იდენტური იყო. შესაბამისად, „სახელმწიფო“ იყო იდენტური მმართველთან, ანუ – *პერსონალური*. არაპერსონალური სახელმწიფო ნათლად პირველად ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნის, ჟან ბოდინის ნაწერებში ჩნდება, ყველაზე სრულყოფილი ფორმით კი

ინგლისელი პოლიტიკური ფილოსოფოსის, თომას ჰობსის „ლევიათანში“. თანამედროვე სახელმწიფოს არაპერსონალურობა ოფიციალური ფაქტია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო პრაქტიკაშიც ყოველთვის არაპერსონალურია. მაგალითად, სილვიო ბერლუსკონის თანამედროვე იტალია პერსონალური სახელმწიფო იყო, მსგავსად დამოუკიდებელი საქართველოსი – მისი ფაქტობრივად ყველა ლიდერის მმართველობისას.

დღეს ჩვენი გამოწვევა არა „9 წლის“ სრული უარყოფა, არამედ მისი მემკვიდრეობის შეძლებისდაგვარად ობიექტურად გადაფასება და მისით ნინსვლაა. როგორც წმ. გრიგოლ ხანძთელი იტყოდა, აუცილებელია შევიმეცნოთ ბოროტი, ისე, როგორც კეთილი, „კეთილი შევიწყნაროთ, ხოლო ჯერკუალი განვაგდოთ“. ახალი ქართველი ლიდერისაგან სწორედ ამას ველი. უპირველეს ყოვლისა, ველი სახელმწიფოებრიობის განცდას, რაც აუცილებლად გულისხმობს უკეთესი საქართველოს იდეის ჩამოყალიბებას და შემდეგ მის თანმიმდევრულ განხორციელებას. მათგან ასევე ველი საქართველოს მოქალაქეებისთვის დღევანდლობის საპირისპიროდ კონკრეტული პოზიტიური ალტერნატივის მიწოდებას. სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი დღეს არა მიხეილ სააკაშვილის მემკვიდრეობის სრული უარყოფა, არამედ მისი ხარისხობრივი გადაფასება და ქართულ პოლიტიკაში გარკვეული განგრძობადობის გახალისებაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი სააკაშვილის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი ჩარჩოსთვის *იმპერსონალურობის* ხარისხის მიცემაა, რაც დეპოლიტიზებული სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას ნიშნავს, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საყოველთაო სამართალზე დამყარებული სახელმწიფოს აგება. სახელმწიფოსი, რომლის კეთილდღეობა არ არის მიჯაჭვული არცერთი პოლიტიკური გუნდის კეთილდღეობასა და ინტერესებზე, არამედ რომელიც არსებობს ყველასგან დამოუკიდებლად,

წრიულობის გარღვევა, რომელშიც საქართველო იმყოფება, მხოლოდ საზოგადოებიდან შეიძლება დაიწყოს, რადგან სინამდვილეში ერთი ადამიანი ვერც სახელმწიფოს დააარსებს და ვერც სამოქალაქო საზოგადოებას შექმნის (რამეთუ აქედან არც პირველია ფინანსური კორპორაცია, არც მეორე სააქციო საზოგადოება). ამიტომ სრულიად აუსილებელია ქართულმა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ უარყოს ლეგენდარული დამაარსებლის მითი, შეწყვიტოს მესიის ლოდინი და საკუთარ ხელში აიღოს რესპუბლიკის განკარგვა.



როგორც ადამიანების სტაბილური პოლიტიკური ერთობლიობა.

რას ველი საზოგადოებისგან? წრიულობის გარღვევა, რომელშიც საქართველო იმყოფება, მხოლოდ საზოგადოებიდან შეიძლება დაიწყოს, რადგან სინამდვილეში ერთი ადამიანი ვერც სახელმწიფოს დააარსებს და ვერც სამოქალაქო საზოგადოებას შექმნის (რამეთუ აქედან არც პირველია ფინანსური კორპორაცია, არც მეორე სააქციო საზოგადოება). ამიტომ სრულიად აუსილებელია ქართულმა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ უარყოს ლეგენდარული დამაარსებლის მითი, შეწყვიტოს მესიის ლოდინი და საკუთარ ხელში აიღოს რესპუბლიკის განკარგვა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ლიდერებისგან არა დროებითი მონარქიული დვთაებების, არამედ საზოგადოების ნებაზე მუდმივად დამორჩილებული პოლიტიკური მსახურების

გამონრთობას ნიშნავს და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ. მაგრამ, სანამ თავად ქართული საზოგადოება არ დაიწყებს ლიდერების ავკარგიანობის კონკრეტული პოლიტიკური ხედვების მიხედვით განსჯას, მანამდე შევინარჩუნებთ არსებულ, სამწუხარო ვითარებას, რომელშიც ლიდერები ჩვენი გულის მოგებას მითიური იდეალების დაკმაყოფილების მცდელობით, ანუ უბრალო პოპულიზმით ცდილობენ. პოლიტიკურ საზოგადოებად ჩამოყალიბებამდე ჩვენ წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს. ჯერ კიდევ წინ გვაქვს ტერმინების მიღმა კონკრეტული მნიშვნელობების დანახვა, სხვათა დაფასება, საკუთარი თავის უფრო ვრცელი საზოგადოების ნაწილად აღქმა და იმის გააზრება, რომ საერთო სიკეთის სამსახური მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე არის მხოლოდ საკუთარი ინტერესის სამსახური. რაც მთავარია, ჯერ კიდევ

წინ არის ჩვენთვის მახასიათებელი მომენტალური და ერთჯერადი გამოფხიზლებების სტაბილურ და მუდმივ ფენომენად გადაქცევა.

დაბოლოს, გვყავს თუ არა ისეთი კანდიდატი, რომელიც შეძლებს წრიულობის გარღვევას? არა მგონია, თუმცა თქვენი პასუხი შეიძლება განსხვავებულიც იყოს. ამასობაში მე ვუყურებ ჩვენი რესპუბლიკის მომავალ პრეზიდენტთა გადარბენას და ერთადერთი, რაც მაგონდება, არის დიდი იტალიელი პოლიტიკური მოღვაწის, ქრისტიან-დემოკრატი პრემიერის, ალჩიდე დე გასპერის საყვარელი გამოთქმა, რომელიც ჯეიმს ფრიმენ კლარკს ეკუთვნის: „პოლიტიკოსი ფიქრობს მომავალი არჩევნების შესახებ; სახელმწიფო მოღვაწე კი მომავალი თაობების შესახებ“. თანამედროვე საქართველოში უამრავი პოლიტიკოსი ჩანს, მაგრამ არცერთი სახელმწიფო მოღვაწე.



პირველი პირები – ძალაუფლება და ახირებები

ავტორი: გრიგოლ გეგელია

ის, რასაც ქვემოთ იხილავთ, არც რეიტინგია, არც რაიმე ერთი კრიტიკური შედეგის სია. აქ უბრალოდ ვიგონებთ რამდენიმე ისეთ ადამიანს, რომელთაც არჩევანისა თუ მემკვიდრეობის მეშვეობით სახელმწიფოს მართვა ხვდათ წილად. უფრო სწორედ, აქ ჩვენ მათ უცნაურობებსა თუ სწეულებებს ვიგონებთ. როგორც თავად შეატყობთ, რომ აქ მოყვანილი ლიდერებიდან უმეტესი არანორმალურია. რამდენიმე მათგანი ადამიანების ხოცვით იღებდა სიამოვნებას, ზოგს საკუთარი თავი შუშის ეგონა, ზოგიც ენერგიულად მასტურბირებდა (როგორც ლიდერებს ზოგადად სჩვევიათ), სხვა კი მკვდარ ქალაქს აგებდა. მაგრამ, ერთი მათგანი, უილიამ ევარტ გლადსტონი, ჩემთვის ბევრი მიმართულებით სამაგალითო და ძვირფასი პოლიტიკოსია. ვფიქრობ, კარგიცაა ასე რომ არის, რადგან სწორედ აქ იკვეთება მარტივი – გინდ უსიამოვნო – სიმართლე, რომ თავის მხრივ, ყველა ლიდერი ყოველთვის გარკვეული ფორმით დაავადებული თუ უცნაურია, გარკვეულწილად ყოველთვის საკუთარი ახირებებისა თუ სურვილების მსხვერპლი და მსახურია. საბოლოოდ, მმართველის ავკარგიანობასა და საზოგადოების პოლიტიკურ სიჯანსაღეს, ალბათ, უმეტესწილად სწორედ ეს განსაზღვრავს: ლიდერების ახირებებისა და საზოგადოების სიფხიზლის მუდმივი შეჯახება, ბრძოლა, რომლის შედეგადაც უნდა გამოიწიროს ჯანსაღი პოლიტიკური საზოგადოება. ამგვარი ბრძოლის გაჩაღება ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ისეთ საზოგადოებაშია, რომელიც დემოკრატიულად არჩეული ლიდერებისგან მუდმივად ქმნის მონარქებს, და ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც ფორმალურად დემოკრატია ეწოდება, ფსიქოლოგიურად კი მონარქიაა. სწორედ ასეთია დღევანდელი საქართველო.



კალიგულა (12-41), რომის იმპერატორი

კალიგულა ადრეული ასაკიდანვე უცნაური გახლდათ. ის ჭამდა კატებს, მასტურბირებდა საჯარო სივრცეში და საკუთარ დებთან სექსუალურ კავშირს ამყარებდა. საბოლოოდ, მან ერთ-ერთი მათგანი ცოლადაც შეირთო, თუმცა ორსულობისას საკუთარი ხელითვე მოკლა – მუცელი გამოჭრა, დაუბადებელი ჩვილი კი შეჭამა. კალიგულას ერთ-ერთი ჰობი ადამიანის ნაშენი გახლდათ, უფრო კონკრეტულად კი ადამიანების შუაზე გახერხვა. თუმცა მას ასევე ხიბლავდა მსხვერპლის თავდაყირა დაკიდება და მისი სათესლე ჯირკვლების ლეჭვა. სამაგიეროდ, კალიგულას ძალიან უყვარდა საკუთარი ცხენი, რომელსაც ის კონსულად დანიშნავდაც უპირებდა. ცხენს კალიგულამ ძვირფასი ფარჩებით განწყობილი მარმარილოს საჯინიბო აუგო და სენატორის საკადრის ფუფუნებაში აცხოვრებდა. რალა თქმა უნდა, საჯინიბო სკამებითა და დივნებით იყო განწყობილი, რათა პატივცემულ ცხენს ასევე პატივცემული სტუმრების სადილად მიღება შესძლებოდა. ერთხელ იმპერატორმა უცაბედად გამოუცხადა ომი ზღვის ღმერთს, პოსეიდონს. კალიგულამ უამრავ რომაელ ჯარისკაცს უბრძანა ზღვა შუბებით დაესერათ და ნიჟარები შეეგროვებინათ. უდავოდ საინტერესო წარმოსადგენია ნიჟარების შემგროვებელი და ზღვის შუბებით განმგმირავი დიადი რომაელი ჯარისკაცები. გასაკვირი სულაც არაა, რომ აქედან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ სანახაობიდან გამოსული კალიგულა საკუთარმა გვარდიამ მოკლა. იმპერატორის გვამი ქუჩაში გაიხრწნა.

შარლ VI (1368-1422), საფრანგეთის მეფე

ზოგი ლიდერის სიგიჟე თუ უცნაურობა მათი პოლიტიკური კარიერის ჩანასახშივე ცხადია. შარლ VI კი მოულოდნელად გაგიჟდა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ერთ-ერთი თავაშვებული ნადიმისას დარბაზში ცეცხლი გაჩნდა. ბევრი სტუმარი ადგილზე დაიწვა, მეფე გადარჩა, მაგრამ გა-

გიჟდა. ამ დღიდან მოყოლებული ის ხშირად საკუთარ ვინაობას ვერ იხსენებდა, ვეღარ ცნობდა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს და თავს ესხმოდა მსახურებს, რომელთაგან რამდენიმე შემოაკვდა კიდეც. რაც ყველაზე საინტერესოა, საფრანგეთის მეფე დარწმუნებული იყო, რომ იგი შუშის იყო. ამიტომ, მანტიანდა მან რკინის მძიმე ორნამენტები დაამაგრებინა, რათა „არ დამსხვრეულიყო“. საბოლოოდ, შარლი თვეების განმავლობაში აღარ ბანაობდა და ლამის ცოცხლად დაღუპა. ცხადია, ისტორიას უამრავი გიჟი მონარქი ახსოვს. მაშ, რატომ მაინცდამაინც შარლი? ვფიქრობ, „შუშის მონარქის“ იდეაში რაღაც განსაკუთრებულად საინტერესო და მიმზიდველია. რასაკვირველია, მონარქი, რომელიც ფიქრობს, რომ იგი შუშისაა, ფსიქიკურად შეშლილი მონარქია. მაგრამ ის შესაძლოა ყველაზე გონიერი მონარქიც იყოს, რადგან შუშა, როგორც მსხვერვადი და გამჭვირვალე რამ, საკუთარ ხასიათშივე ატყვევებს რეალური სიშიშვლის შეგრძნებას, ისე როგორც გარდაუვალი დამსხვრევის წინათგრძნობას. შუშის მონარქი გარკვეულწილად ყოველთვის მართალია.


ვლად III ბანმბმირჰელი (1431-1476), პლახეთის მთავარი

ზოგ ხალხს არ უმართლებს და მათი ლიდერი ბიუჯეტით კვებას მიჰყოფს ხოლმე ხელს. მაგრამ, ზოგს კიდეც უფრო მეტად არ უმართლებს. მაგალითად, მაშინ, როდესაც – ნაკლებად წარმატებულ შემთხვევებში – ლიდერს ხალხის სისხლში პურის ჩანობა ხიბლავს. ვლად ბანმბმირველი, რომელიც მის მიერ შთაგონებული რომან „დრაკულას“ გამოისობით საკმაოდ ცნობილია, სწორედ ერთი ასეთი მმართველი გახლდათ. ვლადის ბრძანებით ზოგს ცოცხლად აცლიდნენ შინაგან ორგანოებს, ზოგს თავს კვეთდნენ, სხვებს კი ცოცხლად ხარშავდნენ. თუმცა ნამების სხვადასხვა ფორმიდან ვლადს არც ერთი არ მოსწონდა ისე, როგორც ადამიანების ცოცხლად გატყავება. მსხვერპლთა ნამების პარალელურად,

ათასობით გატყავებული გვამით გაშემორტყმული, ვლადი ჩვეულებრივ მიირთმევდა სადილს და ხანდახან მსხვერპლის სისხლში პურსაც ანობდა. ერთ დღეს, როდესაც ვლადმა აშკარად ცუდ ხასიათზე გამოიღვიძა, მან სოფელ ამლასის მცხოვრებნი დაახოცვინა, დაახლოებით 20 000 ადამიანი. მაგრამ ყველა ლიდერის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც ის სიყვარულით აღენთება და ხალხის დახმარებას მოინადინებს. ასე მოუვიდა ვლადსაც. მან ვლახეთის შეჭირვებულნი საკუთარ სახლში მიიწვია და გემრიელად დააპურა. შემდეგ კი დარბაზს ცეცხლი წაუკიდა და ისინი ერთიანად ამოჰუგა ცოცხლად. ვლად III-ის სადისტურ ახირებებს საერთო ჯამში 80 000-100 000 ადამიანი შეეწირა.

უილიამ ეპარტ გლადსტონი (1809-1898), გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი

ვიქტორიანული ეპოქის ერთ-ერთი ხატი, უილიამ გლადსტონი ლონდონის ლამის ქუჩებში სეირნობის დიდი მოყვარული გახლდათ. გლადსტონი რეგულარულად სტუმრობდა მეძავეებს და კიდეც უფრო ხშირად მასტურბირებდა. თუმცა გლადსტონს სხვაც ბევრი ჰობი ჰქონდა. მაგალითად, მას სასწაულად იტაცებდა ბენჯამინ დიზრელის განაშენი (და მისი მთავრობების დამხობა), ისე როგორც ხეების ჭრა. მუდმივად სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემებთან შეჭიდებული, გლადსტონი ჯავრს ხეებზე იყრიდა. ჰოვარდენში ყოფნისას, ის ისვენებდა, ერთობოდა და ფიქრობდა სწორედ ხეების ჭრისას. ლონდონში კი გლადსტონს ყოველთვის ელოდა ლამის ქუჩები და, რაც მთავარია, ესოდენ საყვარელი მეძავეები. გლადსტონი მეძავეებთან სიარულს, არც მეტი არც ნაკლები, მისიად აღიქვამდა. დიდი ბრიტანელი პრემიერი მიიჩნევდა, რომ სწორედ მას ეკისრა მეძავეების ხსნის ესოდენ წმინდა მისია. თუმცა რისგან და რა მანქანებით, ეს თქვენი წარმოსახვისთვის მიმინდვია. გლადსტონს მეტად ხიბლავდა მასტურბაცია. სქელტანიან დღიურებში, გლადსტონის მდიდარი ცხოვრების



მრავალ საინტერესო ფაქტთან ერთად, მკითხველი მასტურბირების თითოეული აქტის აღსანიშნავად დღიურში საგანგებოდ დატანილ სიმბოლოსაც გადაწყდება. თან საკმაოდ ხშირად. ეს სიმბოლო შთამომავლობას უილიამ ევარტ გლადსტონმა დაუტოვა, დიდმა ლიბერალმა პრემიერმა, რომელიც მასტურბაციის შემდეგ საკუთარ დღიურებში მცირე შენიშვნას აკეთებდა.

ადოლფ ჰიტლერი (1889-1945), გერმანიის კანცლერი

ადოლფ ჰიტლერი, რომელიც ცნობილია, როგორც სასტიკი გერმანელი დიქტატორი, სინამდვილეში

ავსტრიელი იყო და იმავდროულად ქართველ სოსო ჯულაშვილთან შედარებით ნაკლებად სასტიკიც, თუმცა, ცხადია, მაინც უდავოდ სასტიკი. როგორ უცნაურადაც არ უნდა უღერდეს, გერმანიის მოქალაქეობა ჰიტლერმა მხოლოდ 1932 წელს მიიღო, კანცლერობამდე ერთი წლით ადრე. საპირისპირო მოლოდინის სანინააღმდეგოდ, ჰიტლერს მეტად მშვიდი გრაფიკი ჰქონდა. მას მთელი დილა ეძინა, იღვიძებდა მხოლოდ შუადღისას და დინჯად შეექცეოდა ლანჩს. რა თქმა უნდა, ჰიტლერი ვეგეტარიანელი იყო. მას საკუთარი კინოთეატრიც ჰქონდა, სადაც ის სიამოვნებით უყურებდა უოლტ დისნეის პროდუქციას. დიახ,

ადოლფ ჰიტლერს ძალიან უყვარდა მულტფილმები და არ ჭამდა ხორცს. ჰიტლერის ფავორიტი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ გახლდათ. სხვათა შორის, არსებობს ვარაუდი, რომ სწორედ ჰიტლერს (თავად წარუმატებელ არტისტს) ეკუთვნის ახლახან აღმოჩენილი ჩანახატები დისნეის „ფიფქიდან“. ჰიტლერი საჯაროდ არასდროს იხდიდა ქურთუქს. ის ლიკვიდაციის ოცდაათ მცდელობას გადაურჩა. ამიტომ არასდროს არავის არ ანდობდა სამართებელს და ყოველთვის თავად იპარსავდა წვერს. შესაძლოა ჰიტლერი სწორედ ასე ახერხებდა ეტარებინა მისი ან უკვე სახელგანთქმული, თუმცა სრულიად უშინო უღვაში.

იოსებ სტალინი (1878-1953)

ჩემთვის ეს რთული შემთხვევაა. აქ უცხოელებისთვის რომ ვწერდე, პირველ რიგში იმას აღვნიშნავდი, რომ სტალინი ერთ დროს ერთი პატარა გორელი ბიჭი, შემდგომში კი გულანთებული ქართველი პატრიოტი თინეიჯერი, სოსო ჯულაშვილი იყო. მაგრამ ამას ქართველი მკითხველისთვის ვწერ, რომელმაც კარგად იცის, რომ სტალინი ქართველი იყო და ალბათ ისიც გაუგია, რომ ერთ დროს ეს სამშობლოსა და ადამიანების სიყვარულით განმსჭვალული ყმაწვილი, შემდეგ სამშობლოსა და ადამიანების წინააღმდეგ მომართულ ტირანად იქცა. და მაინც, ბოლო დროს მეტად და მეტად გაურკვეველია, რა ვიცი და რა არა ყველაზე ცნობილი ქართველის შესახებ. მაგალითად, ვიცი თუ არა, რომ სტალინის მმართველობას ოციდან სამოც მილიონამდე ადამიანი შეენირა? და მაინც, საქართველო არის ქვეყანა, სადაც სტალინის ახალ ძეგლებსა თუ ბიუსტებს დგამენ, სადაც მისი ბიუსტი ვიდაცას საკუთარი სახლის გალავანზე უდგას (და თან ჰპარავენ – ღმერთმა კი შეარგოთ!) და სადაც სტალინის ვარდისფრად გადაღებულ ჩვეულებრივ ჰობად ქცეულა. ამიტომ მსურს საინტერესო თუ სასაცილო კატეგორიად, გნებავთ უცნაურობად, განვიხილო არა სტალინი, არამედ სტალინი ჩვენში, თანამედროვე საქართველოში – სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, რომელიც კიდევ ერთხელ გამოკიდებულია სამარცხვინობასა და კომიკურობას შორის.

საპარამურატ ნიაზოვი, „თურქმენიბაში“ (1940-2006), თურქმენეთის პრეზიდენტი

თურქებმა თუ ქემალ მუსტაფა ერის მამად გამოაცხადეს და მას „ათათურქი“ უწოდეს, საპარამურატ ატაიევიჩ ნიაზოვი საკუთარ თავს თავადვე არგუნა „თურქმენბაშის“, ანუ „თურქმენთა წინამძღოლის“, საპატიო ნოდება. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. „თურქმენბაში“ ასევე ეწოდა აშხაბადის აეროპორტს, იანვრის თვესა და, თქვენ წარმოიდგინ-

ეთ, 300-კილოგრამიან მეტეორსაც კი, რომელიც თურქმენეთს დაეცა. სექტემბერს ეწოდა „რუჰნამა“, მისი სასულიერო-მორალური ნაშრომის სათაური, აპრილს კი „გურბანსოლთანი“, ნიაზოვის დედის სახელი. თავად თურქმენეთის დროშის დღე ნიაზოვის დაბადების დღეს აღინიშნება. 1997 წელს ნიაზოვი სიგარეტის მოწვევას დაანება თავი. ამიტომ მოწვევა აიკრძალა საჯარო სივრცეში. შემდეგ ნიაზოვი ძაღლების სუნმა შეანუხა, ამიტომ აშხაბადიდან ყველა ძაღლი გააძევეს. 2001 წელს თურქმენეთში ოპერა, ცირკი და ბალეტიც აიკრძალა, როგორც – თურქმენბაშის აზრით – „ცალსახად არათურქმენული“. დაიხურა ბიბლიოთეკები, რადგან თურქმენბაში თვლიდა, რომ „სამშუალო თურქმენი წიგნებს არ კითხულობს“. 2004 წელს მამაკაცებს აიკრძალათ გაუპარსავად სიარული. თუმცა იმავე წელს სასიხარულო სიახლეც აღინიშნა – თურქმენბაშის ბრძანებით, არც მეტი არც ნაკლები, ყარაყუმის უდაბნოს შუაგულში ყინულის სასახლე ააგეს, რომელშიც პინგვინების ზოობარკი განთავსდა. დიას, ნიაზოვს მეტად უყვარდა საკუთარი ქვეყანა. როგორც თავად ბრძანა: „დაე ყველა თურქმენის ცხოვრება იყოს ისე ლამაზი, როგორც ჩვენი საზამთრო!“


კიმ ჩენ ირი (1941-2011), კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი ლიდერი

კიმ ჩენ ირი ჩრდილოეთ კორეელი დიქტატორი გახლდათ, რომელიც ჩრდილო-კორეული ისტორიული ლიტერატურის თანახმად, წმინდა მთა ბაეკდუზე დაიბადა და ზებუნებრივი ლიდერი იყო. როგორც ჩრდილო-კორეული გამოცემა „როდონგ სინმუნი“ იტყობინებოდა, კიმ ჩენ ირის უნიფორმული სტილი მსოფლიოს მასშტაბით აეტაცებინათ, სხვა მედიასაშუალებები კი სხვადასხვა დროს ირწმუნებოდნენ, რომ კიმ ჩენ ირს სრულიად მსოფლიო აღმერთებს და რომ იგი ერთდროულად არის ჰამბურგერის გამომგონებ-

ლიც და, რალა თქმა უნდა, მსოფლიოს ყველაზე ნიჭიერი გოლფის მოთამაშეც. კიმ ჩენ ირი ფუფუნების მოყვარული კაცი გახლდათ. 1990-იანებში, პენსიონ ოფიციალურად დაადასტურა, რომ დიქტატორი ყოველწლიურად 600 000-850 000 დოლარის ფარგლებში ხარჯავდა კონიაკის შესაძენად. მის საკუთრებაში ასევე იყო 10 000 ბოთლი უძვირფასესი ღვინოები მთელი მსოფლიოდან. ასევე 20 000 ფილმის ჩანაწერი. ზებუნებრივად დიქტატორმა 20-მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა 200 ცალი „mercedes benc S 500“-ის შესაძენად. სამაგიეროდ, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის საზღვარზე მდებარეობს ქალაქი, რომელიც სამხრეთ კორეელებს ჩრდილოეთ კორეის სიძლიერისა და მომხიბვლელობის შესახებ ატყობინებს. რაც მთავარია, ქალაქში დგას ვებერთელა დროშა. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ქალაქი მკვდარია: შენობებს არა აქვთ ფანჯრები, ზოგიერთი შენობა კი მხოლოდ ბეტონის ბლოკია. ეს გახლავთ ნიმუში მშენებლობისა არა ცოცხალი ადამიანებისთვის, არამედ მკვდარი პროპაგანდისთვის.

სილვანო ბერლუსკონი (1936) იტალიის პრემიერ-მინისტრი

ბერლუსკონი მრავალმხრივ ნიჭიერი პრემიერია. თუმცა ის განსაკუთრებულად გამოირჩევა საკუთარი ელექტორატისა და უცხოელი კოლეგების შეურაცხყოფის უნარით. 2006 წელს, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ ყველა, ვინც მას არ მისცემდა ხმას, იყო „სირი“. დამარცხდა. სამაგიეროდ, 2008 წელს ბერლუსკონი ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერებს ახალი შემართებით უწოდებდა „გამოტვივებულს“, ევროპის პარლამენტის გერმანელ სოციალისტ ნევრს, მარტინ შულცს კი უთხრა, რომ ის ბრწყინვალე იქნებოდა ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკის დაცვის როლში. საყოველთაოდაა ცნობილია, რომ ბერლუსკონის უყვარს ქალები. თან იმდენად, რომ ერთხელ მას არასრულწლოვან მაროკოელ გოგოსთან



სექსის გამო ბრალიც წაეყენა. პასუხად პრემიერმა დასძინა: „უმჯობესია გიყვარდეს ლამაზი ქალები, ვიდრე იყო გეი“. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე იტალიის რეკლამირებისასაც, ბერლუსკონიმ აღნიშნა: იტალია კარგია სწორედ იმიტომ, რომ „ჩვენ გვყავს ბევრი ლამაზი მდივანი“ და „ცოტა კომუნისტი“. დიას, ბერლუსკონის გემოვნება მეტად სპეციფიკურია. ერთხელ ის ოპონენტ ქალბატონს, მერსედეს ბრესოს, დაესხა თავს: „იცით რატომ არის ბრესო ყოველთვის ცუდი ხასიათზე? იმიტომ, რომ დილაობით, როდესაც ის იღვიძებს და მაკიაჟს იკეთებს, სარკეში საკუთარ თავს ხედავს. ამის შემდეგ მისი გუნება მთელი დღე წამხდარია“.

**ჯორჯ ვ. ბუში (1946), ამერიკის
შეერთებული შტატების
პრეზიდენტი**

ჯორჯ ვ. ბუში მრავალი უნიკალური გამონათქვამის ავტორი გახლავთ, უნიკალურობის საზომი კი გამონათქვამების აბსურდულობაა. როგორც ამბობენ, ერთ-ერთ კერძო მიღებაზე პრეზიდენტმა ასეთი რამ განაცხადა: „მნამს, რომ ჩემი მეშვეობით ღმერთი საუბრობს. ამის გარეშე ჩემს საქმეს ვერ გადაკეთებდი“. მისი საგმირო საქმეების შესახებ ალბათ, ყველას გსმენიათ. ეს საქმეები მან, არც მეტი და არც ნაკლები, ჯვაროსნულ ლაშქრობებს შუადარა. როგორც ბუშმა თავად აღნიშნა, „ჩემი სამუშაოს ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაწილი ერაყისა და ტერორიზმთან ბრძოლის დაკავშირებაა“.

ამიტომ მსგავსება უდავოდ არსებობს. სიკეთით ესოდენ გამორჩეული ბუში „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე ანგელა მერკელს უკნიდან მიეპარა და მასაჟი გაუკეთა, შემდეგ კი, იმავე სამიტის ფარგლებში, ტონი ბლერთან საუბრისას შეიგინა. ცხადია, პრეზიდენტმა არ იცოდა, რომ მისი საუბარი ინერებოდა. დიდი ამბავი. ყველა ზემორე ლიდერის მსგავსად, ბუშსაც განსაკუთრებულად უყვარდა საკუთარი ხალხი. ამას შესანიშნავად მოწმობს მისი შემდეგი სიტყვები: „ჩვენი მტრები ინოვაციურები და კარგად აღჭურვილი არიან და ასეთნი ვართ ჩვენც. ისინი არასდროს წყვეტენ იმაზე ფიქრს, თუ რა ახალი გზებით ავნონ ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ხალხს და ჩვენც არასდროს არ ვწყვეტთ ამაზე ფიქრს“.

ბლუზი მტკვრის პირას

ავტორი: ბიძინა მაყაშვილი
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

(გაგრძელება; დასაწყისი იხილეთ N 90-93)



1980-იანები

ნაწილი მეორე

მოძრაობა

80-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოში მრავალი ნიშნით დაიწყო ახალი ეპოქა. საბჭოთა კავშირში ცვლილებები განსაკუთრებით თვალსაჩინო, ათწლეულის შუახანებიდან, გორბაჩოვის „პერესტროიკიდან“ გახდა.

პირველ რიგში ეს ახალი დასავლურ-აღმოსავლური ტექნოლოგიური სიახლეების შემოტანით გამოიხატა. ვგულისხმობ ვიდეოტექნიკას და პერსონალურ მაგნიტოფონებს, ე.წ. ვოქმენებს. თუ ვოქმენი პირდაპირ უკავშირდებოდა მუსიკას, ვიდეო მაგნიტოფონის თავდაპირველი დატვირთვა ფილმებზე მოდიოდა. მაშინ ყველაზე პოპულარული იყო 3-საათიანი კასეტები, რომლებზეც მეტ-ნაკლები ნარმატებით ორი ფილმის დატევა შეიძლებოდა. დამოუკიდებლად ფილმების რაოდენობისგან, კასეტებზე ხშირად რჩებოდა ხოლმე თავისუფლი ადგილი, რომელზეც ფილმი არა, მაგრამ ორიოდე მუსიკალური ვიდეოკლიპი ნამდვილად დაეტეოდა.

კასეტები ძირითადად მოსკოვიდან შემოდიოდა. მათ იქ მეკობრული წესით აწარმოებდნენ. არალეგალურად მოპოვებულ საზღვარგარეთულ ფილმებს კუსტარულად ახმოვანებდნენ, ამრავლებდნენ და ყიდდნენ. ცხადია, იწერდნენ იმას, რაც კარგად გაიყიდებოდა, ანუ, რაც უცხო იყო საბჭოთა კავშირში: ეროტიკას, კარატეს და ფილმებს, რომლებსაც საბჭოთა ცენზურა ეხებოდა. ეს უკანასკნელები უფრო იშვიათობას წარმოადგენდა და მათ შორის იყო, მაგალითად, მილოშ ფორმანის „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. ასეთი კომერციული მიდგომის გამო, საკმაოდ ხშირად, კასეტის ბოლოს ბონუსად მიწერილი მუსიკალური მასალა უფრო საინტერესო იყო ხოლმე, ვიდრე ფილმი.

მელომანებს საკუთარი პრიორიტეტები ჰქონდათ. მათ წრეში იმ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო ორი მხატვრული ფილმი – ჯონ ლენდისის Blues Brothers („ძმები ბლუზები“) და ვოლტერ ჰილის Crossroads („გზაჯვარედინი“ – არ აგერიოთ ამავე დასახელების სხვა ფილმში). ცალკე თემა ფილმ-კონცერტები, როგორიცაა, მაგალითად, „ლედ ზეპელინის“ Song Remains The Same („სიმღერა იგივე



0410360040
30240101000

ПОЛ МАККАРТНИ

**СНОВА
В СССР**



УСТРОЙСТВО НА КАСЕТНЫХ
ВИДЕОКАССЕТАХ
ЭЛЕКТРОНИКА ВМ12

1 2 3 4 5 6 7 8
ТВ ПРОГРАММЫ

Нормированная частота 120μsEQ

A/60



რჩება,) და დოკუმენტური ფილმები: „ვუდსტოკი“ ან „25 X 5“ – „როლინგსტონუნის“ 25-წლიანი კარიერის რეტროსპექტივა და სხვა მრავალი. ეს ყველაფერი კლასიკაა, მაგრამ მაშინ ორიგინალები არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი. ამიტომ ერთმანეთისგან ვინერდით და ჩანანერის ხარისხი ყოველი შემდგომი გადაწერის შემდეგ უარესდებოდა, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა?!

სიამაყით ვაცხადებ, რომ მეც გარკვეული ღვაწლი მიმიძღვის თბილისის ვიდეო-მუსიკალური „ნაგვიტ“ გამდიდრებაში. სიამაყის საგანს კი რამდენიმე კასეტა შეადგენს, რომელიც ინგლისელი ამხანაგის მეშვეობით გამიჩნდა. ამ კასეტებზე ჩანერილი იყო BBC-ის და სხვა ბრიტანული ტელემაუწყებლების

აპარატურას ანიჭებდნენ უპირატესობას. ვოქმენი მაინც სათამაშო იყო. ამის მიუხედავად, ახლაც მაქვს სახლში იმდროინდელი ვოქმენი, რომლის პრაქტიკული დანიშნულება დღეს ალბათ ნულის ტოლია.

იმ დროის პირმშოა ერთობ რევოლუციური კომპაქტ-დისკი და ამ დისკების პლეიერი, რომელიც „სონის“ და „ფილიპსის“ ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. კომპაქტდისკმა ბევრ კოლექციონერს უარი ათქმევინა ვინილზე და ისინი შეელივნენ თავიანთ ნალოლიავე კოლექციებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი დღეს ისევ მიუბრუნდა მათ. გარკვეული დროის შემდეგ ვერც მე აღვუდექი კომპაქტებს, მით უმეტეს, რომ ბევრი მუსიკოსი მთლიანად

იქცა ევგენი მაჭავარიანის გადაცემა „ეს ესტრადა“. გადაცემა პირობითად შეიძლება ვუნოდოთ, უფრო მუსიკალური ვიდეოების კრებული იყო ხოლმე, მაგრამ მაშინ დიდ გარღვევას წარმოადგენდა. ძალიან ბევრისთვის ბატონი ჟენიას პროგრამა ერთადერთი წყარო იყო, საკუთარი თვალით ენახა ის, რაც მანამდე მხოლოდ გაგონილი ჰქონდა.

ათნლეულის მინურულს საქართველოს რადიოს მუსიკალური პროგრამებიდან ორი უკვე ისეთი იყო, რომელთა მოსმენა შეიძლებოდა. საღამოს ხუთზე თუ ექვსზე, სამუშაო დღეებში გადიოდა პოპროკზე ორიენტირებული „როკი, სმოკი და ...“, ხოლო კვირაობით, შუალამისას „როკი ნაშუალამევს“, რომელ-

გარკვეული დროის შემდეგ ვერც მე აღვუდექი კომპაქტებს, მით უმეტეს, რომ ბევრი მუსიკოსი მთლიანად გადავიდა ამ ფორმატზე, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ასახულა ბინაში ჩემი ვინილების რაოდენობაზე. ვერ ვუღალატე მათ თუნდაც საოცრად მიმზიდველი ესთეტიკის მატარებელი ყდების არტის გამო: მათსა და კომპაქტების ყდებს შორის ხომ ისეთივე განსხვავებაა, როგორც კინოთეატრისა და სმარტფონის ეკრანებს შორის.

სრულიად ორიგინალური მუსიკალური პროგრამები და სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები.

იმაზე ლაპარაკი ალბათ არ ღირს, რომ თავიდან ვიდეო მაგნიტოფონები ძალიან ძვირი ღირდა და მათზე რამის სანახავად ისევე დავდიოდით ნაცნობებთან, როგორც ჩვენი წინაპრები – პირველ ტელეჩვენებებზე. ვოქმენები ასე ძვირი არ ღირდა, მაგრამ მათთან დაკავშირებით ერთი სერიოზული პრობლემა არსებობდა. საბჭოთა კავშირში დეფიციტს წარმოადგენდა ნეკა თითის სისქის, AA ზომის ბატარეები, რომლითაც ვოქმენები მუშაობდნენ. მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა დასამუხტი აკუმულატორების გამოჩენამ, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა. მეორე მხრივ, ეს ვოქმენები მელომანების წრეში დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. მელომანები უფრო მაღალი აკუსტიკური თვისებების მქონე, მძიმე, სტაბილურ

გადავიდა ამ ფორმატზე, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ასახულა ბინაში ჩემი ვინილების რაოდენობაზე. ვერ ვუღალატე მათ თუნდაც საოცრად მიმზიდველი ესთეტიკის მატარებელი ყდების არტის გამო: მათსა და კომპაქტების ყდებს შორის ხომ ისეთივე განსხვავებაა, როგორც კინოთეატრისა და სმარტფონის ეკრანებს შორის. ვერ ვუღალატე თუნდაც იმისთვის, რომ ადამიანებისთვის ბერდებოდნენ და მით უფრო ადრე ლაფავდნენ სულს, რაც უფრო ცუდ პირობებში ამყოფებდი. და, რა თქმა უნდა, ვერ ვუღალატე, რადგან ისინი იმ დროის სიმბოლოს წარმოადგენენ, როცა ახალგაზრდობას სჯეროდა, რომ როკმუსიკოსებს სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა შეეძლო.

ამასობაში ჩვენთანაც დაიწყო პატარა რევოლუციები. ტელევიზიის პირველ არხზე აუცილებელ სანახავად

შიც აქცენტი ქართულ როკზე კეთდებოდა. ორივე გადაცემის წამყვანი დარეჯან გულიაშვილი იყო, რომელსაც პერიოდულად სხვადასხვა თანანამყვანი ჰყავდა ხოლმე: სერგი გვარჯალაძე, გოგი ჭილაშვილი, ედიშერ აბულაძე. პირველი გადაცემა ინფორმაციულადაც უფრო მსუბუქი იყო: ძირითადად სიმღერები და არაფრისმთქმელი ცნობები. მეორე გადაცემას კი უფრო სერიოზულობის პრეტენზია ჰქონდა – ყოველთვის რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ან შემსრულებლის შემოქმედებას ეძღვნებოდა. ქართველ შემსრულებლებს სტუდიაში ესაუბრებოდნენ. მაშინ ეს დიდი სიახლე იყო.

ცვლილებები პრესასაც დაეცყო. ამ მხრივ საქართველოში ყველაზე მეტად აქტიურობდა რუსულენოვანი კომკავშირული Молодежь Грузии. იქ ხშირად იბეჭდებოდა წერილები დასავლეთის როკმუსიკოსებზე; ძირითადად თარგმ-

ნილი მასალები. ქართულენოვან სივრცეში უიშვიათესი გამონათებები ჰქონდა „ახალგაზრდა კომუნისტს“.

საკავშირო პრესა კიდევ უფრო წინ იყო წასული. ყოველდღიური გაზეთებიდან **Комсомольская Правда** გამოირჩეოდა, ყოველკვირეულებიდან – **Неделя**. იმ პერიოდის უდავო ჰიტი კი ყურნალი **Ровесник** იყო. ბევრი ვერაფერი, მაგრამ სულ არაფერს ჯობდა.

1984 წელს მეგობარმა წამყვანი ინგლისური ყოველკვირეული მუსიკალური გაზეთი **Melody Maker** ჩამომიტანა. ლეგენდარულმა ყოველკვირეულმა, რომლის ნახვაც ოცნებად მქონდა გადაქცეული, იმედები სასტიკად გამოცრუა. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ის არ აღმოჩნდა ისეთი, როგორც წარმომედგინა და იყო ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო. მე მოველოდი, რომ იქ დამხვდებოდა მასალები როკის სუპერვარსკვლავებზე. რა თქმა უნდა, ეს სრული სიგიჟე იქნებოდა. ეს რომ ყოფილიყო აღმანახი, კიდევ ჰო. მაგრამ გაზეთისთვის ეს აბსოლუტურად გაუმართლებელი იქნებოდა. თუმცა მაშინ ასე არ ვფიქრობდი და ძალიან გულგატეხილი დავრჩი, როცა გაზეთში გამუქებული შემსრულებლების 90 პროცენტი ჩემთვის უცნობი იყო. ბუნებრივია, რომ გაზეთი წერდა იმაზე, რაც მაშინ ხდებოდა და რაც აქტუალური იყო და არა როკის უკვე გადაშენებულ დინოზავრებზე.

იმ ხანებში ყველა ფურცელს, რომელსაც როკთან ჰქონდა შეხება, ვინახავდი, ის გაზეთი კი ერთ გოგოს ვაჩუქე. თანაც ვაჩუქე არა იმიტომ, რომ მუსიკა უყვარდა; უბრალოდ ინგლისური იცოდა. ეს ამბავი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სიტუაციის გამოსწორების მიუხედავად, ინფორმაციულად მაინც ძალიან ჩამორჩებოდა დასავლეთს. შემსრულებლების სახელები, რომლებზეც გაზეთი წერდა, ჩვენ თითქმის არაფერს გვეუბნებოდა, მათზე არაფერი ვიცოდით, ამიტომ გვეგონა, რომ ისინი მეორეხარისხიანი „პოპსა“ ჯგუფები იყვნენ. მაგრამ ნელ-ნელა ისინი ჩვენთვისაც შინაურული გახდნენ. მოკლედ, ერთი სამიოდე წელი დამჭირდა იმის გასაგებად, რომ ის გაზეთი არ უნდა მომეცილებინა თავიდან.

იმავე პერიოდში გამოჩნდა პირველი ნიგნები როკის შესახებ. კომიკურია, მაგრამ მათი უმეტესობა იმ ენებზე იყო, რომლებზეც ვერ ვკითხულობდი. საქმე იმაშია, რომ ზემელზე, მელიქ კაზარიანცის შენობაში, კულტურის სამინისტროს გვერდით, სოციალისტური ქვეყნების წიგნის მაღაზია იყო. მხოლოდ რამდენიმე ფოტოსა და სიმღერების ინგლისურენოვანი ტექსტების გამო, სწორედ იქ ვყიდულობდი გერმანულ ნიგნებს ქანთრის, ბლუზის, „როლინგსტონების“ შესახებ. მაგრამ გერმანულს ვინ ჩივის, როცა ბობ დილანის ბიოგრაფია და როკენციკლოპედია ისეთ თავისებურ ენაზე მქონდა, როგორც უნგრულია. იყო კიდევ მსგავსი სისულელები, მაგრამ ჩემი სიამაყის საგანს ორი ინგლისური წიგნი წარმოადგენდა: რეი კონოლის „ლენონი“, რომელიც მკვლევობიდან 3 თვის შემდეგ გამოვიდა და ჰანტერ დევისის „ბიტლზის“ ერთადერთი ავტორიზებული ბიოგრაფია. მართალი გითხრათ, ამ უკანასკნელისგან მეტს მოველოდი. ის უფრო მოგვიანებით დაეფასა, როცა ამ თემაზე უამრავ მაკულატურას გავეცანი. 2011 წლიდან კი ეს წიგნი უკვე ქართულადაც გვაქვს.

ქართული როკის მეორე თაობის მემკვიდრეობით სასიამოვნოდ შეიცვალა ოფიციალური სცენა. ამ სცენას რამდენიმე ძალიან მაღალი რანგის სტუმარიც ჰყავდა. თუ შოტლანდიურ როკჯგუფს „ნაზარეთს“ და იან გილანის ჯგუფს 1990 წელს სპორტის სასახლე აკმარეს, ამერიკელი ჯაზის ვარსკვლავები ერთი წლით ადრე ფილარმონიაში მიიღეს, ხოლო ამერიკელ ელტონ ჯონად მონათლულ ბილი ჯოელს 1987 წელს თვით ოპერის სცენა დაუთმეს. თბილისის 1989 წლის ჯაზფესტივალს თავისი გამორჩეულობის გამო ამ ტექსტში კიდევ შევხვდებით, ამიტომ აქ აღარ შევხვებით. უბრალოდ შეგახსენებთ, რომ სამი წლით ადრე გაიმართა ერთგვარი რეპეტიცია, როცა იმავე სცენამ რამდენიმე დღის განმავლობაში საბჭოთა ჯაზმეწებთან ერთად, სოციალისტური ქვეყნების მუსიკოსებს უმასპინძლა. შედარებით შეუმჩნეველად ჩაიარა „კინგ ქრისტონის“ ყოფილი პიანისტის კეიტ ტიპეტის და მისი მეუღლის ჯული

დრისკოლის კონცერტმა მარჯანიშვილის თეატრში. არადა ისინი აშკარად მეტ ყურადღებას იმსახურებდნენ.

ბოლოსთვის შემოვიწახე თანამედროვე მუსიკის უმნიშვნელოვანესი ფიგურა. ბობ დილანი თბილისში კი ჩამოვიდა, მაგრამ კონცერტი არ გაუმართავს. ის ამერიკელი მწერლების დელეგაციას ჩამოჰყვა, რომელთა შორის იყო ალენ გინზბერგი – ზემონახსენები ლენონის სიმღერის კიდევ ერთი გმირი. ხოლო იმ მცირერიცხოვან მელომანებსა და მუსიკოსებს შორის, რომლებმაც დილანის ნახვა მოახერხეს, იყო ქართული როკის მეორე თაობის გამორჩეული წარმომადგენელი ქიშო გლუნჩაძე. შეიძლება ვაჭარბებ, მაგრამ მგონია, რომ თუკი საქართველოში რომელიმე მუსიკოსი შეიძლება შევადაროთ დილანს, პირველ რიგში ეს ქიშოა. მასთან ერთად იმ ხანებში საქართველოში წამოიზარდა ბევრად უფრო თვითმყოფადი თაობა: ლადო ბურდული და მისი ჯგუფი „რეცეპტი“, დადა დადიანის „ტაქსი“, რობი კუხიანიძის „აუტსაიდერი“ და ირაკლი ჩარკვიანი, თუმცა რობიმ და და ირაკლიმ თავი მოგვიანებით გამოიჩინეს.

წინა თაობისგან განსხვავებით, მათ უფრო მომზადებულ, „ცივილიზებულ“ საზოგადოებასთან მოუხდათ დაპირისპირება. შესაბამისად დაიხვეწა კონფორტაციის მეთოდები. შეიცვალა გმირის იმიჯი. წინა პლანზე წამოიწია ბენდენამ, გადაპარსულმა თავმა, საყურემ, ჯაჭვებმა, ტყავებმა, მეტალის ნაკეთობამ. ბრძოლა უფრო გამძაფრდა. ახალგაზრდებს მილიციასთან ერთად თანატოლებიც ებრძოდნენ. იმის გამო, რომ გარეუბანში მცხოვრები ბიჭი საყურის ტარებისთვის საკუთარ უბანში სცემეს, ის საყურეს ლეიკოპლასტიკით იფარავდა, რომელსაც მხოლოდ ქალაქის ცენტრში იხსნიდა. ეს პატარა ისტორია საკმაოდ კარგად ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებას ალტერნატიული აზროვნებისადმი. ასეთი დამოკიდებულება ბევრი მუსიკოსისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ქიშო, რომელიც მთელი თავისი არსით ექსპერიმენტატორი იყო, თავისი კინოგმირის მსგავსად (მთავარი როლი ალექო ცაბაძის ფილმში „ლაქა“) არსებული რეალობის, სოციალური მსხვერ-

პლი გახდა და ამერიკას შეაფარა თავი. საქართველოდან ინგლისში გადაბარგდა დადაც. მისი სხვადასხვა პროექტებიდან, საზოგადოება ყველაზე მეტად გააღიზიანა პანკჯგუფმა „ტაქსი“ სოციალურად აქტიური ტექსტებით.

ცხოვრების სტილის გამო, ქართველი როკმუსიკოსებიდან ყველაზე მეტი ალბათ ლადო ბურდულს „მოხვდა“. ემოციური ბიჭისთვის ნებისმიერი პირობითობა მიუღებელი იყო. დაწყებული პირველი ურთიერთობიდან როკულტურასთან (მამიდამისის ქორნილიდან „ბიტლზის“ ალბომი *Abby Road* მოიპარა) ლადოს არასდროს უღალატია ალტერნატივისთვის. იყო დრო, როცა ქუჩაში მისი ნებისმიერი გასვლა, გამომწვევი ჩაცმულობის გამო, ინციდენტით მთავრდებოდა. შესრულების

ბა. ეროვნული ალტკინება, ცხოვრების ყველა სფეროში ნებისმიერ არატრადიციულ ფორმას ეწინააღმდეგებოდა.

ამის მიუხედავად, მშვენივრად მახსოვს „ბლუზ მობილის“ და „ტაქსის“ შთამბეჭდავი გამოსვლები უნივერსიტეტში 1988 წელს. ასევე შემდეგ გაზაფხულზე ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გამართული კონცერტი- აქცია – „როკი ტერორის წინააღმდეგ“, რომელშიც მონაწილეობდნენ „რეცეპტი“, „ტაქსი“, „ქიშო და ინტელიგენცია“ და „კომენდანტის საათი“ და იმავე წელს ტექნიკურ ბიბლიოთეკაში ჩატარებული როკფესტივალი, „როკ-ნევეროზი“ და კიდევ ორიოდე აქცია.

რაც შეეხება ჩანანერებს – ის, რასაც ადრე შოვნა სჭირდებოდა, ნელ-ნელა

მაინც მეორეხარისხოვან ნივთად დარჩა. ვიყიდე კი ერთი კასეტის გამო, რომელზეც მოგვიანებით მოგიყვებით.

საბჭოთა ხმის ჩამწერმა მონოპოლისტმა „მელოდიამ“ დაიწყო დასავლელი შემსრულებლების ლიცენზირებული ჩანანერების გამოშვება. ჯერ კლასიკა იყო. მერე ჯაზის დროც დადგა. ნამდვილ როკამდე კი პოპი შემოგვაპარეს. დღეს, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია ჩვენი ალტაცება ისეთი შემსრულებლების დისკების გამოჩენაზე „მელოდიის“ მალაზიის დახლებზე, როგორცაა, ვთქვათ, გლორია გეინორი, „ტიჩ ინი“, „აბბა“ და ა.შ. მაგრამ მათ გარეშე არ შეიძლებოდა. ეს აუცილებელი ეტაპი იყო. ამის შემდეგ როკი გარდაუვალი იყო.

თუ არ ვცდები, ერთ-ერთი პირ-

გამეღზე, მელიქ კაზარიანცის შენობაში, კულტურის სამინისტროს გვერდით, სოციალისტური ძველების ნიბნის მაღაზია იყო. მხოლოდ რამდენიმე ფოტოსა და სიმღერების ინგლისურენოვანი ტექსტების გამო, სწორედ იმ ვყიდულობდით გერმანულ ნიბნებს ქანთრის, ბლუზის, „როლინგსტონზის“ შესახებ. მაგრამ გერმანულს ვინ ჩივის, როცა ბობ დილანის ბიოგრაფია და როკენსიკლოპედია ისეთ თავისებურ ენაზე მქონდა, როგორიც უნგრულია.


ექსპრესიული მანერისა და ყველასათვის გასაგები, ტკივილით გაჯერებული, ქართულენოვანი ტექსტების გამო ბევრმა ფაშისტად მონათლა. კონცერტების შემდეგ ბევრს უჩნდებოდა მისი ცემის სურვილი. ინყებოდა გარჩევები. ერთხელ ვილაც „ძველი ბიჭი“ მიადგა და უთხრა, გოგოსთან ერთად ვარ და რეებს მღერობარო. ქუჩაში ხალხი იმით ცნობდა, უღარუნით რომ დადიოდა: საყურეები, „ბულაკები“, რკინები, გატეხილი საათები. რამდენჯერმე დაიჭირეს, მაგრამ მალევე უშვებდნენ. ერთხელ სერიოზულად დაიჭირეს, შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ ვილაცამ იცნო – ეს ის არ არის, სულ ასე რომ დადისო და გამოუშვეს.

ამ თაობის მუსიკოსების მოღვაწეობას საბჭოთა იდეოლოგიასთან ერთად წინ აღუდგა 80-იანი წლების ბოლოს გამძაფრებული ეროვნული მოძრაო-

ხელმისაწვდომი გახდა. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გაჩნდა ხმის ჩამწერი პუნქტები, სადაც პრაქტიკულად თითქმის ნებისმიერ ჩანანერს გაგიკეთებდნენ კასეტაზე. ეს კი იმის გამო გახდა შესაძლებელი, რომ საბჭოთა კავშირში დაიწყეს კასეტებისა და კომპაქტური მაგნიტოფონების გაყიდვა. კასეტების ფასი არაადეკვატური იყო, ხოლო მაგნიტოფონები ძალიან ძვირი ღირდა. საქმე ისაა, რომ იაპონური რადიოაპარატურა მხოლოდ სპეციალურ მაღაზიებში იყიდებოდა ე. წ. „ჩეკებზე“, არა იმ ფულზე, რომლითაც ანაზღაურება ხდებოდა საბჭოთა კავშირში და, ბუნებრივია, სპეკულაციის საგანი ხდებოდა. და მაინც, ეს დიდი მუსიკალური გარდატეხის ეპოქა იყო. ახალგაზრდობა ძალიან მიუახლოვდა დასავლეთს.

მიუხედავად იმისა, რომ მაგნიტოფონი მეც იმ წლებში ვიყიდე, ის ჩემთვის

ველი, ელტონ ჯონის ალბომი *Single Man* გამოუშვეს. ელტონ ჯონი პოპულარული მუსიკის პირველი ვარსკვლავი იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირში კონცერტი გამართა 1978 წელს. იმავე წელს ჩანერილი ალბომი, ჩვენთან ერთი წლის დაგვიანებით გამოსცეს, თანაც, რატომღაც ორიგინალთან შედარებით, ორი სიმღერა აკლდა. მერე დისკების ასე გამოშვება წესად გაიხადეს. მაკარტნის დღემდე საუკეთესო ალბომს *Band On The Run*-ს იგივე ბედი ეწია. მაგრამ ამას ვინ დაგიდევდა?! დისკები, რომლებიც ხელზე საბჭოთა ადამიანის საშუალო ხელფასის ნახევარზე მეტი ღირდა, ახლა სამ მანეთად შეგეძლო შეგეძინა. ამიტომ თავიდან ყველაფერს ვყიდულობდით. გვერდებოდა დისკი მაღაზიის თაროსთვის და იმის მიუხედავად, გჭირდებოდა თუ არა, სახლში მიგვქონდა.



აქ გაჭირვებაგამოვლილი ხალხის კლასიკური მოდელი მუშაობდა. ლენინდასავით ყვებოდნენ ერთ კაცზე, რომელმაც ბავშვობაში, მეორე მსოფლიო ომის დროს, შიმშილობა გამოიარა. თურმე უკვე ასაკში შესული იყო, როცა, 60-იან წლებში, ოჯახის წევრებმა მის სანოლში, ბალიშის ქვეშ გადანახული, უკვე გამხმარი პურის ნაჭრები იპოვეს. ჩვენც ასე ვიყავით. ისეთი მკაცრი კულტურული დიეტა გამოგვატარეს კომუნისტებმა, რომ როცა „საჭმელი“ ხელმისაწვდომი გახდა, იმაზე დიდი ლუკმებით დავიწყეთ ჭამა, რისი გადაყლაპვაც შეგვეძლო.

ეს მარტო დისკებს არ ეხებოდა. ეს ეხებოდა პოპულარულ მუსიკასთან დაკავშირებულ ინფორმაციის ნების-

მაც“ მიაღწია. „პერესტროიკამ“ საბჭოთა მელომანების გარდა, კიდევ უამრავი ადამიანის გული მოიგო. მათ შორის იყო პოლ მაკარტნი. მან ჩაწერა კლასიკური როკ-ენ-როლები და ეს დისკი გამოუშვა საბჭოთა კავშირში. თავი კი დაახლოებით ასე „გამართლა“: „ამ დისკით მივესალმები გორბაჩოვის პერესტროიკას და მეგობრულ ხელს ვუწვდი მას. საბჭოთა ხალხი ჩვენ მუსიკას ყოველთვის ყველაზე გვიან ღებულობდა. ამ დისკით კი მდგომარეობა გამოსწორდება – საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველი მიიღებს ახალ დისკს“. ამ უბრალო იდეიდანაც კარგად ჩანს მაკარტნის არაორდინარული პიროვნება, რომლის ნოვატორული ნიჭი მარტო მუსიკით არ იფარგლებოდა.

ყველაფერი უკულმა დატოვალდა. თუ ადრე დასავლეთიდან შემოჭრიდათ დისკები საბჭოთა კავშირში სასაქუელიანტოდ, ახლა პირიქით მოხდა.

მოგვიანებით, ყველაფერმა ამან ჩემთვის სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. დისკთან დაკავშირებული ისტორია იმის მაუწყებელი გახდა, რომ მსოფლიოში ძალიან დიდი ცვლილებები იწყებოდა. ჩემთვის აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირი და სოციალიზმი. მსოფლიოში ფასეულობათა მნიშვნელოვანმა გადაფასებამ ჩემს ინტერესებზეც მოახდინა სერიოზული გავლენა.

ამ დისკის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ ერთი თვე გავატარე ინგლისში. ცხადია, ჩემს გეგმებში, სხვა რამეებთან ერთად, დიდი ადგილი ეჭირა ჩემი

ბრძოლა უფრო გამძაფრდა. ახალგაზრდებს მილიციასთან ერთად თანატოლებიც ებრძოდნენ. იმის გამო, რომ გარეუბანში მცხოვრები ბიჭი საყურის ტარებისთვის საკუთარ უბანში სცემეს, ის საყურეს ლეიკოპლასტირით იფარავდა, რომელსაც მხოლოდ ქალაქის ცენტრში იხსნიდა. ეს კატარა ისტორია საკმაოდ კარგად ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებას ალტერნატიული აზროვნებისადმი. ასეთი დამოკიდებულება ბევრი მუსიკოსისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მიერ მატარებელს. მაგალითად, ჩაგვივარდებოდა ხელში უცხოური ჟურნალი, ან სულაც ჟურნალიდან ამოხეული სტატია და ვაკეთებდით მის ქსეროსალებს. და ასე ივსებოდა ჩვენი ოთახები ფურცლებით, რომელიც შეიძლება აღარასოდეს ნაგეკითხა და დისკებით, რომლებსაც ალბათ აღარასოდეს მოუსმენდი.

ყველა ეს დისკი როკის კლასიკა იყო. საბჭოთა კავშირში მათ უშვებდნენ დაახლოებით 10-წლიანი და ზოგჯერ უფრო მეტი დაგვიანებით. ამიტომ ისინი მელომანებისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა და კარგად ნაცნობი ჩანაწერები იყო. ცხადია, არსებობდა იშვიათი გამოჩაკლისებიც, ძირითადად სოციალისტური ქვეყნებიდან შემოტანილი ლიცენზირებული ჩანაწერები, რომლებიც საბჭოურზე ძვირი ღირდა.

დროში ეს ჩამორჩენა ნელ-ნელა მცირდებოდა, პიკს კი 1988 წელს მიაღწია. პიკს ამავე პერიოდში „პერესტროიკა-

მართლაც ასე მოხდა: თბილისში, მაღალი „მელოდიაში“ შეგეძლო 3-მანეთად გეყიდა მაკარტნის ახალი დისკი ЧОВА В СССР, რომელიც საბჭოთა კავშირის გარდა, სხვაგან არსად არ იყიდებოდა.

მაგრამ ძალიან მალე ეს დისკი საზღვარგარეთის მაღაზიებშიც გაჩნდა და ბევრად უფრო ძვირად, ვიდრე 3 მანეთია. ეს საბჭოთა მოქალაქეების მეშვეობით მოხდა. გამომდინარე იქიდან, რომ დისკზე მაღალი მოთხოვნა იყო საზღვარგარეთ, იმ პერიოდში უცხოეთში მოხვედრილმა საბჭოელებმა ის სპეკულაციის საგნად აქციეს. ამ დისკში გადახდილი ყველაზე მაღალი თანხა, რაც მე გამოვიცა, 250 ფუნტი სტერლინგია. ეს მაშინდელი კურსით 700 ლარია!

ამ ფაქტმა მაკარტნი ძალიან გააბრაზა – მისი საჩუქრით საბჭოთა ხალხი სპეკულიანტობდა! მას კი სულ სხვა, კეთილშობილური მიზნები ჰქონდა.

მელომანური მოთხოვნილებების გარკვეული დოზით დაკმაყოფილებასაც აქედან გამომდინარე, ჩემს ბარგში, აუცილებელ ნივთებთან ერთად შედიოდა საბჭოთა კავშირში გამოცემული დისკები. პირველ რიგში ეს იყო მაკარტნის ზემოხსენებული დისკის რამდენიმე ეგზემპლარი. „ბიტლზის“ საბჭოთა კრებული A Taste Of Honey და რამდენიმე დისკი სერიიდან „როკ-არქივი“. ეს „მელოდიას“ მიერ შედგენილი კლასიკური როკის შემსრულებლების კრებულების საინტერესო სერია იყო: ადრეული Doors, The Rolling Stones, ელტონ ჯონი, დევიდ ბოვი და სტივი ვანდერი; Deep Purple, Led Zeppelin, Creedence Clearwater Revival და ელვის პრესლი შემოქმედების პიკზე.

ცხოვრობდი ლონდონთან ახლოს, რედინგში. მატარებლით ნახევარ საათში ლონდონის ცენტრში იყავი, ამიტომ თითქმის ყოველდღე დავდიოდი იქ. ამას ხაზს ერთი მიზეზის გამო ვუსვამ:

მუსიკალური ბაზარი ლონდონსა და ინგლისის დანარჩენ ქალაქებს შორის მასშტაბებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. თუ ჩემი ჩატანილი დისკები, რედინგის მუსიკალურ წრეებში დიდ ინტერესს იწვევდა, ლონდონში ისინი მეგასტორების იმპორტის განყოფილების თაროებზე იყიდებოდა.

იმ პერიოდში დისკების საშუალო ფასი 5-6 ფუნტი სტერლინგი იყო. ლონდონის ცენტრში, ოქსფორდ სტრიტზე, ალბათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მილიარდერის (არა მარტო სიმდიდრის, არამედ უფრო ცხოვრების წესის გამო) რიჩარდ ბრენსონის Virgin-ის მეგასტორში საბჭოთა კავშირში გამოცემული Led Zeppelin-ის უფერული (გაფორმებას ვგულისხმობ) დისკი კი 25 ფუნტი სტერლინგი ღირდა.

დისკების გაყიდვა ჩემი ღირსებისთვის შეუფერებელ საქციელად ჩათვალა. სამაგიეროდ, მათ წარმატებით ვცვლიდი ჩემთვის საინტერესო ჩანანერებზე. ეს ხდებოდა რედინგის რამდენიმე მაღაზიაში.

ყველაზე კარგი ურთიერთობა Listen!-ში დავამყარე. ჩემი ყოველი გამოჩენა იქ პატარა მუსიკალური კლუბის გაჩენას ნიშნავდა. როგორც კი მივიღო დი და საბჭოთა დისკებს ამოვიღებდი, მაღაზიის თანამშრომელი ჯონი მოუხმობდა ხოლმე ბიჭებს, რომლებიც იქვე, თაროებთან იქექებოდნენ მთელი დღე და იწყებოდა გარჩევა. ჩემი დისკებიდან მათ ყველაზე დიდ ინტერესს The Rolling Stones იწვევდა, განსაკუთრებით, ადრეული ჩანანერები.

ჯონმა ისეთი მშვენიერი გარიგება შემომთავაზა, რომ ორივე კმაყოფილები ვიყავით. ჩემი ნებისმიერი დისკის სანაცვლოდ შემეძლო ამელო ნებისმიერი დისკი მაღაზიის თაროებიდან, მიუხედავად მისი ღირებულებისა. მაგალითად, ერთხელ საბჭოთა მაკარტნის ნაცვლად, მაკარტნის 3-დისკიანი საკონცერტო ავთენტიკური ალბომი, Wings Over America მივიღე. მაგრამ, იმავე დროს, ყოველგვარი მორიდების გარეშე, ჯონი ჩემს დისკებს ჩემ თვალწინ დებდა მაღაზიის თაროზე და

ანერდა გასაყიდ თანხას – 15 ფუნტი სტერლინგი.

ამ „ალბ-მიცემობის“ შედეგად ჩემი კოლექცია მნიშვნელოვნად გაგამდიდრე. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია გაკვეთილი, რომელიც იქ მივიღე: რეალურად დავინახე განსხვავება ჩანანერების კოლექციონერსა და მუსიკის მოყვარულს შორის. რედინგის ყველაზე უბადრუკ მუსიკალურ მაღაზიაში იმდენ რამეს იშოვიდი, რომ საბჭოთა საქართველოში პირველი კოლექციონერი გახდებოდი. ის, რასაც მთელი ცხოვრება საგულდაგულოდ აგროვებდი, არაფერი არ აღმოჩნდა. რარიტეტებად იქ სრულიად სხვა დისკები ითვლებოდა.

სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ჩემთვის ამ სფეროში ღირებულებების გადაფასება. ამის შემდეგ, ძალიან მალე მუსიკამ ჩემს ცხოვრებაში ერთგვარად დანიშნულება შეიცვალა: ის ჩემთვის ჰობიდან საქმედ გადაიქცა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ნიგინსი სახლი
 BOOK & COFFEE HOUSE განხორციელება

თანამედროვე ქართული და უცხოური გამოცემები


სამოგადოებრივი სივრცე სალონური შეხვედრებისა და საღამოებისთვის

ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

კაფე

Wi-Fi

ბახტრიონის 11^ბ, ტელ: 2 33 28 18
 bookandcafe@gmail.com





ქრონიკული
გიგლიონი

სეკრეტფორმული



SOBRANIE
LONDON

სოპრანი
სოპრანი
სოპრანი



*ტექნოლოგია, რომელიც ხელს უწყობს თაბაკოს
ჯვარლის სუნის ინტენსივობის შემცირებას

SOBRANIE BEYOND COMPARE
სოპრანიებიდან ყოველგვარი

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

2

1999 წლის 31 დეკემბერი ბოლო წუთებს ითვლიდა. მთელ მსოფლიოში უამრავი ხალხი შიშით შესქცეოდა და საათს. აპოკალიფსს ელოდნენ. ეს იმიტომ, რომ მანამდე, თვეების განმავლობაში, მედია „2000 წლის პრობლემაზე“ ლაპარაკობდა. ამბობდნენ, როდესაც წლის აღმნიშვნელ 99-ს კომპიუტერებში 00 შეცვლის, ყველა პროცესორი აირევა, თვითმფრინავები ციდან ჩამოცვივდება, უოლ სტრიტზე ფაილები წაიშლება და სამყარო, როგორცაც ვიცნობთ, აღარ იარსებებს.

საქართველოში ამის ნაკლებად გვემინოდა – იმიტომ არა, რომ სისულელეების არ გვეჯერა (ჰა-ჰა!), არამედ უფრო იმიტომ, რომ აპოკალიფსი საქართველოში მანამდე უკვე მოხდა. რამდენჯერმე. ერთით მეტი მაინცდამაინც არაფერს შეცვლიდა.

2000 წელი მშვიდობიანად დადგა. ზოგმა კომპიუტერმა სადღაც ალბათ აურია კიდევ. ჩვენ მაგისი არაფერი გაგვიგია. აქ ტელევიზორში ჯერ კიდევ მეცხრე ბლოკზე ლაპარაკობდნენ (უნლოვანთათვის: მეცხრე ბლოკი ეგეთი ტიპი იყო... რა იყო, ზუსტად არ ვიცოდით, მაგრამ შუქი რომ მიდიოდა, მაგას ბრალდებოდა ხოლმე – ვერ არი კარგი ბლოკიო. სინამდვილეში დენი იმიტომ არ იყო, რომ ელექტროენერგიას იპარავდნენ და საზღვარგარეთ ყიდდნენ). მოკლედ, ჩვენი გაგვიჭირვებოდა.

კალენდარი ჯერ 2000-ს აჩვენებდა, მერე 2001-ს, მერე 2002-ს, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ კარგა ხანს ოთხმოცდაათიანები იდგა. აი, ისე, წყალი რომ დგას წლობით და მერე მყაყდება და ყროლდება.

XXI

2000 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში მთავარი საჩხუბარი თემა კალენდარი იყო. ხალხის ნაწილი ამტკიცებდა, 21-ე საუკუნე უკვე დადგაო. მეორე, უკეთ ინფორმირებული ნაწილი კი ამბობდა, არაო, ეგ 2001 წლის 1 იანვარს მოხდებაო. როგორც წესი, ხალხიანად

ინყებოდა ხოლმე კამათი და ნახევარ საათში გინებასა და ღრიალში გადაიზრდებოდა. მაშინ „ვიკიპედია“ არ არსებობდა და „გუგლის“ შესახებაც ცოტას თუ სმენოდა, ამიტომ კამათში ის იმარჯვებდა, ვინც უფრო ხმამაღლა იყვირებდა. მას შემდეგ, ცხადია, დიდი დრო გავიდა და ახლა ქართველები სიმართლეზე უკვე საღი მსჯელობით და ერთმანეთის აზრის გათვალისწინებით ვთანხმდებით (ჰა-ჰა!).

ახლა უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ 21-ე საუკუნე მართლაც 2001 წელს დადგა, ოღონდ პირველ იანვარს – არა. მისი დადგომის შესახებ კი სანტა-კლაუსის ნაცვლად ცხრამეტმა ტვინგამორეცხილმა და ტვინნალრძობმა გვამცნო.

ნამდვილი ახალი საუკუნე თვითმფრინავების ცხრამეტივე გამტაცებლის და, მათთან ერთად, ათასობით ადამიანის სიკვდილთან ერთად მოვიდა.

11.09.2001

სამსახური ექვსზე მიმთავრდებოდა, მაგრამ იმ დღეს გასაკეთებელი ბევრი არაფერი იყო. ამიტომ, ადრე გამოძრომა გადავწყვიტე. საინტერესო საღამო მელოდა. მეგობრებს უნდა შევხვედროდი. ჯერ ცოტას დავლევდით (არაყი „ტრიუმფი“, მგონი, ჯერ კიდევ არსებობდა), მერე კინოში წავიდოდით (თუ სწორად მახსოვს, „ამერიკული ნამცხვარი 2“ გადიოდა), მერე კიდევ დავლევდით. ამაზე საინტერესო, აბა, რა უნდა ყოფილიყო?

მინდოდა, ისე გამოვსულიყავი, რომ სხვების ყურადღება არ მიმექცია (მაინც ნახევარი საათი იყო სამსახურის ოფიციალურ დასრულებამდე), მაგრამ, შევატყვე, არ გამომივიდოდა. ოფისის შემოსასვლელში, რომელიც, როგორც წესი, ცარიელი იყო, ხუთიოდე თანამშრომელი იჯდა. იქვე, ლიფტთან ჩამოკიდებულ ტელევიზორს უყურებდნენ. მხოლოდ ერთი ქალი იდგა ფეხზე – ჩვენი რაღაცნაირი უფროსი – ქერა ხუჭუჭთმიანი ამერიკელი. სახე-

ზე ხელები ჰქონდა აფარებული და პირლია მისჩერებოდა ტელევიზორს. ეკრანზე ცათამბჯენს აჩვენებდნენ, რომელსაც შავი კვამლი ასდიოდა. მეორე ცათამბჯენს თვითმფრინავი უახლოვდებოდა.

მაინცდამაინც ყურადღება არ მიმიქცევია. წინ კარგი საღამო მელოდა და ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე, ის, რაც ეკრანზე ხდებოდა. დიდი ამბავი, თუ რაღაც უცნაური ავიაკატასტროფა მოხდა ამერიკაში.

უჩუმრად გასვლა როცა არ გამოგდის, ისე მაინც არ უნდა მოიქცე, თითქოს დასამალი გქონდეს რამე. ამიტომაც თავი მაღლა ავწიე, ლიფტი გამოვიძახე, შემოვბრუნდი და „ბაი ბაი“-მეთქი, მხიარულად დავუძახე ქერა ხუჭუჭთმიანი ამერიკელ უფროსს. არ მიპასუხა. მიპასუხა კი არა, თავიც კი არ მოუბრუნებია. რა უზრდელია-მეთქი, ვიფიქრე და გამკიცხავად გავხედე. არც დავუნახივარ. სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული. პირლია მისჩერებოდა ტელევიზორს. თვალბში ცრემლი ედგა.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მარცხენა ცათამბჯენს შავი კვამლი ასდიოდა. თვითმფრინავი 17 წუთის წინ დასჯახებოდა. მთელ მსოფლიოში ტელევიზიებმა შეწყვიტეს რეგულარული პროგრამები და პირდაპირ ეთერში ჩართეს მანჰეტენი. ჯერ ზუსტად არავინ არაფერი იცოდა. თავიდან აცხადებდნენ, რაღაც საშინელი შეცდომა მოხდაო. ახლა კი პირდაპირ ეთერში ირკვეოდა, რომ არავითარი შეცდომა არ მომხდარა. მეორე თვითმფრინავი, „იუნაითედ ეარლაინზის“ ფრენა ნომერი 175 მარჯვენა „ტყუპს“ უახლოვდებოდა.

ლიფტი მოვიდა. შევედი და ერთიანს დავაჭირე თითი. დიქტორი ტელევიზორში რაღაცას ამბობდა, მაგრამ მე მისი სიტყვები არ მესმოდა. როდესაც კარი იხურებოდა, დავინახე, რომ ქერა ხუჭუჭთმიანი ამერიკელი ხმამაღლა აქვითინდა.

„ტრიუმფი“ და კოკა-კოლა მაინც დავლიეთ, მაგრამ მუსიკა არ ჩაგვირთავს. ჩვენც ტელევიზორს ვუყურებდით. ცათამბჯენები ცე-

ისტორია ათნაულებში

ცხლში და კვამლში იყო გახვეული. იმედგადასურული ხალხი ფანჯრებიდან ხტებოდა.

„ტყუებები“ შეჯახებებიდან ერთ საათის მერე ჩამოინგრა. ჯერ ერთი, რამდენიმე წუთის შემდეგ კი – მეორე. მანჰეტენი მტვერმა და კვამლმა დაფარა. ნგრევის ხმის ექო კი ფონად გაჰყვა ახალ საუკუნეს.

ამ ექოს გამოძახილი დღემდე ისმის მთელ მსოფლიოში. საქართველოშიც ეს ხმა დროდადრო გამაყრუებლად, მტკივნეულად ხმამალალი ხდება.

ქართველებიც ქვითინებენ, როდესაც ავღანეთიდან დაღუპულ ჯარისკაცს ჩამოასვენებენ.

21.11.2003

ესხლა არ დამცინო. რალაცას გეტყვი და გააკეთე. ასე ვთქვათ, გამისწორე. თვალი დახუჭე. ჩაისუნთქე. ამოისუნთქე და მოეშვი. მოდი, ერთად წარმოვიდგინოთ, რომ უხსოვარ დროში, 10 წლის წინათ გადავიცვლეთ.

2003 წლის 21 ნოემბერია.

ერთი წუთით დაივინე, რაც იმის მერე მომხდარა. ვითომ არ იცი. ცოტა ხნით მაინც. თვალი დახუჭე. წარმოიდგინე, რომ სანდრო გირგვლიანის სახელი არ გაგიგია. ჩაისუნთქე. „მოდელირებული ქრონიკა“? სიტყვათა უაზრო შეთანხმებაა, ალბათ, რამე ბანძი ფანტასტიკური რომანიდან. ამოისუნთქე და მოეშვი. 26 მაისი? გილოცავ დამოუკიდებლობის დღეს! ჩაისუნთქე. შავი და თეთრი ჯერ კიდევ არსებობს და ყველაფერი არ წაუღეკავს რუხი ფერის ოდნავ განსხვავებულ გრადაციებს. ამოისუნთქე და მოეშვი. აი, ეგრე.

ჯვარზე ავიდეთ. ყაკეტი ან რამე ეგეთი მოისხი, საშინელი ქარია. გადმოსახედთან მივიდეთ, ოლონდ ჯერ ზურგით დავდგეთ და მოკლედ გაგახსენებ, რა ხდება ამ დროს ქვეყანაში.

2003 წლის 21 ნოემბერია და სალამოს 6 საათი ხდება. წინა დღით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თვის დასაწყისში ჩატარებული სა-

პარლამენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები გამოაქვეყნა. ამ მონაცემებით არჩევნებში შევარდნაძეებმა გაიმარჯვეს. ყველამ ვიცით, რომ ტყუილია, მაგრამ, როგორც ჩანს ამ ტყუილს მაინც გაიტანენ.

კი, ორ კვირაზე მეტია, რაც მიტინგები და დემონსტრაციები იმართება. ხელისუფლებიდან ვიღაც ტიპებიც აღიარებენ (ზოგი ირიბად, ზოგი პირდაპირ), რომ არჩევნების შედეგები, როგორც ამერიკელები იტყოდნენ, არ ასახავს ხალხის ნებას. კი, ზოგჯერ გაკრთება იმედი, რომ აი, ამჯერად შეიძლება არ გაუვიდეთ ტყუილი. მაგრამ, მერე ისევ გადახედავ მიტინგებს, დემონსტრაციებს და მათ ორგანიზატორებს და დაინახავ, რომ, ალბათ, არაფერი გამოვა. კი, თითქოს ბევრი გამოდის ქუჩაში, მაგრამ არ ეყოფა ეგ. არ არის საკმარისი. „არ გორდება“ – ყველა ასე ამბობდა. ორგანიზატორებსაც არ ეტყობათ, რომ იცოდნენ რასაც აკეთებენ.

ჰოდა, ზუსტად იცი, რაც მოხდება. ხვალ პარლამენტი ოფიციალურად შეიკრიბება და ცხოვრებაც ჩვეულებრივად, ოთხმოცდაათიანებში გაგრძელდება. ოპოზიცია ერთხანს კიდევ იხტუნავებს და იყვირებს და მერე ზოგი ერთს მიეყიდება და ზოგი კიდევ – მეორეს. მერე ასლანი ან ბადრი გახდება პრეზიდენტი და ეგეთი ქვეყანა გვექნება. იმედია, ეგრე არ იქნება, მაგრამ არის კი მაგის იმედი?

ისე ვართ, ძველ ამერიკულ ვესტერნებში რომაა. გმირი კოვბოები კუთხეში არიან მიმწყვდეულნი. კარგად იბრძოლეს, მაგრამ მალე ყველაფერი დამთავრდება. ადიოს, ამიგოს! გეიმ ოუვა! მაგრამ, მოიცა, ჩუ! ეს რისი ხმაა? ფლოქვების თქარუნი გაისმის. ვი არ სეივდ! კავალერია მოვიდა დასახმარებლად! ტუ ტუ ტუ ტუ ტუტუტუ – ჩაჰბერეს საყვირებს.

ხომ გესმის ამ საყვირების ხმა? ხომ გესმის – სიგნალები, პიპინი, ხმაური... აი ესხლა კი მოდი, მოვტრიალდეთ. (გახსოვს ხომ? მცხეთის ჯვარზე ვართ). ხედავ? გზაზე დიდი გაჩახჩახებული გველი მოს-

რიალებს. რეგიონებიდან დაძრული ასობით ავტომობილის ფარები სიბნელეს ჭრის. ნობათი ჩააქვთ თბილისში – სუფთა, კონცენტრირებული, გაუზავებელი, ასპროცენტრიანი იმედი.

ჩაი მიშასი იქნება, გველი კი ყველასია.

ხომ გახსოვს ეგ გრძნობა? საფინალო მატჩის დასრულებამდე 5 წუთია და ანგარიში გათანაბრდა... მტრედი დაბრუნდა და ნისკარტით ზეთისხილის რტო მოიტანა... ცოტა გბურძგლავს და ცოტა სიხარულით გეტირება. ცოტაც და მოვიგებთ. ცოტაც და ყველაფერი კარგად იქნება. მოდის გუგუნით, ჭექით, ძლიერებით მოდის რევოლუცია! სიკ სემპერ ტირანის! Mort aux Rois! დაჰკარით დაუფდაფებს!

დაგბურძგლა?

ჰა-ჰა! ცხადია, აღარა. ის გრძნობა გვექონდა, მაგრამ დიდი ხანია მოკვდა და ველარაფერი გააცოცხლებს. აჰ, როგორ ბევრად უფროსები ვიყავით მაშინ. ახლა იმაზე ახალგაზრდები ვართ.

ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა მაგას ველარ უშველის.

66.66.6666

2000-იანი წლების საქართველოს ნომერი პირველი მტრის შესახებ პირველად ამერიკაში ყოფნისას გავიგე. მაგისტრატურაში სწავლის დრო მიმთავრდებოდა, რამდენიმე თვეში თბილისში მოვდიოდი და მეგობარი მირკში (ფეისბუქი ჯერ კიდევ არ არსებობდა) მამზადებდა სამშობლოში დასაბრუნებლად. მიყვებოდა – ეს გათხოვდა, იმან ცოლი მოიყვანაო... ახალი ვარსკვლავი გვყავს, ტელევიზორში სულ იმის კლიპებს აჩვენებენ, ლექს-სენი ქვიაო.

მერე მოაყოლა, მთელი თბილისი ახალ გასართობზეა გადასული – მოცეკვავეებს საფრანგეთიდან რალაც ალკოჰოლიკების წამალი ჩამოაქვთ და ყველა იმაზე კაიფობსო. რა ქვია არ მახსოვს, მაგრამ მთელი ვაკე და ვერა მაგაზე ზის და დადიან დაშტეებული სახეებითო.



ლიფტი მოვიდა. შევედი და ერთიანს დავაჭირე
თითი. დიქტორი ტელევიზორში რაღაცას ამბობდა,
მაგრამ მე მისი სიტყვები არ მესმოდა. როდესაც
კარი იხურებოდა, დავინახე, რომ ქერა ხუჭუჭთმიანი
ამერიკელი ხმაგაღლა ამვითინდა.



ისტორია ათწლეულებში

როდესაც ჩამოვედი, რამდენიმე თვეში, „იმ წამლის“ სახელი უკვე აღარავის ავინყდებოდა. ოპიატი ბუპრენორფინი. ბრენდის სახელწოდება – სუბუტექსი. მოფერებით – სუბუ.

მაგ საქმეს მაიმუნობა ერქვა. მაგალითად, იკითხავდი, დათო რას შვება, სად დაიკარგაო და გიპასუხებდნენ, რავი, ბიჭო, მაიმუნობსო. და მაშინვე იცოდი, რომ დათო დამამობით უცხო ნომრებზე კი არ რეკავს და კი არ კითხულობს, „უკაცრავად, აბანოაო?“, არამედ ნემსებს ითხრის და ნელ-ნელა ადამიანის სახეს კარგავს. ეგეთ დათოს, ან გიორგის, ან ირინას ყველა იცნობდა.

ნარკომანია ყოველთვის იყო და იქნება, მაგრამ ამდენი საქართველოში არც მანამდე ყოფილა და, იმედია, აღარც არასოდეს იქნება. თბილისის ვერც ერთ სადარბაზოში ვერ შეხვიდოდი ისე, შპრიცზე რომ ფეხი არ დაგებიჯებინა. ადამიანს ვერ შეხვდებოდი, ვისაც სუბუს კვალი არ ეტყობოდა – ზოგს ვენაზე ემჩნეოდა, ზოგს კი – თვალეში, რადგან ან მეგობარი ჰყავდა მკვდარი, ანდა ოჯახის წევრი დასახიჩრებული.

ორიათასიანებში სხვადასხვა ეპიდემიებით გვაშინებდნენ ხოლმე – ღორის გრიპით და ჩიტის სურდოთი და ეგეთებით. ამ დროს კი ქვეყანაში, წლების განმავლობაში მძვინვარებდა სუბუს ეპიდემია და ხალხი ბუზებივით იხოცებოდა.

08.08.08

7 აგვისტოს შუადღეზე ჩემს მობილურში ლევანი rachis mdzgoli kargi-ს სახელით შეყვანილ კაცს დავურეკე და შევეუთანხმდი, რომ მეორე დღეს ჩამისვამდა და წავიდოდი. ამბროლაურთან ახლოს ჩემი მეუღლე და 8 თვის შვილი იყვნენ. დიდი ხანი არ მყავდნენ ნანახი. თან, საქმელი და პამპერსები და ეგეთები უნდა ამეტანა.

8 აგვისტოს ცხრაზე სამსახურში ვიყავი და რადიო „თავისუფლების“ დილის პროგრამა მიმყავდა. პაატა ზაქარეიშვილი გვყავდა სტუმრად. წინა დღით შევთანხმდით, რომ რა-

ღაც თემაზე უნდა გველაპარაკა, რაც 7 აგვისტოს საღამოსთვის რელევანტური იყო და 8 აგვისტოს დილისთვის სრულიად უმნიშვნელო გახდა. არავინ იცოდა, ზუსტად რა ხდებოდა, გარდა იმისა, რომ ომი დაიწყო. იმედია, იცინა, რასაც აკეთებენო – ეს იყო პაატა ზაქარეიშვილის გამოთქმული ძირითადი აზრი. ან შეიძლება სხვა რამე თქვა და მე მახსოვს არასწორად. მე თვითონ სულ მაგას ვფიქრობდი.

გადაცემა 10-ზე დამთავრდა. 11-ზე უკვე მანქანაში ვიჯექი და რაჭისკენ მივდიოდით – მე, მძღოლი ლევანი და კიდევ ორნი. ერთის ვინაობა არ მახსოვს, მეორე კი რეზერვისტი იყო, რომელიც ღამით გამოიძახეს და გზად, შეკრების ადგილას უნდა ჩამოსულიყო. 20 წელზე ცოტა მეტის იქნებოდა. ძირითადად ჩუმად იყო, დროდადრო თუ იხუმრებდა რამეს. არ იმჩნევდა, რომ ეშინოდა. არადა ალბათ როგორ ეშინოდა.

ხუმრობაა? ომში მიდიოდა. გორამდე გზას ღამის სამი საათი დასჭირდა. გაჭედვით იყო სამხედროებით. მიდიოდა და მიდიოდა სატივროთო მანქანები, რომლის საბარგულშიც ჯარისკაცები ისხდნენ. გვიციინოდნენ და ხელს გვიქნევდნენ.

გზად გამახსენდა, რომ „ფისბუკზე“ სტატუსად მქონდა „come friendly bombs“. ერთი კვირის წინ წაკითხული ლექსიდან იყო, რომელმაც მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ომთან არ იყო კავშირში, მაგრამ ეგ ვის ეცოდინებოდა. დიდი წვალებით ტელეფონით შევედი ფისბუკზე და წაეშალე. ოჰ, რა სისულელეა ეს ყველაფერი!

რეზერვისტი ჩამოვსვით. შაორთან თავზე თვითმფრინავმა გადაგვიფრინა. ალბათ ჩვენიაო – ვთქვით. ნიკორწმინდასთან სამი თინეიჯერი დაგვემგზავრა. იცინოდნენ. ზუსტად ვიცით, სააკაშვილი რუსებს გაურიგდა და ოსეთი ჩვენიაო.

ჩავედით. ტელევიზორი ცუდად აჩვენებდა. ყველა შემინებული იყო, თავზე თვითმფრინავებმა გადაგვიფრინესო. ნამდვილად ჩვენი იყო-მეთქი, – ვთქვით. იაკობაშვილი კუ-

ლახმეტოვს ელაპარაკა და რუსები არ ჩაერევინა-მეთქი. ზუსტად ვიცი, რომ იმედია, ეგრეა-მეთქი.

თბილისში მეორე დღეს წამოვედი. ერთი საათით ავცდი გორის დაბომბვას.

მომენი 16.08.08

მანქანაში კვლავ ოთხნი ვისხედით. მე, მძღოლი ლევანი და კიდევ ორნი. ერთის ვინაობა არ მახსოვს, მეორე კი მსუქანი სასაცილო კაცი იყო. თეთრი უმკლავებო მაისური ეცვა, ამერიკელები რომ wifebeater-ს უწოდებენ და ჩვენ კი – „შევერდნადის მაიკას“. დანა კბილს არ გვიხსნიდა.

თბილისის გასასვლელთან პოლიციელი იდგა, რომელიც ყველა მანქანას აჩერებდა და აფრთხილებდა, გზაზე მოძრაობა სარისკოაო. თქვენს თავზე პასუხისმგებელი აქედან თავად ხართო. გეგონება, არ ვიცოდით.


გზად შევეთანხმდით, რომ გორს არ გავივლიდით და გრძელი, შემოვლითი გზით წავიდოდით. გორში რუსები იდგნენ. გაგვატარებდნენ, მაგრამ პირადობის მონშობა უნდა გვეჩვენებინა.

გორში. რუსისთვის. პირადობა. ბლიად!

თუ გაინტერესებთ, რომელია ეგ შემოვლითი გზა, გეტყვით – წარმოდგენა არა მაქვს. თბილისიდან მიდის და სადღაც ქარელთან გამოდის. ან იქნებ სადღაც სხვაგანაც. გზების კარგი ცოდნით ვერ დავიკვებნი. მის გავლას, მგონი, სამ საათამდე დასჭირდა. ან, შეიძლება, ნაკლები. არც დროის განსაკუთრებულად კარგი შეგრძნებით გამოვიჩინევი.

ძირითადად ჩუმად ვმგზავრობდით. დანა კბილს არ გვიხსნიდა.

დიდი ხნის სიჩუმე მსუქანმა სასაცილო კაცმა დაარღვია. ერთი რუსის ქალი მომცა ეხლაო – თქვა გაბრაზებულმა. უხ, მე ვიცი, რას ვუზამდიო. ისე გავფიქვავდი, დედას ვერ ეცნოო. აეგრე გავიგდებდიო. თქვა და გაჩუმდა. არც ჩვენ გვითქვამს რამე. მერე, რახან მაინც ჩუმად ვისხედით და სრულ ჭკუაზე არავინ ვიყავით, ჩემდა ჭირად წარმოვიდგინე...



მერე ისევ გადახედავ მიტინგებს, დემონსტრაციებს და მათ ორგანიზატორებს და დინახავ, რომ, ალბათ, არაფერი გამოვა. კი, თითქოს ბევრი გამოდის ქუჩაში, მაგრამ არ ეყოფა ევ. არ არის საკმარისი. „არ გორდება“ – ყველა ასე ამბობდა.



წარმოვიდგინე, რომ ეს მსუქანი სასაცილო კაცი და ნატაშა ოთახში არიან. მანამდე ამ ქალს უღიმოდა, „კუკლას“ ეძახოდა და „იშჩო კუ-შაინე ხინკალიო“ ეუბნებოდა. ახლა კი მარტონი დარჩენ და მსუქანას სახე უცებ უმკაცრდება. მრისხანე სახით მიავადებს ამ ქალს ლოგინზე, მაისურს შემოახევეს და „სუკა, ტი პა-ჩემუ გორი ბამბილო“ – გამოცრის. მერე ზვანჯარს გაიხსნის და... ავოე! შევეუძახე თავს. იქნებ არ ღირდეს მსუქანი სასაცილო კაცის და წარმოსახვითი რუსის ქალის სექსზე ფიქრი? თითქოს სასაცილო უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ მეცინებოდა.

დანა კბილს არ გვიხსნიდა. ასე, ჩუმად ვისხედით, როდესაც გზის პირას გაჩერებული ორი სამხედრო ჯიპი დავიხსნით. ზედ ათამდე ქართველი ჯარისკაცი იჯდა. რას აკეთებდნენ არ ვიცი, გარდა იმისა, რომ ყურები ჰქონდათ ჩამოყრილი. ჩვენც შევხედეთ და იმათაც შემოგვხედეს. სხვა მანქანა გზაზე არ მოძრაობდა.

უცებ ლევანმა მანქანა შეანელა და პიპინი ატეხა. ჩვენც, ისე რომ ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს, თავები ერთდროულად გადავყავით მანქანიდან, ხელების ქნევა დავინწყეთ და ყიჟინა მოვრთეთ. რომელიღაც ჩვენგანმა ტაშის დაკვრა დაიწყო და სხვებიც აყვევით.

სამხედროებმაც მონყენილად აგვიჩიეს ხელი.

გარედან რომ შეგვხედა, ალბათ ძალიან უცნაური სურათი იქნებოდა – გზის პირას მონყენილი ჯარისკაცები ჩამომსხდარან. მათ წინ ტაატით მანქანა მიდის, რომლის ფანჯრებიდანაც ოთხი, სრულიად განსხვავებული ტიპი გადმონეულა. შემლილი გამომეტყველება აქვთ და გიჟივით უკრავენ ტაშს. ჰა-ჰა-ჰა! ალბათ სასაცილო უნდა ყოფილიყო, მაგრამ არავის გაგვიცინებია.

დანა კბილს არ გვიხსნიდა.

2000-2010

უი, ნახე! ბოლოში გავედი და თითქმის არაფერზე დამიწერია. ორიათასიანი წლები მაზალო გა-

სახსენებელია. სულ ეხლა იყო და შენს გარეშეც ყველას ყველაფერი ახსოვს. ჯერ მარტო პოლიტიკაში რამდენი რამე მოხდა. დანერ და ბევრი უნდა მოყვე, რომ ყოველმხრივ მოიცვა და კმაყოფილი არავინ დაგრჩება. ამდენი ცვლილება, დემონსტრაცია, მიტინგი...

მოკლედ, რალაცებები მაინც სახსენებელია და აქ მოკლედ ვახსენებთ და მაინც უამრავი რამე გამოგვრჩება.

ჯერ მარტო ინტერნეტში მომხდარი ცვლილებები რად ღირს! ფეისბუკი, ვიკიპედია, იუტუბი, ტორენტები... ორიათასიანების დასაწყისში ინტერნეტში შესასვლელად მოდემით ნომერი უნდა აგეკრიფა, მერე მოგესმინა კკკკრრრრჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭჭ და თუ გაგიმართლებდა, ინტერნეტში იყავი. ერთი სიმლერის ჩამონერას ნახევარი საათი უნდოდა. დეკადის ბოლოს მობილური ტელეფონი სულ ჩართულია ინტერნეტში და სიმლერას წამებში წერს.

მობილური ხომ კიდევ ცალკე თემაა. ჯერ, ორიათასიანების დასაწყისში დაპატარავდა და მერე, 2007 წლიდან, გაიზარდა და მერე სულ მთლად კომპიუტერად გადაიქცა.

რამდენი ახალი სიტყვა გავიგეთ – მანდატური, ვუვუხელა, დალაიქება, ჩამოშლა, მოდელირებული...

უი, ორიათასიანებში იყო სწორედ, ქართული კინო რომ გაგვიბოზდა. სულ მთლიანად არა, მაგრამ დიდი ნაწილი. მოდი, მაგისტვის ცალკე თავუკას გამოვყოფ. ვიდრე ამას ნაიკითხავთ გავალ, სიგარეტს მოვწევ.

69

ჰოდა, ორიათასიან წლებში ქართული კინო გაბოზდა.

მანამდე, ოთხმოცდაათიანებში უფრო სტრანნი ნაშა იყო – შეუმდგარი ხელოვანი, რომელიც ყურში ცუდ ლექსებს ჩაგჩურჩულებდა. სექსისთვის ნანგრევებში წაგიყვანდა და მერე ფილოსოფიაზე დაგელაპარაკებოდა. ბნელ ქუჩებში დადიოდა ისე, რომ ნაბიჯები ცალკე ჩანდა და

ფეხის ხმა ცალკე ისმოდა. იტალიურ ენაში ცხოვრობდა. მონგრეულ სამხარეულოში მონყენილად სვამდა თურქულ ყავას და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. სტუმრებს იაფიანი მეტაფორებით უმასპინძლებოდა. დროდადრო სექსში ფულს იღებდა, მაგრამ მალავდა. ხალხში იშვიათად ჩნდებოდა. პრეტენზია ჰქონდა, რომ რალაცას წარმოადგენდა.

ორიათასიანებში ქართულმა კინომ მალაქუსლიანი პლასტმასის ფეხსაცმელი ამოიცვა, პერანგი ჩაიხსნა, უგემოვნოდ დაიღება, მთელი ფლაკონი სუნამო დაითქვინა და თქვა – ამიერიდან მალაღი კლასის სექსმუშაკი ვარო.

მალაღი კლასის! ჰა-ჰა! ხშირად მანვის და კეფირის ფასად მუშაობდა.

2000-2010 ბაბრძქლემბა

სპორტზე დანერდა სინდისიერი ადამიანი რამეს. მოხდა ალბათ მნიშვნელოვანი რამეები ქართულ სპორტში – ოლიმპიადები, მედლები, დრობლინგები, ფინტები... რალაც მოსაგები თამაშები ნავაგეთ ალბათ. სპორტი რომ უკეთ ვიცოდე, ჰავებკუზეც ვიტყვოდი რამეს, იმიტომ რომ ახლა მომადგა ენის წვერზე. არსებობს ხო ეგეთი რალაცა? ჰავებკი. მოკლედ, ეგეც გამოჩენილად ფიგურირებდა ორიათასიანებში.

გაიხსნა ბევრი ახალი რესტორანი და კაფე. მანამდე უცხოური საჭმელი დაწესებულებები უკანტიკუნტესად თუ იყო თბილისში. ორიათასიანებიდან კი ჩინურ რესტორანში საჭმელად წასვლა განსაკუთრებულ ეგზოტიკად აღარ ითვლება.

ორიათასიანებში ბევრი ისეთი ადამიანი გარდაიცვალა, ვისი სახელებიც შემდეგ სულ ეწერება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში. ზურაბ ჟვანია, ირაკლი ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე...

ორიათასიანებში დაბადებულები სკოლაში დადიან და დიდად თავის გამოჩენის საშუალება არ მისცემიათ. 4-7 წელიწადში გამოჩნდებიან და მერე ნელ-ნელა გადაიბარებენ ქვეყანას.




გზად გამახსენდა, რომ „ფეისბუკზე“ სტატუსად მქონდა
„COME FRIENDLY BOMBS“. ერთი კვირის წინ წაკითხული
ლექსიდან იყო. თმთან არ იყო კავშირში, მაგრამ ეგ ვის
ეცოდინებოდა. დიდი წვალებით ძელეფონით შვედი
ფეისბუკზე და წავშალე. ოჰ, რა სისულელეა ეს ყველაფერი!



დივა „ფაბრიკაში“ მიდის...

რობერტ სტურუა ახალ „გაკვეთილს“ მარია კალასის დახმარებით ატარებს

ავტორი: დავით ბუსრიკიძე
ფოტო: გიორგი გოგატიშვილი



სპექტაკლი. უფრო მეტად უცნაური ისაა, რომ რუსთაველის თეატრიდან ლამის 40-წლიანი მმართველობის შემდეგ, განდევნილი და შემდეგ მშობლიურ თეატრში დაბრუნებული რობერტ სტურუა თავის „მეორედ მოსვლას“ არა „რუსთაველში“, არამედ ახლადდაარსებულ თეატრალურ სივრცეში – „თეატრ-ფაბრიკაში“ აღნიშნავს.

თავის დროზე რეჟისორის თეატრიდან ხმაურიან წამოსვლას და ახალ თეატრში მისვლას თავისი ხილული სოციალური, პოლიტიკური თუ ფარული არტ-მოტივები ჰქონდა, რომლის ანალიზს ამჯერად არ ვაპირებთ. გასარკვევი ისაა, თუ რატომ ჩაუღრმავდა სტურუა უკვე ხმანართმეული და მარტოსული კალასის ცხვრების ფინალს თავისი სპექტაკლით. კრიტიკოსებისა და თაყვანისმცემლების დიდი ნაწილი ამასობაში მისი „ახალი შემოქმედებითი ეტაპის დაწყებაზე“ ალაპარაკდა.

უკვე გარდასული პოლიტიკური ქარცეცხლის შემდეგ, 75 წლის რეჟისორისთვის გაცილებით ნაყოფიერი შემოქმედებითი ვითარება შეიქმნა. ჩამცხრალი სიძულვილ-სიყვარულის შემდეგ, მის შემოქმედებაში კლასიკურად „მოპირკეთებულმა“ არტისტულმა სიმშვიდემ დაისადგურა: ახალმა ხელისუფლებამ მას 190-ადგილიანი თეატრი აუშენა და ყოფილი აბრეშუმის კომბინატის (გმირთა მოედანთან ახლოს, კოსტავას ქუჩაზე) უკვე გარემონტებულ შენობაში ჯერ კიდევ ზაფხულში პრემიერა გაიმართა. სპექტაკლს ამერიკელი დრამატურგის, ტერენს მაკნელის გახმაურებული პიესა „მასტერკლასი“ დაედო საფუძვლად.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მანანა ანთაძის შესანიშნავი თარგმანი, რომელმაც „მაკბეტის“ შემდეგ კიდევ ერთი თარგმანით შეავსო თანამედროვე თეატრალური სივრცე. „მასტერკლასი“ უკვე მარია კალასის სიკვდილის შემდეგ დაინერა. ავტორისათვის ინსპირაციის წყაროდ მომღერლის მიერ ნიუ-იორკში, ჯულიარდის ხელოვნების სახელგან-

თქმულ ცენტრში გამართული მასტერკლასი იქცა.

სპექტაკლის ცენტრი, მისი ხიბლი და მიზიდულობის ძალა მარია კალასია – ალბათ ყველა დროის ყველზე დიდი საოპერო დივა. სპექტაკლი მისი ცხოვრების მხოლოდ ერთ ეპიზოდს ასახავს, მაგრამ მთელ მის ბიოგრაფიასაც იტევს. დიდი მომღერალი, რომელიც ერთდროულად უყვარდათ და სძულდათ, რომელსაც ადიდებდნენ და გამანადგურებლად აკრიტიკებდნენ, არაერთხელ გამხდარა დიდი რეჟისორებისა თუ არტისტების შთაგონების წყარო. ეს გასაკვირი არ არის, რადგან თავისი უკომპრომისობით, რთული და ფეთქებადი ხასიათით და რაც მთავარია, საოპერო ხელოვნებისადმი ახლებური მიდგომით, სრულიად ცალკე დგას მეოცე საუკუნის დიდ მომღერლებს შორის.

კალასის, როგორც უბადლო დრამატული ტალანტის მომღერლის წარმატება პირველ რიგში უკავშირდება დიდი რეჟისორის, ლუკინო ვისკონტის სახელს. „ლა სკალაში“ მოღვაწე მომღერლის დრამატულმა ხმამ და როლის სრულფასოვნად გახსნის სურვილმა ვისკონტიზე წარუშლელი კვალი დატოვა. რადგან კალასში მან საკუთარი რეჟისორული ინტერპრეტაციის ერთგული ხელოვანი შეიცნო და აღმოაჩინა.

ვისკონტის სახელი რამდენჯერმე გაიღვებებს რობერტ სტურუას სპექტაკლშიც. თუმცა მელომანები თუ უბრალოდ მაყურებელი, დირიჟორების – ტულიო სერაფინის და კარლოს დე საბატას სახელებსაც ხშირად მოისმენენ. აღარაფერს ვამბობთ კალასის ცხოვრებისა და ბიოგრაფიის საბედისწერო მამაკაცზე, არისტოტელე ონასისზე, რომელსაც სპექტაკლში მარია კალასი უბრალოდ „არის“ უწოდებს...

მარიას როლს სპექტაკლში რუსთაველის თეატრის ცნობილი მსახიობი, ლელა ალიბეგაშვილი თამაშობს. კალასის ბიოგრაფიის დრამატული ეპიზოდები მან სხარტი იუმორით ნაკვები ფრაზებით და კამერულ სცენურ ატმოსფეროში ჩაატია, – ყოველგვარი პათეტიკისა და „შარავანდელის“

ზოგჯერ ლეგენდას თავისი უკუჩვენება აქვს: ჯერ აღმაფრენა, ზეასვლა და გადმერთება. შემდეგ რეალობასთან შეგუება, დამინება და დიდების კვარცხლბეკიდან ჩამოგდება... უცნაურია, მაგრამ მაინც არსებობს თავისებური ლოგიკა, თუ რატომ დადგა ნახევრად ლეგენდარულმა რობერტ სტურუამ ლეგენდარულ მარია კალასზე თავისი ახალი



ხელოვანთა ბედისწერა განაპირობებს? ყოველ შემთხვევაში ამ ორი წარმოდგენის სტილი, კამერული ატმოსფერო, ტემპო-რიტმი და მსახიობის თამაში სწორედ სწორედ რომ „კონგრუენტულობის ნიშნებს“ შეიცავს.

“მე უკვე შემძლია ვიტყვო რამდენიც მინდა, მე აღარ ვმღერი”. – ეს დრამატული ფრაზა, რომელსაც კალასი-ალიბეგაშვილი წარმოთქვამს, გარკვეულწილად ხსნის მომღერლის ბუნებას. ხაზს უსვამს მის პიროვნულ დრამას და სევდანარევი, ირონიულ დამოკიდებულებას საოპერო ხელოვნების მიმართ.

საათნახევრიანი სპექტაკლი მელომანებისთვის ნამდვილი სულის მოთქმაა. ჟღერს ბეთჰოვენი, ბელინი, ვერდი, ყანჩელის პატარა ფრაგმენტი (მუსიკალური გაფორმება ია საკანდელიძე). უნდა აღინიშნოს მაქსიმალურად „ეკონომიური“ სცენოგრაფია და მხატვრული გაფორმება, რომელიც მირიან შველიძეს ეკუთვნის.

ლელა ალიბეგაშვილის გარდა მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: ლელა ახალაია (სოფი დე პალმა), დავით დარჩია (სტივი), ქეთი სვანიძე (შერონ გრემისი) დავით უფლისაშვილი (სცენის მუშა) და ტენორი არჩილ გოგიტიძე, რომელიც პუჩინის სიამეს „ლაივში“ განგაცდვენებთ.

მოკლედ, ვისაც სურს პოლიტიკისა და „ფეისბუქისგან“ დაცლილი სტურუას განახლებული, კამერული სულისკვეთების სპექტაკლი ნახოს; ვისაც ლელა ალიბეგაშვილის დრამატული ტალანტის „შემომნება“ (საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) და მის მიერ განსახიერებელი დივას ხილვა სურს – შავი, გრძელი პალტოთი; ვისაც გია ყანჩელის ახალი მუსიკის ფრაგმენტების მოსმენა სურს, მიაშუროს „თეატრ-ფაბრიკას“ კოსტავას ქუჩაზე;

ასე, ლეგენდებს ისევ უკუჩვენება აქვთ: ჯერ აღმაფრენა, ზეასვლა, გაღმერთება. შემდეგ რეალობასთან შეგუება, დამინება და კვარცხლბეკიდან ჩამოგდება... და ისევ გაღმერთება! ფრანკო ძეფირელის ფილმიც ხომ ამას გვეუბნება: „მუდამ კალასი“.



გარეშე. სპექტაკლს ფსიქოლოგიურად უფრო საინტერესოს და გასაგებს ხდის რეჟისორის თითქოს ბერგმანისეული, ახლო ხედით გამორჩეული მზერა, რომელიც ძალიან უბრალო, მაგრამ ობერტონების სიზუსტითაა გამდიდრებული. ის პირველ რიგში, მსახიობებზეა კონცენტრირებული. ლელა ალიბეგაშვილი-კალასი კონსერვატორიის დარბაზშიც (სწორედ იქ ხდება მოქმედება) კი ახერხებს არტისტული გახელება, ვნება, ფანტაზია, კომპლექსები და ა.შ. შინაგანი დრამატიზმით გადმოსცეს...

და აქ, თეატრალურ შევასხენებდი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, რუსთაველის თეატრის დიდების ჟამს, რობერტ სტუ-

რუას კამერულ, მაგრამ დრამატული ენერგიით აღსავსე სპექტაკლს – ეს იყო „ამპერსტის მშენება“, რომელიც უილიამ ლუისის პიესის მიხედვით დაიდგა და რომელშიც უდიდესი დრამატული ტალანტის ზინა კვერენჩილაძე, პოეტ ემილი დიკინსონის ეგზისტენციურ მარტოობას არტისტული დრამატიზმით და სიმსუბუქით გადმოსცემდა.

როცა ლელა ალიბეგაშვილის კალასს ვუცქერთ, შეიძლება გავიხსენოთ სწორედ მსუყე, არტისტული ფერებით და ვნებებით გამორჩეული ზინა კვერენჩილაძე. იქნებ ეს პარალელი სუბიექტურია? ან იქნებ, ემილი დიკინსონის და მარია კალასის დრამატულ პარალელს ზოგადად,

წიგნები

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

უსტორიული რომანი გამოცემები



We Need New Names

Noviolet Bulawayo

304 გვ.

ნოვიოლეტ ბულევაიო პირველი აფრიკელი (ზიმბაბვე) შავკანიანი მწერალია, რომელიც თავისი ახალი სადებიუტო რომანით პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის – Booker-ის შორტლისტში მოხვდა (2013 წ.). წიგნი „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებიდან „სიმდიდრით სახელგანთქმულ“ ამერიკის კონტინენტზე ემიგრირებულთა თემას ეხმიანება. რომანის გმირს, 10 წლის გოგონას, სახელად დარლინგს, იმ ძალადობრივ სამყაროში უწევს ცხოვრება, რომელიც მას და მის მეგობრებს ქურდებდა აქცევს. გამოსავლის საძიებლად ის ამერიკაში, დეიდასთან გადადის, სადაც აღმოაჩენს, რომ ემიგრანტის სტატუსის გამო, სა-


არსებო პირობების გაუმჯობესება საგანაშობდ მძიმე დაბრკოლებებს უქმნის. მოგზაურობისა და ბარიერებთან გამკლავების ფონზე, 10 წლის დარლინგი ცდილობს გავლილი ცხოვრების იმ მოგონებებს ჩაეჭიდოს, სანამ სახლს დაუნგრევდნენ, სკოლას დაუკეტავდნენ და საზღვარგარეთ საშუაოდ წასული მამა მიატოვებდა. ამ რომანის შეფასებისას, კრიტიკოსები აქცენტს სწორედ ნარატივის სიძლიერეზე სვამენ: „ბულევაიო თავის სადებიუტო ნოველაში ამბებს ისეთივე ოსტატობით ყვება, როგორც ამას გამორჩეული მთხრობელები – ზადი სმიტი, მონიკა ალი და ჯონ მაქსველ კუტზეე ახერხებდნენ“.


Lowland

Jhumpa Lahiri

352 გვ.

სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემებში გამოქვეყნებული მცირე ისტორიების გარდა, Lowland უუშვა ლაჰირის რიგით მეორე რომანი გახლავთ, რომელიც ასევე Booker-ის ფინალისტია. ინდოამერიკელი მწერლის რომანი ერთგვარი ოჯახური საგაა, რომელიც მკითხველში კომპლექსურ ემოციებს აღძრავს. თხრობა ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებული ძმების, საბამისა და უდეიანის ირგვლივ ვითარდება და სხვადასხვა დამოუკიდებელ სიუჟეტად იტოტება, რომელთა შორის გამორჩეული ერთ-ერთი ძმისა და მისი ძმის ცოლის ურთიერთობაა. უფროსი ძმა, საბაში, ძმისგან განსხვავებით მეტად მგრძნობიარე და თავაზიანი ადამიანია, იგი პროფესიულ კარიერას აშშ-ში აგრძელებს. უდეიანი კი იდეალისტია – ის საკუთარ მიწაზე, ინდოეთში რჩება, ადგილობრივ კომუნისტურ დაჯგუფებას უერთდება და საბოლოოდ, მისი სიცოცხლეც სწორედ მის მემარცხენე იდეებს ეწირება. რომანში მეორე და მნიშვნელოვანი სიუჟეტური ხაზი წლების შემდეგ ვითარდება, როდესაც საბაში ოჯახში ბრუნდება და იქ პოლიციის მიერ მოკლული ძმის მეუღლე ხვდება.





How to Read Literature

Terry Eagleton

232 გვ.


წიგნის კითხვისას ხშირად გვეცინება კონკრეტულ დიალოგებსა თუ სიუჟეტებზე, მაგრამ როდესაც გვეკითხებიან, თუ რატომ ვიციინით, ახსნას ვერ ვუძებნით. ასეთ დროს ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ სხვებსაც მიუთითო ეს კონკრეტული ადგილი და ისინიც შენთან ერთად აცინონ. ლიტერატურის თეორეტიკოსის, ტერი იგლტონის ახალი წიგნი სწორედ ამგვარ მითითებებს აერთიანებს და კონკრეტული, ხშირად სახალისო მაგალითებით გვიხსნის, რატომ და როგორ უნდა წავიკითხოთ ესა თუ ის წიგნი.

რა მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული ტექსტის გააზრებისას თხრობის რიტმს, სიუჟეტის სტრუქტურულ წყობას, სინტაქსურ ერთეულებს, ალუზიებსა თუ სხვა ფორმალურ ასპექტებს – ეს არის საკითხები, რომელთა დახმარებითაც ტერი იგლტონი კითხვის ახლებურ მეთოდებს გვაცნობს. მაგალითებისთვის კი ის ისეთ ავტორებს მიმართავს, როგორებიც არიან: ჯ.კ. როულინგი, უილიამ შექსპირი, ფიოდორ დოსტოევსკი, სემუელ ბეკეტი, შარლოტა ბრონტე და სხვები.

MaddAddam

Margaret Atwood

416 გვ.




MaddAddam – სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში შექმნილი იმ ახალი წიგნის სახელწოდებაა, რომლითაც კანადელი მწერალი მარგარეტ ეტუუდი თავის ცნობილ ტრილოგიას კრავს („Oryx and Crake“ (2003), „The Year of the Flood“ (2009)). სიუჟეტი დისტოპიურ სამყაროში ვითარდება, რომელსაც გავრცელებული პანდემიის გამო სრული განადგურება ელის. წიგნის მიხედვით, ადამიანებისთვის განკუთვნილ სივრცეს გიგანტური ღორები ეპატრონებიან, რომელთაც ადამიანების ორგანოები გამოსდით. მთავარი ამბები კი ამ სამყაროში გადარჩენილი ადამიანების – ტობისა და მისი შეყვარებულის, ზების გარშემო ვითარდება, რომლებიც ბიოინჟინერიის შედეგად შექმნილი არსებების – კრაკერების გარემოცვაში იძვფებიან. ეს მეტად უცნაური და დამინტრიგებელი სიუჟეტის მქონე რომანი ძალიან სახალისო საკითხავია. კრიტიკოსების შეფასებით, მარგარეტ ეტუუდი ტრილოგიის დასკვნით ნაწილში ადამიანური სამყაროს კომედიურ სურათს გეთავაზობს.

Dissident Gardens

Jonathan Lethem


384 გვ.



ჯონათან ლეთემის მკითხველებისთვის სიახლე არ იქნება ის ფაქტი, რომ მისი რომანის მთავარი სამოქმედო არეალი კვლავაც ამერიკაა, თუმცა ამჯერად ბრუკლინის მაგივრად ის ქუინსში, „მზიანი ბაღების მხარეში“ ინაცვლებს. ამ მშვენიერი სახელის მქონე დასახლება ამერიკელმა რევოლუციონერებმა და მათმა მხარდამჭერებმა 1920-იან წლებში დაარსეს. წიგნიც სწორედ მათ „მომთაბარე ცხოვრებაზეა, მუდმივ გაქცევასა და დაბანაკებაზე“.

მკითხველთა დიდმა ნაწილმა შეიძლება იფიქროს, რომანში ობოლობის თემაზეც არის აქცენტი გაკეთებული რადგან ნაწარმოების გმირები, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, ხშირად რჩებიან ფიზიოლოგიური თუ იდეოლოგიური მშობლის გარეშე. „ჩემი რომანის გმირებს „აქტივისტებს“ ვერ დავარქმევ, რადგან, აქტივიზმი, ისე როგორც რეალურ ცხოვრებაში, ამ წიგნშიც ჯერ მოღურ ტენდენციად ყალიბდება და მალევე ბეზრდებათ. „რევოლუციონერი“ კი უფრო ზუსტად გამოხატავს ჩემი გმირების რევოლუციური სულისკვეთებას“ – აღნიშნავს ავტორი რომანზე საუბრისას.

ქართულენოვანი გამოცემები




„ჯანქი“

უილიამ ს. ბეროუზი

გამომცემლობა „დიოგენე“
216 გვ.

გამომცემლობა „დიოგენე“ ჯეკ კერუაკისა და ჰანტიერ ტომპსონის შემდეგ ბიტნიკური მოძრაობის კიდევ ერთი წარმომადგენლის, ამერიკელი მწერლისა და ჟურნალისტის – უილიამ სიუარდ ბეროუზის პირველი რომანის ქართული თარგმანი გამოსცა. კონტროვერსიული კონტექსტის გამო და იმის გამოც, რომ თავად ავტორს მწერლისთვის საჭირო თავდაჯერებულობა აკლდა, რომანის გამოცემამ რამდენიმე წლით დაიგვიანა, თუმცა საბოლოოდ 1953 წელს, ბეროუ-

ზის უახლოესი მეგობრის, ალან გინზბერგის ნახალისებითა და უშუალო რედაქტორობით, უილიამ ლის ფსევდონიმით გამოვიდა. ბეროუზის ეს რომანი, ზოგიერთი მისი ესესა და ნერილის მსგავსად, ნარკომანიის თემას ეხმიანება. ეს ერთგვარი რეპორტაჟია, რომელშიც ავტორი ნარკოდამოკიდებული ადამიანის გამოცდილებას გვაცნობს. თხრობისთვის დამახასიათებელ გულგრილ, მშრალ და ლაკონურ ტონს ხშირად გულწრფელობა ცვლის, რაც მწერლის ავტობიოგრაფიულ რეპორტაჟს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის. ბეროუზის რომანის პირველი ქართული თარგმანის ავტორი ნიკა სამუშია გახლავთ.



„გზა საკურთხევისკენ“

ნიკოლას სპარკსი

გამომცემლობა „დიოგენე“
212 გვ.

„ნიგნი, რომელსაც დიდხანს ვერ დაივინებ“ – ასე ახასიათებდა პრესა, თანამედროვე ამერიკელი მწერლის, ნიკოლას სპარკსის რომანს – „გზა საკურთხევისკენ, რომელიც პირველად 1999 წელს გამოქვეყნდა და გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა. რამდენიმე წლის შემდეგ ნიგნის მიხედვით ფილმიც გადაიღეს, რომელიც რომანზე არანაკლებ პოპულარული აღმოჩნდა. ნიგნის ფაბულა ასეთია: ხანში შესული ლენდონ კარტერი ორმოცი წლის


წინანდელ ამბავს იხსენებს, რომელმაც პატარა სამხრეთულ ქალაქში მცხოვრები ჩვიდმეტი წლის ბიჭის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა. ნიკოლას სპარკსს ქართველი მკითხველი უკვე იცნობს ასევე ძალიან პოპულარული რომანით – „დიორი“, რომელიც გამომცემლობა „დიოგენე“ 2012 წელს გამოსცა. სპარკსის მეორე რომანს ქართულ ენაზე ამჯერად ხათუნა ბასილაშვილის თარგმანით გავეცნობით.

„ლოლიტა“

ვლადიმერ ნაბოკოვი

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“,
421 გვ.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მწერლის, ვლადიმერ ნაბოკოვის რომანი „ლოლიტა“ ქართველმა მკითხველმა კიდევ ერთხელ მიიღო. „ლოლიტა, თეთრკანიანი ქვრივი მამაკაცის აღსარება“ – ასეთია მწერლის განმარტება, რომელიც ერთი შეხედვით მონიფული მამაკაცის და თორმეტი წლის გოგონას წინააღმდეგობრივი სიყვარულის ამბავია, თუმცა სასიყვარულო ისტორიის მიღმა „დახვეწილი“ ევროპისა და ომისშემდგომი „ჭკუამხიარული“ ამერიკის შეჯახებაა ასახული. რომანში მრავლადაა სიმბოლური სახეები, სიტყვათა თამაში და ღრმა ფსიქოლოგიური პორტრეტები, რომელთაც ავტორი უჩვეულო სიზუსტით აღგვიწერს. სხვათა შორის, ნაბოკოვის ეს ნიგნი ყველა დროის საუკეთესო თანამედროვე რომანების ასეულშიც მოხვდა საკმაოდ მაღალ პოზიციებზე. ბელეტრისტიკის (Fiction) ჟანრში დაწესებულ ნაციონალური ჯილდოზე კი ის შვიდჯერ წარადგინეს, თუმცა ვერცერთხელ ვერ გაიმარჯვა. რომანი პირველად 1955 წელს გამოვიდა, რომლის მიხედვითაც 1962 წელს სტენლი კუბრიკმა ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღო.





„ტყეაბის მეფე“
(ლევენდები დავით აღმაშენებელზე)

დათო ტურაშვილი

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“,
240 გვ.


ბესტსელერების ქართველი ავტორი დათო ტურაშვილი მკითხველის წინაშე ამჯერად ისტორიული რომანით წარდგა. „ტყეაბის მეფე“ (ლევენდები დავით აღმაშენებელზე) – ჰქვია წიგნს, რომელიც ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის, როგორც მეფისა და ჩვეულებრივი ადამიანის შესახებ მწერლის საინტერესო ინტერპრეტაციას წარმოაჩენს. ვიდრე ეს წიგნი რომანის სახით გამოიცემოდა, ის ფილმის სცენარის სახით არსებობდა, რომელიც დათო ტურაშვილმა აკა მორჩილაძესთან ერთად შექმნა. „შენ ტყეთა მეფე ხარ

და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა“ – ასე სწერდნენ სელჩუკები ჯერ კიდევ გაპარტახებული ქვეყნის საქართველოს მეფეს, რომელსაც ტყე-ლრედ ქცეული მიწის თავიდან აღორძინების მისია ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდას დაეკისრა. ფათურაკებითა და მძიმე განსაცდელებით მდიდარი მეფის ცხოვრებიდან მწერალი აქცენტს სწორედ მის, როგორც „ტყის მუდმივი ბინადრის“ თვისებებზე აკეთებს და ისტორიული ცნობებისა და ლეგენდების გარდა, მკითხველს ფაქტების განსხვავებულ ვერსიებს სთავაზობს.

„სახელმწიფო სახრჩობელასთან“

ირაკლი კაკაბაძე

გამომცემლობა „ინტელექტი“
78 გვ.



„წიგნებსაც, ისევე როგორც ადამიანებს, თავისი განსაკუთრებული პულსაცია აქვთ: ზოგს ნერვული და აჩქარებული, ზოგს წყვეტილი და არითმიული, ზოგსაც საერთოდ არ ესინჯება პულსი. ირაკლი კაკაბაძის ახალი პოეტური კრებული უაღრესად თანამედროვე იმიტიმაც არის, რომ აქ ცხადად, ხელშესახებად იგრძნობა მკაცრი და აღელვებული კაცის გულისცემა. ფეთქვა გულისა, რომელიც, ავტორის თქმისა არ იყოს, ყველა ზღაპარში აქვთ დევებს. დღეს კი ქვად ქცეულა, განცდებისა და შეგრძნებებისგან დაცარიელებულა. სახელმწიფო სახრჩობელაზე გასვლა სისტემასთან, გაბატონებული და თავსმოხვეული ცხოვრების წესთან შეურიგებლობას გულისხმობს. ამ გზაზე გასულს


გზადაგზა აუცილებლად მწარე და გულწრფელი სიტყვები დაგცდება, ვთქვათ, ასეთი: „იძინე მშვიდად, მხედრიონის მშობელო ერო...“, ან: „ცარიელი და განძარცვული, მაგრამ დუმილით სავსე, ცივი დუმილით სავსე“, ან კიდევ: „სად გიპოვო, რაში ხარ მეტად არეკილი, ჩემო სამშობლოვ? პეიზაჟებში, სიმღერებში თუ ადამიანებში?..“. და ამ ძიებასა და მღელვარებაში გართულმა“, ბრძოლისგან დაქანცულმა შეიძლება ერთხელაც აღმოაჩინო: „რა ხანმოკლეა სიცოცხლე ჩვენი – ჰაიკუსავით სამ სტრიქონად წარმოსათქმელი“ – აღნიშნულია წიგნის ანოტაციაში.

„ანტიგლობალისტები“

გურამ მგერელიშვილი


გამომცემლობა „საუნჯე“
227 გვ.

გურამ მგერელიშვილის კრებული „ანტიგლობალისტები“ შავი იუმორით დაწერილ 13 მოთხრობას აერთიანებს, რომელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა დროს სამ ენაზე ითარგმნა და უცხოურ ლიტერატურულ გამოცემებში დაიბეჭდა. ამ კრებულიდან რამდენიმე მოთხრობას ქართველი მკითხველიც კარგად იცნობს.



მუსიკა

ავტორი: ლევან ძნელაძე



Doris
Earl Sweatshirt
Rap, Hip-Hop
Columbia

Earl Sweatshirt ლოს ანჯელესში ფორმირებულ ჰიპ-ჰოპ გაერთიანების, Odd Future-ის ერთ-ერთი ლიდერია, რომელიც სადებიუტო ალბომით Doris, ჟანრში ერთ-ერთი საუკეთესო რელიზით წარდგა მსმენელის წინაშე. ალბომში მოწვეული სტუმრების სია შთამბეჭდავია (RZA, Tyler, the Creator, Mac Miller) და, როგორც მოსალოდნელი იყო, იმედს თითქმის არცერთი დუეტი არ გიცრუებს. ლირიკული ნაწილი საკმაოდ კარგია და რეპერს უკვე ეტყობა, რომ წინა ნამუშევრებისგან განსხვავებით, სადაც ძირითად ადგილს აგრესია იკავებდა, შედარებით დამშვიდდა. ახალი ალბომი მეტად ინტიმურ საკითხებს ეხება, წინა პლანზე წამოწეული დეპრესიული-მელანქოლიური ხასიათი. ინსტრუმენტული ნაწილი კი გაცილებით მეტადაა დახვეწილი, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა Earl Sweatshirt-ის შემოქმედებაში.

Virgins
Tim Hecker
Ambient, Drone
Kranky

ტიმ ჰეკერი კანადელი Ambient / Drone არტისტია მონრეალიდან, რომელიც აღნიშნულ ჟანრების რეპრეზენტაციას მათი საუკეთესო მხარეებით ახდენს. სწორედ ამის გამო ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობადი საუნდის მქონე და, ამავე დროს, საკმაოდ ინტელექტუალური მუსიკოსია. Virgins მისი რიგით მერვე ალბომია და კიდევ ერთი ეპიკური ნამუშევარი მის შემოქმედებაში. ამ ალბომში ჰეკერი ახალ ტერიტორიაზე გადის და იმ ტექნიკის – Glitch-ის შემოტანას იწყებს, რაც მის მუსიკაში საკმაოდ იშვიათად გამოიყენება (მხოლოდ კოლამორაციების დროს). ეს კი ალბომს განსაკუთრებულად შთამბეჭდავს ხდის ისედაც ემოციური ატმოსფეროს ფონზე. ჩანანური განსაკუთრებით რეკომენდებულია თანამედროვე კლასიკური მუსიკისა და ემბიენტის მოყვარულთათვის, ღამით, ხარისხიანი ყურსამსენებით მოსმენისას.

Joke In The Hole / Eric Copeland / Abstract, Leftfield/DFA Records


ერიკ ქოფლენდი ორიათასიანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო ნიიზ კოლექტივის, Black Dice-ის წევრია, რომლის პირველი სოლო დებიუტიც 2007 წელს შედგა, ალბომით Hermaphrodite. აღნიშნული ალბომი ანდერგრაუნდ წრეებში ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ ნამუშევრად იქცა, მაგრამ მას შემდეგ ქოფლენდის მუსიკამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ახლახან გამოსულ Joke In The Hole-ს გამოცდილი მსმენელი ადვილად აულებს ალლოს, რადგან ქოფლენდის ნამუშევრებს წლების განმავლობაში მეტი ატმოსფერულობა შეეპარა და ე.წ. „White Noise“-სკენ გადაიხარა; შესაბამისად, უფრო მეგობრულიც გახდა, რის გამოც შეიძლება ალტერნატიული მუსიკის ყველა მოყვარულს მოეწონოს. თანამედროვე კლასიკურ მუსიკაზე აპელირება, დამთბარი საუნდი და ბითის შემოსვლა ამ მუსიკოსის შემოქმედებაში აუცილებლად გაზრდის მისი მსმენელების რიცხვს.

Hesitation Marks / Nine Inch Nails / Industrial, Alternative Rock / Columbia

რა შეიძლება სათქმელი ჰქონდეს 2013 წელს ლეგენდარულ ტრენტ რეზნორს? თითქოს თანამედროვე მუსიკალური სამყარო სულ სხვა პრიორიტეტებით ცხოვრობს და ძველი სახეები სულ უფრო და უფრო ნაკლებ ყურადღებას იქცევენ, მაგრამ Hesitation Marks დაანონსების დღიდან იწვევდა მუსიკალური პრესისა და მელომანების საკმაოდ დიდი ნაწილის ინტერესს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სინგლზე ახალი ალბომიდან – Come Back Haunted, ვიდეოკლიპი დევიდ ლინჩმა გადაიღო. Hesitation Marks საინტერესო ალბომია, თუმცა შესამჩნევად დამცხრალი და მეტად მინიმალისტური. რეზნორის საუნდი დღევანდელ დღეს ისე ჟღერს, როგორც Depeche Mode-ის საუნდი 10 წლის წინ. ნევროტული ატმოსფერო და ხშირი აგრესიული შეტევა მსმენელზე გაცილებით ნაკლებია, თუმცა, ამის მიუხედავად, ის მაინც დიდ ინტერესს იმსახურებს. ალბომი საკმაოდ დრამატული და, შეიძლება ითქვას, გულახდილიც გახლავთ. შესაძლოა Hesitation Marks არ წარმოადგენს იმ ნამუშევარს, რომელიც NIN-ის შემოქმედებაში საუკეთესოა, მაგრამ ფანებს ნამდვილად მოეწონებათ.

Factory Floor / Factory Floor / Post-Punk, Electro DFA Records

Factory Floor 2005 წელს დაარსებული ლონდონური ავანგარდ-ტრიოა, რომელთა შემოქმედებაც ნამდვილად არ გამოირჩევა პროდუქტიულობით. სწორედ ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მათი სადებიუტო ალბომი 2013 წელს, სულ ახლახან გამოვიდა ლეიბლ DFA-ზე. მათ ანგარიშზე ალბომამდე იყო რამდენიმე სინგლი და ერთი მინი LP. მიუხედავად ნაკლები აქტიურობისა და სიზარმაცისა, აღნიშნული ნამუშევრის დაანონსება 2013 წლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამანტრიგებელი ნიუსი აღმოჩნდა მუსიკალურ პრესაში. სადებიუტო უსახელო ალბომი მუსიკოსების მიერ წლების წინ არჩეულ გზისთვის არ უღალატია. Factory Floor ისევ მინიმალისტური კონსერვატიზმით უდგება 80-იანების პოსტ-პანკს და ინდასტრიალ ტალღას. აღნიშნული ჩანანერი ყველანაირ მოლოდინს ამართლებს, რის გამოც ის 2013 წლის საუკეთესო ალბომის წოდების ერთ-ერთი კანდიდატია.



სხილი

ფოტოგრაფია

ფურცელი #1







DATUNA SULIKASHVILI









DESIGNER: DATUNA SULIKASHVILI
PHOTOGRAPHER: GREGORY REGINI
MODEL: KRISTI
MAKE-UP: CHRISTINA REGINI



THE
WOMAN
IN THE
MIRROR



TATULIE VATEISHVILI









DESIGNER: TATULIE VATEISHVILI
PHOTOGRAPHER: GREGORY REGINI
MODEL: MARIAM TSAGAREISHVILI (IC MODELS MANAGEMENT)
MAKE-UP: CHRISTINA REGINI



RIA KEBURIA

SPRING/SUMMER 2014







12/23

საქართველო
ზინზინი



HATS: YASHKATHOR FOR RIA KEBURIA
PHOTOGRAPHER: MARKUS LAMBERT
MODEL: ANASTASSIA ROTTIE (VIVA MODELS)
MAKE-UP: JORDAN TISON



ხავერდის და
ტყავის კონსტუქცი

199 GEL

MANGO.COM

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №16 პეკინის გამზ. №19
TBILISI, 16 CHAVCHAVADZE AVE. 19 PEKINI AVE.

MANGO

ცხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ში



ითბა iOS-ისტვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

ითბა iOS-ისტვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს ნივნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ში

აკლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მონეტორიდან iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER“

